პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლისთავი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კუთ. (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68 მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან დღის 12 საათამდე.

ტელეფ.
) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამე მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განხაედება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

შაბათი, 2 ივლისი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 148 (1893)

F75/1759

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

- ბალკანეთის სახელმწიფოები იწვევენ კონფერენციას გაერთიანებულ პოლიციის დასაარსებლათ.
- შვეიცარიის ეროვნულმა საბჭომ უარყო წინადადება საბჭოთა კავშირისაგან მორალური დაკმაყოფილების მოთხოვნის შესახებ.
- საფრანგეთის კომპარტიის კონფერენციამ მოიწონა კომინტერნის აღმასკომის დადგენილებები.
- ლოძში გაფიცულია 6 ათასი ფეიქარი.
- ნორვეგიაში გრძელდება კომუნისტების დევნა-დატუსაღება.

ამიერ-კავკასიის ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებს

კოოპერაციის საერთაშორისო დღეს საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი უგზავნის მხურვალე სალამს ამიერ-კავკასიის კოოპერაციის ყველა მუშაკებს და კოოპერაციაში ჩაბმულ მუშათა და გლეხთა მასებს. კოოპერაცია—მუშათა და გლეხთა დაკავშირების მძლავრი საშუალებაა. კოოპერაცია—კომუნიზმისკენ მიმავალი გზაა. კოოპერატიულ მუშაკთა ენერგიისა და ფართო კოოპერატიულ მასების აქტივობაზე უაღრესად დამოკიდებულია ჩვენი წარმატება მოსახლეობის კეთილდღეობის განმტკიცების საქმეში, წარმატება ჩვენი მეურნეობის სოციალისტური ელემენტების კერძო-სამეურნეო ელემენტებზე გამარჯვების საქმეში.

კოოპერაციის საერთაშორისო დღე—დღე კოოპერატიულ ძალთა დათვალიერებისა, დღე ჩვენს მიღწევათა დემონსტრაციისა—წარმოადგენს ახალი ბრძოლის, ახალ მიღწევათა წლის გამოსავალ წერტილს.

ფასების დაკლებისათვის წარმოებულ მუშაობის განგრძობა და განვითარება, ამ მუშაობაში კოოპერაციის, პროფკავშირების და კომკავშირის წევრთა ფართო მასებს, ღარიბთა ჯგუფების, სადელეგატო კრებების და სხვა მუშურ-გლეხურ ორგანიზაციების ჩაბმა, პაის მონაწილეთა და კოოპერატიულ რწმუნებულთა კრებების და დაბალ საფეხურის კოოპერაციის გამგეობების აქტივობის აწევა, დაბალ საფეხურის კოოპერაციის მუშაკთა კულტ. დონის ამაღლება, მათი ვაჭრობის უნარიანობის, პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდა, კოოპერატიული პროპაგანდის ფართოდ გაშლა, პროპაგანდით და საქმით, პროდუქტის კარგი ღირსებით, მსყიდველებთან მართებული მოქცევით და უპირველეს ყოვლისა ფასების დაკლებით დანართი ხარჯების შემოკლებით—აი არსებითი და გადაუდებელი ამოცანები, რომლებიც უნდა დაისახონ ყველა კოოპერატიულმა მუშაკებმა და კოოპერაციის მეგობრებმა.

ს.კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი დარწმუნებულია, რომ შემდეგ საერთაშორისო დღისათვის ჩვენი საბჭოთა კოოპერაცია მიაღწევს დიდ წარმატებებს.

მეტი ენერგიით გავსწიოთ ახალი გამარჯვებებისაკენ.

საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი.

კოოპერაციის დღე

საერთაშორისო კოოპერატიული კავშირის დადგენილებით, ყოველი წლის ივლისის პირველი შაბათი დაწესებულია კოოპერაციის საერთაშორისო დღეთ. ჩვენ პირველად არ ვდღესასწაულობთ ამ დღეს. ყოველ საერთაშორისო ხასიათის უქმეს და საზოგადოებრივ მნიშვნელობის კამპანიას, რომელიც მეორდება პერიოდულათ, ჩვენ ვაძლევთ კონკრეტულ შინაარსსა და მიმართულებას.

ასე უნდა მოუდგეთ წელს კოოპერაციის საერთაშორისო დღის ჩატარებასაც. პირველი განმანსხვავებელი ნიშანი, რომელიც უნდა ახასიათებდეს ამ დღესასწაულს მიმდინარე საერთაშორისო პირობებში, არის ბრძოლა ომის საშიშროების წინააღმდეგ, რაც გულისხმობს ერთის მხრივ საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმისათვის აქტიურად ხელის შეწყობას და მეორეს მხრივ მთელ მსოფლიოში კოოპერაციის რიგებში დარაზმულ მშრომელი მასების გამოყვანას იმპერიალისტების წინააღმდეგ.

ჩვენს სინამდვილეში კოოპერაცია უძლიერესი მასიური ორგანიზაციაა, რომელსაც შეუძლია საზოგადოებრივ აზრის წარმართვა-განმტკიცებაში განსაკუთრებული როლი ითამაშოს.

ამიტომ შექმნილ საერთაშორისო გამწვავებულ მდგომარეობაში—კოოპერაციას დიდი მოვალეობა აწევს. დღევანდელ დღეს მან უნდა განუმარტოს თავის წევრებს, ვინ და რატომ იღესავს კბილებს საბჭოთა კავშირზე, ვინ ამზადებს ომს, ვინ ეთამაშება ცეცხლს, რომელმაც მშრომელთა ასეული ათასები უნდა შეიწიროს. კოოპერაციის საერთაშორისო დღე უნდა გადაიქცეს ფართო მშრომელი მასების მორიგ დემონსტრაციათ იმპერიალისტების საომარ კომბინაციების და პროვოკაციის წინააღმდეგ.

ამასთან ერთად კოოპერაციის საერთაშორისო მუშაობაში ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია მუდამ ძველი და მუდამ ახალი საკითხი. ესაა კაპიტალისტურ ქვეყნების კოოპერატიულ გაერთიანებათა იდეურ-პოლიტიკური დაპყრობა. რეფორმიზმი მშრომელთა სხვა მასიურ ორგანიზაციებთან ერთად ჯერ კიდევ საკმაოდ მაგრათ ზის კოოპერატიულ ასოციაციებში. კაპიტალიზმიდან სოციალიზმში მშვიდობიანი გზით შეზრდის თეორია, რომელსაც ასე თავგამოდებით იცავენ ყველა ჯურის სოციალ-გაიძვერები, უმთავრესად წარმოდგენილია კოოპერაციის საშუალებით.

ჩვენი ვალია ფარდა ავხადოთ ამ მავნე ილიუზიას. ჩვენ უნდა განვუმარტოთ მშრომელ მასებს, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში გაამართლებს კოოპერაცია თავის დანიშნულებას, თუ ის იქნება კლასიური ბრძოლის ორგანიზაცია, თუ ის გადაჭრით გაიზიარებს მოწინავე პროლეტარიატის პოლიტიკურ იდეალებს და მისი ხელმძღვანელობით იერიშს მიიტანს კაპიტალისტურ ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

„ნეიტრალობა" პოლიტიკაში, რომელსაც ასე რიხიანათ აღიარებენ კოოპერაციაში მოკალათებული რეფორმისტები, არსებითად არის აქტიური პოლიტიკის წარმოება, ვინაიდან კოოპერატიულად დარაზმულ მასის პოლიტიკის გარეშე დაყენებით მენშევიკები სჩადიან მორიგ ღალატს: ისინი ადუნებენ ამ მასის რევოლიუციონერ ნებისყოფას, ბრძოლის ენერგიას და ამრიგად ხელს უწყობენ კაპიტალისტურ წყობილების განმტკიცებას.

გარდა ამისა რეფორმისტული კოოპერატიული გაერთიანებანი ვერც სათანადო ეკონომიურ დახმარებას უწევენ თავიანთ წევრებს. ისინი ძალიან ხშირად უადვილებენ მსხვილ ტრესტებს და ცალკე კაპიტალისტებს მშრომელი მასის კოლექტიურად გაძვლეფას. კოოპერაცია ბურჟუაზიულ ქვეყნებში დამოკიდებულია კონცესიონერზე და მსხვილ სამრეწველო ფირმებზე, ის სამრეწველო და ფინანსიური ბურჟუაზიის საწველ ფურს წარმოადგენს.

საჭიროა ყოველივე ეს გარკვეული და გაშუქებული იქნას კოოპერატიულად დარაზმულ მშრომელი მასისათვის. საჭიროა ბურჟუაზიულ ქვეყნებში გაცხოველებულ იქნას ბრძოლა კოოპერატიულ ორგანიზაციების გარევოლიუციონერებისა და მათი კლასიურათ დარაზმვისათვის.

ასეთია კოოპერაციის დღის საერთაშორისო ამოცანები. რაც შეეხება კერძოთ თვით საბჭოთა კოოპერაციას და მის საქმიანობას, აქ კოოპერატიული დღესასწაული უნდა ჩატარებულ იქნას პრაქტიკულ მიღწევათა აღნუსხვის და მომავალი სამოქმედო გზის დასახვის ნიშნის ქვეშ.

საბჭოთა ორგანიზაციის და დაწესებულების მუშაობა დღეს უმთავრესად ფასდება იმის მიხედვით, თუ რა გააკეთა მან მიმდინარე ძირითად კამპანიების ჩატარების დარგში. ამ მხრივ მთავარი ადგილი უჭირავს ფასების დაკლების კამპანიას. კოოპერაციისათვის ამ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საჭიროა საერთაშორისო დღეს თვითეული კოოპერატიული ორგანიზაცია წარსდგეს წევრთა წინაშე იმის ანგარიშით, თუ რა გააკეთა მან ფასების დაკლების დარგში, რა უშლიდა ხელს ამ კამპანიის წარმატებით გატარებას მის ორგანიზაციაში და რა ღონისძიებებია დასახული ფასების შემდეგი დაკლებისათვის.

გარდა ამისა დღეს თვითეულ კოოპერატიულ ორგანიზაციამ უნდა დასვას თავის წინაშე საკითხი: რა მიღწევები აქვს მას კოოპერაციაში მშრომელთა ახალი ფენების გაერთიანების საქმეში. კერძოთ—რამდენი მუშა, ღარიბი გლეხი, მოჯამაგირე, მშრომელი ქალი და ახალგაზრდა შეემატა მის რიგებს. ამასთან ერთად კოოპერაციის საერთაშორისო დღეს უნდა მოხდეს კოოპერატიულ ორგანიზაციათა კულტურულ მუშაობის შემოწმება. აქ, როგორც ვიცით, კოოპერაცია ორივე ფეხებით მოიკოჭლებს. კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას კოოპერაციამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს, ვიდრე ამას დღემდე აქვს ადგილი.

კოოპერაციის საერთაშორისო დღე, როგორც საზოგადოთ ყველა საბჭოთა დღესასწაული, მიზნათ ისახავს არა მარტო ზეიმსა და მხიარულებას, არამედ პრაქტიკულ საქმიანობასაც. ამხანად საერთაშორისო კოოპერატიულ ფრონტზე ეს საქმიანობა უნდა გამოიხატოს ომის საშიშროების წინააღმდეგ დემონსტრაციაში და ბურჟუაზიულ ქვეყნების კოოპერატიულ ორგანიზაციათა რევოლიუციონურ დაპყრობაში. საშინაო მუშაობაში კი კოოპერაციის საერთაშორისო დღე უნდა გადაიქცეს წარსული საქმიანობის მასიური შემოწმების და მომავალი მუშაობის გზების დასახვის დღეთ.

ასეთია კოოპერატიული უქმის ეხლანდელი მნიშვნელობა. აქეთკენ უნდა იქნას მიმართული ყველა რევოლიუციონურ-კოოპერატიულ ორგანიზაციათა მთელი ყურადღება.

საკავშირო პროფსაბჭოს საგანგებო პლენუმი

ინგლის-რუსეთის კომიტეტის გარშემო

ამხ. ტომსკის მოხსენება პროფსაბჭოს პლენუმზე

მოსკოვი, 1 ივლისი. „მე ვფიქრობ,—დაიწყო თავისი მოხსენება ამხ. ტომსკიმ,—რომ ყველამ წაიკითხა ჩვენ მიერ გამოქვეყნებული მიწერ-მოწერა საკავშირო პროფსაბჭოსა და გენერალურ საბჭოს შორის ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოწვევის შესახებ. ამ მიწერ-მოწერიდან სჩანს, რომ საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი ხანგრძლივ ბრძოლას აწარმოებდა ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოწვევისათვის და რომ ეს ბრძოლა დამთავრდა საკავშირო პროფსაბჭოს წარმომადგენლების—ტომსკის და მელნიჩანსკის შეხვედრით გენსაბჭოს წარმომადგენლებთან—სიტრინთან და ხიქსთან ბერლინში.

რატომ ვაძლევდით განსაკუთრებულ მნიშვნელობას ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოწვევას?—კითხულობს ამხ. ტომსკი. იმიტომ, რომ ჩვენ ყოველთვის ჩვენ მოვალეობად მიგვაჩნდა გვეხელმძღვანელებია პროფკავშირების ყრილობათა დადგენილებებით. ს. ს. რ. კ. პროფკავშირების მეშვიდე ყრილობამ საკმაოდ შეაფასა ჩვენი მოღვაწეობა ინგლის-რუსეთის კომიტეტში და თვით ინგლის-რუსეთის კომიტეტიც. პროფკავშირების ყრილობამ განიხილა ინგლის-რუსეთის კომიტეტის აფეთქების თეორია და მოიწონა ჩვენი პირდაპირი და პატიოსანი კრიტიკა გენსაბჭოს პოლიტიკისა საყოველთაო გაფიცვის დროს, მიუთითა ინგლის-რუსეთის კომიტეტის მნიშვნელოვან როლზე და იმაზე, რომ მთელი სიმწვავით არის წამოჭრილი ინგლის-რუსეთის კომიტეტის აფეთქების საფრთხე მისი (კომიტეტის) ინგლისური ნაწილის მხრით".

რომ პლენუმს მოაგონოს ეს ფაქტები, ამხ. ტომსკის მოჰყავს ზოგიერთი ადგილები პროფკავშირების მეშვიდე ყრილობის დადგენილებებიდან. ეს არის ნაწილი პროფკავშირების ყრილობის რეზოლიუციისა პროფსაბჭოს ანგარიშის შესახებ, რომელიც იწონებს საკავშირო პროფსაბჭოს ხაზს, იწონებს ინგლის-რუსეთის კომიტეტის შექმნას და გენსაბჭოს შეცდომათა პატიოსან კრიტიკას ჩვენი მხრით.

„ამრიგად —განაგრძობს ამხ. ტომსკი,—ყრილობა უკვე მაშინაც ხედავდა ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლის საფრთხეს გენსაბჭოს მხრით და თავისი მხრით წინადადებას იძლეოდა ამ ხაზს დაპირისპირებოდა ინგლის-რუსეთის კომიტეტის აქტივობის ხაზი, მისი მუშაობის გაშლისა და კაპიტალის შემოტევისა და იმპერიალისტურ ომების საფრთხის წინააღმდეგ მებრძოლ ორგანოდ გადაქცევის ხაზი, როგორც შეფერის საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობის ორგანოს. აქედან წარმოსდგება აუცილებლად ორი ხაზი ინგლის-რუსეთის კომიტეტში, რომელიც წარმოადგენს პარიტეტულ ორგანოს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ინგლის-რუსეთის კომიტეტი ფაქტიურად შესდგება ორი ჯგუფისაგან, ორი სხვადასხვა ხმისაგან, როგორც ყოველი შემარიგებელი კამერა. ინგლის-რუსეთის კომიტეტის ორი ტენდენციის ერთად არსებობა შესაძლებელი იყო მხოლოდ კომპრომისის საშუალებით.

როცა ინგლის-რუსეთის კომიტეტს ვქმნიდით, ჩვენ ვიცოდით, რომ ზოგიერთი კომპრომისი აუცილებელია, მაგრამ მხოლოდ ისეთი, რომელიც ჩვენგან არ მოითხოვდა ჩვენს რწმენაზე ხელის აღებას.

მართალია, ინგლის-რუსეთის კომიტეტს არასოდეს არ გამოჰქონდა გადაწყვეტილებები, ის მხოლოდ სახავდა ან ამზადებდა ამ გადაწყვეტილებებს, ვინაიდან თვითეული მისი დადგენილება ან რეზოლიუცია მხოლოდ მაშინ ღებულობდენ ძალას, როცა მათ საკავშირო პროფსაბჭო და გენსაბჭო დაამტკიცებდენ. რომ გენსაბჭოს გადაწყვეტილებები იქნებოდა მისი ორი ნახევარის—კომუნისტურის და რეფორმისტულის—ურთიერთშორის ბრძოლისა და ერთგვარი კომპრომისის შედეგი,—ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა. ჩვენ ვიცოდით, თუ ვისთან ერთად ვქმნიდით ინგლის-რუსეთის კომიტეტს. ვერავინ ვერ გაბედავს იმ უდიდესი როლის უარყოფას, რომელიც ითამაშა ინგლის-რუსეთის კომიტეტმა მუშათა მოძრაობის ისტორიაში.

ინგლის-რუსეთის კომიტეტში ერთმანეთს ეჯახებოდა ორი ტენდენცია—კომუნისტური და რეფორმისტული—ეს უდავოა. რეფორმისტულ ტენდენციას ეშინოდა ინგლის-რუსეთის კომიტეტის განვითარების, ეშინოდა, რომ ის არ გადაქცეულიყო ინტერნაციონალად, ეშინოდა აზრების მკვიდრათ ჩამოყალიბების და შეჯახებისა, ერთი მხრით, ამსტერდამის ინტერნაციონალთან,—ეშინოდა რომ როგორმე არ მიეყენებია წყენა თავის მემარჯვენე ამხანაგებისათვის და, მეორეს მხრით, რომ როგორმე მისი მემარცხენე პოზიცია არ შეჩხებოდა თვალში ბურჟუაზიულ პრესას და როგორმე არ აემხედრებია საზოგადოებრივი აზრი მის წინააღმდეგ. მეორე—ეს არის ჩვენი ტენდენცია, რომელიც წინააღმდეგი იყო ორჭოფობის და ყოველგვარი არათანმიმდევრობის,—ტენდენცია, რომელიც ინგლის-რუსეთის კომიტეტს იწვევდა გადამჭრელ ნაბიჯებისაკენ, რომელიც ცდილობდა ინგლის-რუსეთის კომიტეტი გადაექცია პროლეტარიატის საერთაშორისო კლასიური ბრძოლის აქტიურ ფაქტორად და თავის პარტნიორებს ეზიდებოდა მარცხნივ, ტენდენცია, რომელიც გენსაბჭოს აიძულებდა მიეღო ისეთი რეზოლიუციები, რომლებიც საერთოდ არ გამოხატავდენ განსაბჭოს პოლიტიკურ ფიზიონომიას. ეს ტენდენციები სჩანს ინგლის-რუსეთის კომიტეტის ისტორიის ყველა დოკუმენტებში.

ინგლის-რუსეთის კომიტეტის ბერლინის უკანასკნელ თათბირზე მწვავედ იჩინა თავი ინგლის-რუსეთის კომიტეტის კომპრომისულმა ხასიათმა და ორი ტენდენციის ბრძოლამ. ჩვენი ხაზი მომხრეა ინგლის-რუსეთის კომიტეტის ფუნქციების გაფართოვებისა, მისი აქტივიზაციისა, მათი ტენდენცია კი იქითკენ იყო მიმართული, რომ ჩვენგან, როგორც დათმობა, მიეღოთ მის გარანტია, რომ ჩვენი მხრით ადგილი არ ექნება ისეთ კრიტიკას, როგორიც იყო მემაღაროების საყოველთაო გაფიცვის დროს.

ინგლის-რუსეთის კომიტეტის ბერლინის თათბირი ჩვენ გვავალებდა ფორმალურად, რომ ვიმსჯელოთ, ერთგვარ ფრთხილ მოპყრობას გენსაბჭოსადმი, ამავე დროს მათ აკისრებდა ვალდებულებას განევითარებიათ და გაეფართოებიათ ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოღვაწეობა, და, კერძოდ, აუცილებლად აქტიურად ებრძოლათ ომის წინააღმდეგ.

მაგრამ არსად და არასოდეს ჩვენ უარი არ გვითქვამს სიტყვის თავისუფლების უფლებაზე. არავის ჩვენგანს არ უფიქრია უარი ეთქვა კრიტიკის თავისუფლების უფლებაზე. ბერლინის რეზოლიუციების გაგებისა და განმარტების სხვადასხვაობამ მალე იჩინა თავი იმის შემდეგ, როცა დაიწყო ჩვენი მიწერ-მოწერა. პირველად ჩვენ მივმართეთ მათ 14 მაისს ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოწვევის შესახებ. 19 მაისს, ოფიციალური ცნობის შემდეგ იმის შესახებ, რომ დუმა მოწვეულია, სიტრინმა მომმართა მე [illegible] წერილით ჩემი ინტერვიუს გამო, რომელიც ეხებოდა პროექტს პროფკავშირების შესახებ. ჩემ ინტერვიუში მე უთხარი ჩემი აზრი პრესის წარმომადგენლებს ინგლისის პროფკავშირებზე კონსერვატიული მთავრობის მიერ ბარბარული თავდასხმის საკითხის შესახებ, ვინაიდ ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც ასურათებდა ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის განუყრელობას და ადასტურებდა ჩვენი ხაზის სისწორეს ყოველ მხრივ".

ტომსკი კითხულობს სიტრინის წერილს, რომელშიაც ეს უკანასკნელი სთხოვს მას დაასტუროს სისწორე ტომსკისთან საუბრისა, რომელიც მოთავსებული იყო ინგლისურ ჟურ. „უორკერს ლაიფ"-ში და აღნიშნავს, თუ რა უპასუხა სიტრინს.

თავის პასუხში ამხ. ტომსკი სწერდა:

„ინტერვიუს ინგლისური ტექსტი, საერთოდ და მთლიანად, სწორად გადმოსცემს რუსული დედნის ტექსტსა და ძირითად აზრებს, განსხვავებაა მხოლოდ წვრილმანებში. არ შემიძლია დავფარო ჩემი გაკვირვება, რაც გამოიწვია თქვენი ცნობით, რომ გენსაბჭოს განზრახული აქვს განიხილოს ჩემი ინტერვიუ. მე პირადათ მგონია, რომ ეხლანდელ მომენტში მოიძებნება ყველა მუშათა ორგანიზაციებისათვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საკითხები. მაგრამ გადაჭრით უნდა წინააღუდგე პრეტენზიებს, ვისი მხრიდანაც ისინი არ უნდა გამომდინარებდენ, შეზღუდონ სიტყვის ჩემი პირადი თავისუფლება ან დააწესონ მასზე რაიმე კონტროლი. ასეთი ცდები აუცილებლად ფიასკოთი დამთავრდება. თვითეულ ჩემ პოლიტიკურ გამოსვლაზე მე თანახმა ვარ პასუხი ვაგო არა მარტო საკავშირო პროფსაბჭოსა და ჩემი პარტიის წინაშე, არამედ მუშათა მასების წინაშეც, რომელთაც ჩემ მოვალეობად მიმაჩნია უთხრა ყოველთვის მხოლოდ სიმართლე, თუმცა ეს ყველასათვის არაა მოსახერხებელი. არ გამოვუდგები რა ჩემ ინტერვიუში აღძრულ საკითხების არსებით განხილვას, ვაცხადებ, რომ მომხდარი ამბები ადასტურებენ ამ ინტერვიუში აღნიშნულ ჩემი შეხედულებების სისწორეს.

აი, როგორ იყო საქმე ბერლინის თათბირის წინ და როგორი იყო ურთიერთობა. აი, როგორ უდგებოდით ჩვენ სხვადასხვა საკითხის გაგებას და მათ რიცხვში კრიტიკის უფლებისა და სიტყვის თავისუფლების საკითხისას.

არ დავფარავ, რომ ჩვენ შორის—პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრებს შორის—ადგილი ჰქონდა ერთგვარ მერყეობას იმის შესახებ—თუ არა თავმჯდომარეებისა და მდივნების ნახევარ თათბირზე წასვლა, როცა გენსაბჭო გადაჭრით უარს ამბობს ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოწვევაზე.

თვით ეს თათბირი, რომელიც არაოფიციალურ ხასიათს ატარებდა, დაიწყო გენსაბჭოს წარმომადგენლების ცდით მთელი საქმე დაეყვანათ ჩემი ინტერვიუს საკითხამდე. ჩვენ ეს სულ სხვა ნიადაგზე გადავიტანეთ—ომის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობისა და ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოწვევის გადადების მნიშვნელობაზე. და მართლაც, როცა მთელი ქვეყანა ომის საფრთხის წინაშე სდგას, როცა არა სიტყვით, არამედ საქმით, ემუქრება მუშათა კლასს და პირველ რიგში კი საბჭოთა კავშირსა და ინგლისის პროლეტარიატს,—ამ დროს ორგანო, რომლის პლატფორმის ძირითად პუნქტს შეადგენს ბრძოლა ომის საფრთხის წინააღმდეგ, —არ იკრიბება. ამიტომ ჩვენ განვაცხადეთ პროტესტი ინგ.-რუსეთის კომ. მოწვევის გაჭიანურების წინააღმდეგ და მოვითხოვეთ ახსნა-განმარტება, თუ რატომ არ იწვევენ ინგლის-რუსეთის კომიტეტს. გენსაბჭოს წარმომადგენლები მიუთითებდენ სიძნელეებზე და იმაზე, რომ გენსაბჭოს უმრავლესობას არ სურს ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოწვევა, ვინაიდან, თითქოს, ამჟამად არ არის მსჯელობის საგანი, მაგრამ ამავე დროს ისინი არ უარყოფდენ ყოველივე იმას, რაც ითქვა ომის შესახებ. ჩვენ საკითხი დავაყენეთ პრაქტიკულად: დროა შეწყდეს ლაპარაკი იმაზე, რომ ომი ბოროტებაა და საჭიროა მის წინააღმდეგ ბრძოლა. დროა ითქვას ის, თუ როგორ ფიქრობს თვით ინგლის-რუსეთის კომიტეტი, რომელიც აერთიანებს ორ უდიდეს პროფმოძრაობას მსოფლიოში, და როგორ ურჩევს სხვა ქვეყნების მუშებს ომის წინააღმდეგ ბრძოლას. ჩვენ გვიპასუხეს:—ჰო, რა თქმა უნდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ომი არაა. რა საჭიროა ყვირილი: „მგელი, მგელი", როცა მგელი არ სჩანს. ჩვენ ამაზე უპასუხებთ:—გვიან იქნება ყვირილი „მგელი, მგელი" როცა ის უკვე ყელში გწვდება. არ შეიძლება გულზე ხელის დაკრეფა, ამას ვერ უწოდებთ ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლას. დროა უთხრათ მუშებს, თუ როგორი პრაქტიკული ღონისძიებებია საჭირო ომის საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად, დროა მოუწოდოთ პროლეტარულ საზოგადოებრივ აზრს ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ჩვენ გადაჭრით აუარეთ გვერდი ჩვენი დეპეშებისა და ინტერვიუს ტონის საკითხს და ყველა ცდებს კვლავ დაბრუნებოდა მას თათბირი.

დაბოლოს ჩვენ მიერ წამოყენებული იქნა შემდეგი დებულება: ამჟამად ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოწვევის გაჭიანურება უფრო საზიანოა, ვიდრე პირდაპირი უარის თქმა მის მოწვევაზე. ჩვენ განვაცხადეთ: ან უნდა გვითხრათ, რომ ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოწვევა საჭიროა ამა და ამ დროს და ჩვენ დავრჩებით ბერლინში და მოუცდით ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოწვევას, ან უნდა გვითხრათ, რომ არ გინდათ ამჟამად ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოწვევა და რომ საერთოდ არ მოიწვევთ ინგლის-რუსეთის კომიტეტს. გაძრომ-გამოძრომისა და გაჭიანურების ცდა მაჩვენებელია არაგულწრფელობისა და არაკეთილსინდისიერების. ჩვენ განვაცხადეთ, რომ ჩვენ ამას დავაფასებთ, და არც შეგვიძლია სხვანაირად დავაფასოთ, თუ არა როგორც ხაზი, რომელიც, მართალია ძალიან ნიღაბაფარებულია, მაგრამ არსებითად მიმართულია ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლისაკენ, ვინაიდან მუშებმა გარკვეულად უნდა იცოდენ: არსებობს ინგლის-რუსეთის კომიტეტი თუ არა, რატომ არ მოქმედობს, ვინ არის ამის მიზეზი და ვინ არის ამისთვის პასუხისმგებელი. ამ საუბრის შედეგად ჩვენ ვერ მივიღეთ გარკვეული პასუხი. თუ შთაბეჭდილებაზე ვილაპარაკებთ, მაშინ მე და ამხ. მელნიჩანსკიმ ისეთი შთაბეჭდილება მივიღეთ, რომ ჩვენი თანამოსაუბრენი, ვინაიდან ჩვენ არცერთ ნათქვამზე უარს არ ვაცხადებთ, ამიტომ უფრო იქითკენ იხრებიან, რომ ინგლის-რუსეთის კომიტეტი არ იქნება მოწვეული.

ჩვენ განვაცხადეთ, რომ ეს იქნება უდიდესი შეცდომა, რომ ეს განხილული იქნება ისე, რომ მათ სულ მიგვატოვონ ჩვენ, ს. ს. რ. კ. მუშები, ყველაზე უფრო მძიმე მომენტში. ამის შემდეგ, გენსაბჭოს წარმომადგენლებმა მოგვმართეს ბარათით, რომელიც გამოგზავნილი იყო ამხ. მელნიჩანსკის სახელზე. ამ ბარათში ნათქვამია: „ძვირფასო მელნიჩანსკი. იმ საუბრის გამო, რომელიც ხიქსსა და მე გვქონდა ტომსკისთან და თქვენთან 16 და 19 ივნისს, ვადასტურებ ჩვენ განცხადებას იმის შესახებ, რომ თქვენი დეპეშა 11 ივნისის თარიღით დაწერილია ისეთი ენით, რომელიც ჩვენი გენერალური საბჭოს მიერ შეძლება განხილული იქნეს ისე, როგორც გამომწვევი და დიქტატორული და რომ ყოველივე ასეთ შთაბეჭდილებას შეუძლია გამოიწვიოს არასაჭირო შეხლა-შემოხლა და გაუგებრობა. ჩვენ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ ეს პუნქტი გამორკვეულ იქნეს".

ჩვენ ამას უპასუხეთ ბარათით, რომელსაც ხელს აწერდა ამხ. მელნიჩანსკი:

„დეპეშა მხოლოდ გამოხატავს ჩვენ კანონიერ შიშს, რომელიც გამოწვეულია ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოწვევის გაჭიანურებით ასეთ მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო მომენტში, და აგრეთვე ჩვენ მისწრაფებას გავაკეთოთ ყველაფერი იმისათვის, რომ მობილიზაცია უყოთ მუშათა კლასის საზოგადოებრივ აზრს და ყველა ძალებს აშკარად მოახლოვებულ ომის წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ინგლის-რუსეთის კომიტეტს შეუძლია ამ საქმეში რაღაცას გაკეთება, აი რატომ ასე დაბეჯითებით მოვითხოვთ ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოწვევას და პროტესტს ვაცხადებთ მისი მოწვევის გაჭიანურების წინააღმდეგ. ჩვენ მომხრე ვართ იმის, რომ არსებობდეს კომიტეტი, მომხრე ვართ, რომ ის აქტიურად ამუშავდეს ომის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში და შეცდომა იქნებოდა ჩვენი მიწერ-მოწერისა და, კერძოდ, ზემოაღნიშნულ დეპეშის ცუდი მხრით გაგება, ყოველივე ამას ვსთვლი იმდენად თავისთავად საგულისხმოდ, რომ ჩვეულებრივ პირობებში ჩემი მხრით ზედმეტი იქნებოდა რაიმე წერილობითი განმარტება, მაგრამ ამ მომენტში ჩემ მოვალეობათ მიმაჩნია გავაკეთო ყველაფერი, რაც კი ჩემზე დამოკიდებულია, რათა თავიდან იქნეს აცილებული ყველაფერი მეორე ხარისხოვანი და ყოველივე გაუგებრობა, რომელსაც შეუძლია ორივე ქვეყნის პროფმოძრაობის ურთიერთობის გართულება და ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოწვევის შეფერხება".

აი, ის ორი დოკუმენტი, რომლებიც ერთი მეორეს გაუგზავნეთ. ამბების შემდეგი მსვლელობა ასეთი იყო: ჩვენ მივიღეთ შემდეგი შინაარსის დეპეშა: „საკითხი გენერალურ საბჭოს დამოკიდებულების შესახებ ინგლის-რუსეთის კომიტეტთან განსახილველად გადაეცა ჩვენს საერთაშორისო კომიტეტს. წერილი გეგზავნებათ. სიტრინი".

შემდეგ ჩვენ მივიღეთ საკავშირო დეპეშათა სააგენტოს დეპეშა იმის შესახებ, რომ საკითხი ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოწვევისა გენერალურმა საბჭომ განსახილველად გადასცა საერთაშორისო კომისიას მხოლოდ იმ პირობით, რომ უკანასკნელი აცნობებს თავის დასკვნას გენერალურ საბჭოს, რომელიც ივლისში შეიკრიბება. ესე იგი სწორედ ისეთივე გაჭიანურება, რომლის წინააღმდეგაც ჩვენ ვაცხადებდით პროტესტს ბერლინის თათბირზე. შემდეგ საკავშირო დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„გენერალური საბჭო და მუშათა პარტიის აღმასკომი გაერთიანებულ სხდომაზე თავის მოვალეობად სთვლიან განაცხადონ პროტესტი საბჭოთა კავშირის მიერ იმ პირთა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, რომლებიც უდანაშაულო არიან ვოიკოვის მკვლელობაში". აი, ის ორი დოკუმენტი, რომლებიც პასუხად მივიღეთ წინა წინადადებებზე. შეგვიძლია თუ არა გულგრილად შევხედოთ ამ ორ დოკუმენტს? რას ნიშნავს პირველი და რას ნიშნავს მეორე დოკუმენტი? ამ დოკუმენტების განხილვა ცალ-ცალკე იქნებოდა პოლიტიკური შეცდომა. ჩვენ უნდა განვაცხადოთ მთელი მუშათა კლასისა და, პირველ რიგში, ჩვენი და ბრიტანეთის მუშათა კლასის წინაშე, რომ ჩვენ ყველა ღონე ვიხმარეთ ინგლის-რუსეთის კომიტეტის შესანარჩუნებლად და იმ საბაბის მოსასპობად, რომ არ დაგვბრალებოდა ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლის ცდა. ვფიქრობთ, რომ ამ მხრივ ჩვენ სწორად ვიქცეოდით. ჩვენ ვფიქრობდით და ვფიქრობთ, რომ ინგლის-რუსეთის კომიტეტის მთელი ისტორიის მანძილზე, ჩვენი ხაზი, მიმართული ინგლის-რუსეთის კომიტეტის აქტივიზაციისაკენ, მის გაშლისაკენ კლასიური ბრძოლის მომქმედ ორგანოდ. მის გადაქცევისაკენ ყველა მუშათა ორგანიზაციების დამრაზმველ ორგანოდ, იმ მუშათა ორგანიზაციების, რომლებიც უკმაყოფილონი არიან ამსტერდამის ინტერნაციონალის პოლიტიკით განურჩევლად ამ ორგანიზაციების კუთვნილებისა ამა თუ იმ ინტერნაციონალთან,—იყო სწორი.

სისულელე იქნებოდა ლაპარაკი ერთიან ფრონტისა და ერთიანი პროფესიონალური ფრონტის განხორციელებაზე, და რეფორმისტების მხრივ პირველი ღალატის შემთხვევაშივე ამ ფრონტის ჩაშლა. ასეთი გზა ვერ გამოდგება მასების დაპყრობის გზად. სანამ არსებობს ინგლის-რუსეთის კომიტეტი, ჩვენ უფლებამოსილად მიგვაჩნია თავი მოვითხოვოთ მისი მოწვევა გადამწყვეტ პოლიტიკურ მომენტებში, როდესაც მუშათა კლასს ემუქრება ბელადების შემცდარი, დამახინჯებული, მზდალი ან და პირდაპირ მოღალატური ხაზი, ავიმაღლოთ ხმა და გავაფრთხილოთ საერთაშორისო მუშათა კლასი.

დღეს სწორედ ისეთი მომენტი დაგვიდგა, როდესაც მთელი გულახდილობით უნდა უთხრათ მთელს საერთაშორისო პროლეტარიატს, პირველ რიგში საბჭოთა კავშირისა და ინგლისის პროლეტარიატს სრული სიმართლე გენსაბჭოს ორჭოფული, ინგლის-რუსეთის კომიტეტის აფეთქებისაკენ, საბჭოთა კავშირის მუშებთან კავშირის გაწყვეტისაკენ მიმართული პოლიტიკის შესახებ. ინგლის-რუსეთის კომიტეტი შექმნილ იქნა ომის საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად და აი, ამ მომენტში ინგლის-რუსეთის კომიტეტს უნდა გამოეჩინა მთელი თავისი სახე, ის ლაჩრულად არ უნდა დამალულიყო. რას ნიშნავს შიში ასეთ მომენტში? ეს ნიშნავს იმას, რომ ბრიტანეთის პროფმოძრაობის მოღვაწეთა მოქარგული სიტყვები იმის შესახებ, რომ ისინი საბჭოთა კავშირის მუშების, ახალ საბჭოთა რუსეთის მეგობრები არიან და რომ ისინი ყოველთვის დაუჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის მუშებს,—იყო მხოლოდ ცარიელი ფრაზები.

ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ ასეთ მომენტში ცდა ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოწვევის გაჭიანურებისა და ცდა ფორმალობის უკან ამოფარებისა მიმართულია ინგლის-რუსეთის კომიტეტის აფეთქებისაკენ. დღეს ჩვენ მივიღეთ წერილი 22 ივნისის თარიღით: „მელნიჩანსკის. მოხსენება ტომსკის. თქვენი, ხიკსის და ჩემი შეხვედრის შესახებ ბერლინში, ურთიერთ შორის გაგზავნილი კორესპონდენციით და 20 ივნისს ბერლინში თქვენ მიერ დაწერილი წერილით, დღეს სხდომის დროს გადაეცა ჩვენს გენერალურ საბჭოს. საბჭოს სხდომის შემდეგ მე გამოგიგზავნეთ შემდეგი შინაარსის დეპეშა: „საკითხი ინგლის-რუსეთის კომიტეტისადმი გენერალურ საბჭოს დამოკიდებულების შესახებ გადაეცა განსახილველად ჩვენს გენერალურ საბჭოს. წერილი გეგზავნებათ. სიტრინი". საერთაშორისო კომიტეტისათვის ამ საკითხის გადაცემით გენერალურმა საბჭომ გადასწყვიტა, რომ საერთაშორისო კომიტეტის მოხსენების მიღებამდე ინგლის-რუსეთის კომიტეტისადმი გენერალურ საბჭოს დამოკიდებულების შესახებ, და ამ მოხსენების განხილვამდე გენერალურ საბჭოს მიერ, გენერალურ საბჭოს წარმომადგენლები ვერ მიიღებდენ მონაწილეობას ინგლის-რუსეთის კომიტეტის სხდომებში.

„მე კიდევ მოგწერთ ამ საკითხის შესახებ, როდესაც მას გენერალური საბჭო განიხილავს. სიტრინი".

ყველაფერი ეს ისე მოისმის, თითქოს არავითარი ვალდებულებები არ ყოფილიყოს, თითქოს ბერლინის თათბირზე გამოეტანოთ ცალმხრივი რეზოლიუცია რაღაც ჩაურევლობის შესახებ. აი, რა სთქვა ინგლის-რუსეთის კომიტეტმა: „ინგლის-რუსეთის კომიტეტი ორივე ქვეყნის პროფკავშირების სახელით, პროფკავშირების, რომლებიც აერთიანებენ ინგ. და საბჭ. კავშირის 15 მილიონ-ზე მუშას, განმეორებით მოუწოდებს ყველა ქვეყნის დარაზმულ მუშებს თავისი ძალა შეუერთონ ბრიტანეთისა და საბჭოთა პროფორგანიზაციების ღონისძიებებს მათ ცდაში ხელი შეუშალონ ახალ ძმათა სისხლის მღვრელ ომის გამოწვევას, დაიცვან მუშების საარსებო და უფლებრივი დონე, დასძლიონ ყველა სიძნელენი და შეფერხებები, ხელი შეუწყონ პროფესიონალურ კავშირთა მთლიან მსოფლიო ფედერაციის შექმნას".

თითქოს ეს არ იყოს ნათქვამი, თითქოს არ ყოფილიყოს ინგლის-რუსეთის კომიტეტის საერთო დეკლარაცია, თითქოს ბრძოლა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ არ ყოფილიყოს ერთ-ერთი მიზანი, რომლისთვისაც შექმნილ იქნა ინგლის-რუსეთის კომიტეტი. მაგრამ აი, წარმოიშვა ომის საფრთხე. საჭიროა ბერლინის რეზოლიუციის პუნქტი განვითარდეს და შეივსოს ომის წინააღმდეგ მუშათა ამ ბრძოლის პრაქტიკული ზომებით. ისინი ებღაუჭებიან ფორმალობას და, ალბად, კიდევ გვეტყვიან საყვედურს იმაზე; თუ რატომ ვაწყენიეთ და შეურაცხვყავით ისინი. იმის შემდეგ, რაც გენერალურმა საბჭომ არ შეასრულა მის მიერ ნაკისრი მთელი რიგი ვალდებულებები, ჩვენ უფლება გვაქვს პირდაპირ და აშკარად მივმართოთ რუს და ინგლისელ მუშებს. საბჭოთა კავშირის და ბრიტანეთის მუშები იტყვიან, თუ ვისი პოლიტიკაა უფრო სწორი. რასაკვირველია, თუ ავყვებით „გრძნობას" და აღშფოთებისა და უკმაყოფილების თვალსაზრისით გადავწყვეტთ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხებს, რომლებიც ათობით მილიონ მუშას შეეხება, მაშინ შეიძლებოდა უპირატესობა მიგვეცა ინგლის-რუსეთის კომიტეტის აფეთქებისათვის.

მაგრამ ჩვენ ვიტყვით: „მიუხედავათ იმისა, რომ გენსაბჭოს ბელადები ძალიან ცუდი ბელადები არიან, მიუხედავათ იმისა, რომ მათ ვერ დაიჭირეს უკანასკნელი გამოცდა ომის საკითხში და რომ მათ მხრივ მოსალოდნელია ახალი, დიდი ღალატი—მიუხედავათ ყველა ამისა, ჩვენ ეხლა არ ვკისრულობთ ინგლის-საბჭოთა კომიტეტის აფეთქების ინიციატივას; ვინაიდან ის შექმნილია ძმური კავშირის განხორციელებისათვის საბჭოთა კავშირისა და ინგლისის მუშებს შორის".

დაე, მასების წინაშე გვიპასუხოს გენერალურმა საბჭომ ჩვენს ღია მიმართვაზე; დაე, ნუ ეფარება ის იმას, რაც ფორმალურად შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც ბერლინის რეზოლიუციის დარღვევა.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ გაჭიანურების პოლიტიკა დღევანდელ გადამწყვეტ მომენტში არის ყველა გამოტანილ რეზოლიუციების ჩაშლა და მათთვის გვერდის ახვევა, რომ ინგლის-რუსეთის კომიტეტის აფეთქების პოლიტიკა დღევანდელ მომენტში არის ღალატი რუსი მუშების წინაშე. ინგლისის მუშებმა უნდა მოიგონონ ის ძმური დახმარება, რომელიც, წინააღმდეგ გენსაბჭოსი, რუსმა მუშებმა გაუგონარი, მსოფლიოში უნახავი თავგანწირულებით აღმოუჩინეს ინგლისელ მემაღაროებს და შემდეგშიც აღმოუჩენენ ყველა მუშებს, თუ ეს საჭირო იქნება. ჩვენ უფლება გვაქვს მოვითხოვოთ გენერალურ საბჭოსაგან პასუხი იმაზე, თუ რას ნიშნავს შეცვლა უდიდესი საკითხისა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იბრძოლონ მილიონ მუშებმა კაპიტალისტური ომის გამოწვევის ცდის წინააღმდეგ, რას ნიშნავს შეცვლა საკითხისა იმის შესახებ; თუ ორ უდიდეს ქვეყნის მუშებმა გაერთიანებული ძალ-ღონით როგორ დარაზმონ თავის გარშემო მუშათა ახალი მილიონები, რომ დაუპირდაპირონ ისინი მტაცებლური ომის გამოწვევის ცდას, რას ნიშნავს ამ საკითხების შეცვლა ღირსეულად დახვრეტილ თეთრგვარდიელთა საკითხით? ისინი ბედავენ საკითხის აღძვრას ჩვენს კლასიურ მოწინააღმდეგეთა, თეთრგვარდიელთა დახვრეტის შესახებ, ისინი, რომელნიც ფარავენ და სდუმან იმპერიალისტების მიერ კოლონიებში წარმოებულ რეპრესიებზე, რომლებიც სდუმან ბურჟუაზიული მთავრობის რეპრესიების დროს და იმაღლებენ ხმას და უერთდებიან მას ჩვენი კლასიური მტრების პროტესტს მაშინ, როდესაც ჩვენ, მუშები; სამართლიანად რევოლიუციონურად ვუსწორდებით ჩვენს კლასიურ მტრებს. დაე, ინგლისის და საბჭოთა კავშირის მუშებმა სამართლიანად შეაფასონ ჩვენი პოლიტიკა და გენსაბჭოს პოლიტიკა.

ჩვენ არ გვაშინებს მასების მსჯავრი, ვინაიდან დარწმუნებული ვართ ჯანსაღ პროლეტარულ კლასიურ ინსტინქტში, ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მუშათა მასები, იბრძოლებენ ძმური კავშირისათვის, გადამწყვეტი ბრძოლისათვის ომის წინააღმდეგ, კაპიტალის იერიშის წინააღმდეგ, იბრძოლებენ აქტიურ, მომქმედ ინ.-რუს. კომიტეტისათვის, მუშების მთლიანობისათვის კაპიტალისტების წინააღმდეგ. ჩვენ არ ვენდობით ბელადებს, მაგრამ ვენდობით მასებს და დარწმუნებული ვართ, რომ გადამწყვეტ მომენტში ინგლისის პროლეტარიატი გაამართლებს ჩვენს ნდობას. (ტაში).

რისთვის გვჭირდება თავდაცვის კვირეული?

მთელმა ჩვენმა ქვეყანამ, ქალაქის და სოფლის ყველა მშრომელებმა და პირველ რიგში მთელმა ჩვენმა კომუნისტურმა პარტიამ უნდა შეიგნონ თავდაცვის კვირეულის განსაკუთრებული მნიშვნელობა, გულმოდგინედ მოემზადონ მისთვის და რაც შეიძლება კარგად ჩაატარონ იგი.

ჩვენი მთავრობის უცვლელი პოლიტიკა იყო და არის უდიდესი თავდაჭერილობა, მშვიდობიანობის პოლიტიკის მტკიცე გატარება და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მუშათა და გლეხთა მშვიდობიანი შრომისა და დოვლათის დაცვა ყოველგვარი თავდასხმისაგან. ამით უპასუხებდა ის მტრების პროვოკაციას.

ასეულ ათას მუშათ გრანდიოზული დემონსტრაციები წარმოადგენდა ჩვენს პასუხს მტრების ყველ ვერაგულ აქტებზე. საზღვარგარეთის პროლეტარიატის საუკეთესო და რჩეული ნაწილიც აწყობდა დემონსტრაციებს საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად, იმავე აზრებით, იმავე ლოზუნგებით, რევოლიუციონური ნებისყოფის იმავე აღტკინებით.

მაგრამ ეს ცოტაა, ეს არაა საკმაო.

ჩვენი იმპერიალისტური მტრების მიერ ჩვენს წინააღმდეგ ომის დანაშაულებრივი გულმოდგინებით მზადებას უნდა პასუხი გავსცეთ ჩვენი მომზადებით, უნდა გავსცეთ მასიური პასუხი საქმით და თავდაცვის გაძლიერებისათვის პრაქტიკული ზომებით.

თავდაცვის კვირეული უნდა გახდეს დამატებით მძლავრ სტიმულად ჩვენს მუშაობაში თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებისათვის.

ილიუზია და მანილოვშჩინა იქნებოდა ფიქრი იმაზე, თითქოს საშიშარმა დრომ გაიარა და მომენტის სიმძაფრე შენელდა. ის გარემოება, რომ მტრები ახლავე არ გვესხმიან თავს, რომ მათ არ აკლიათ შიში იმ სფინქსისა, რომელსაც მათთვის წარმოადგენს საბჭოთა პროლეტარული სახელმწიფო, რომ ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა ჩვენს წინააღმდეგ კაპიტალისტურ ქვეყნების მთლიანი ფრონტის შექმნა, რომ ჩემბერლენმა ერთგვარი დამარცხება, ან ნახევრად დამარცხება განიცადა ჟენევის დიპლომატიურ ბაზარზე,—ყველაფერი ეს არავითარ შემთხვევაში არ მოასწავებს, რომ „წყეული კითხვა" მოხსნილია.

ჩემბერლენიადა გრძელდება, ჩვენს წინააღმდეგ ომის მზადება ისევ სწარმოებს, ის კი არ სუსტდება, თანდათან ძლიერდება.

საჭიროა მივიხედოთ რამოდენიმე თვით უკან და სერიოზულად ჩავუფიქრდეთ მოვლენათა განვითარების ჭეშმარიტად თავბრუდამხვევ ტემპს.

რამდენმა ღირსშესანიშნავმა ამბებმა განვლეს ჩემბერლენის მიერ თებერვალში გამოგზავნილ ნოტის შემდეგ, ნოტის, რომელიც გახდა ჩვენთან ურთიერთობის შეწყვეტის დიპლომატიური შესავალი? რა გააფთრებული ენერგიით ამოქმედდენ ჩვენი მტრები, როგორ გათამამდენ ფაშიზმისა და შუბლმაგართა დაუდეგარი როლანდები?

რანაირი გაიძვერული თამაში სწარმოებდა და სწარმოებს ჩვენს წინააღმდეგ? თავხედური თავდასხმები, მუქარით სავსე ულტიმატუმები, თეთრი ყაჩაღთა ტერორი, ჩვენი ელჩის მოკვლა, მოსყიდულ პრესის ცოფმორეული [illegible] და უამრავი და უმაგალითო პროვოკაცია და ჯაშუშობა. შეინძრა თეთრი მძორი, ალაპარაკდენ ქვები და დაიწყეს ფიქრი იმაზე, თუ ლორდების საშუალებით როგორ დაამხონ ბოლშევიკები, როგორ გაუსწორდენ მუშას, ბარბაროსს, მუჟიკს. ნავთის ბარონები, ყოველგვარი ოლივერ ტვიდები და ურკვარტები ალაპარაკდენ იმის გარშემო, თუ როგორ აამრონ საბჭოთა კავშირს ვითომ ინგლისის კაპიტალის კუთვნილი მილიარდი.

რეაქციის შეტევის იგივე აჩქარებულ ტემპს ჩვენ ვხედავთ [illegible] ჩინეთის (ჯალათობის ორგიები და გენერლების ღალატი) და ჩვენი ძმები ინგლისელ მუშების (დერჟიმორდულ კანონი და მამამულე—ლორდთა პალატის აღდგენა) მიმართ. იმავე უკანასკნელ თვეებში ჩვენ დავინახეთ სოციალ-დემოკრატიის ყოვლად უსინიდისო [illegible], სოციალ-დემოკრატიის, რომელიც ყოველთვის კუდში მისჩალებს შუბლმაგართ (საბჭოთა ყუმბარების კამპანია, „ფორვერსტის" ცილისწამების კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, თეთრ ტერორისტების, მუშების და აზნაურთა პირმშო შვილების დაცვა, გენერალურ საბჭოს [illegible] საქციელი, მისი პოლიტიკა, მიმართული ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტის ჩაშლისაკენ და სხვა).

ყველას ახსოვს ეს, ყველას თვალწინ გაიარა ყველაფერმა ამან, როგორც კინოეკრანზე. მაგრამ ყველაფერი ეს ლაპარაკობს საერთაშორისო მდგომარეობის შეუნელებელ სიმწვავეზე. აი რამ არა თუ არ დაკარგა, არამედ, პირიქით, სავსებით შეინარჩუნა თავისი ძალა მნიშვნელობა საკ. პარ. (ბ) ცკას 1 ივნისის მიმართვამ, სადაც ნათქვამია: „ფხიზლად ყოფნა, საფრთხისათვის თვალებში შეხედვა და მისი ღირსეულად მოგერიება,—აი, ჩვენი ქვეყნის მუშ. უპირველესი მოვალეობა".

ჩვენ ფხიზლად თვალყური უნდა ვადევნოთ მტრის ყველა მანევრებს, გაძლიერებული ყურადღება უნდა მივაქციოთ თავდაცვის ამოცანებს, კიდევ უფრო უნდა განვამტკიცოთ მუშათა და გლეხურ ფართო მასების კავშირი მუშურ-გლეხურ წითელ-არმიელთან, ყოველივე ეს ჩვენ მუდამ უნდა გვქონდეს მხედველობაში და განსაკუთრებული ენერგიით უნდა ჩავატაროთ თავდაცვის კვირეული. ჩვენი სამეურნეო მუშაობის ტემპი ჩვენ არ უნდა შევასუსტოთ, მიუხედავად საზაფხულო დროისა; უნდა გავაძლიეროთ მისი რაციონალიზაცია, გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, მოვფხროთ ყოველგვარი დეფექტები.

თუ ომის საფრთხე წინ გვიდგას, თუ სიძნელეები დიდია, ჩვენ ამის საპასუხოდ უნდა დავჭიმოთ მთელი ძალები, კიდევ უფრო მჭიდროთ უნდა დავრაზმოთ მუშურ-გლეხური მასები საბჭოების გარშემო, პარტიის გარშემო, უნდა შემოვკრიბოთ მთელი პარტია ლენინურ ცეკას გარშემო რკინისებურ პროლეტარულ დისციპლინით. პოლიტიკური ავანტიურიზმის მხოლოდ შარლატანური ლოღიკით, რაც ჩვენს ოპოზიციას ახასიათებს, შეიძლება სიძნელეებიდან იმ დასკვნის გამოტანა, რომ აუცილებელია ფართო დისკუსია. საკავშირო კომპარტიის (ბ) ლენინურ მთლიანობის დარღვევის ცდა, კარების გაღება ყოველგვარ ფრაქციების, დაჯგუფებისა და მიმართულებათათვის ეხლა შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც თავისი ფრაქციული სექტის ინტერესებს სახელმწიფოს და პროლეტარიატის ელემენტარულ ინტერესებზე უფრო მაღლა აყენებს. მხოლოდ გამოუსწორებელი პოლიტიკური გაკოტრება მიიყვანს კაცს ამ გზამდე, გონების ამნაირ სიჩლუნგემდე.

გავატაროთ თავდაცვის კვირეული ბოლშევიკურად. დეე, თვითეულმა გააკეთოს ყველაფერი, რაც საჭიროა და შესაძლებელია თავისუფალ მუშების და გლეხების სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების განმტკიცების ინტერესებისათვის. წინ წავსწიოთ სამხედრო მრეწველობა. შევქმნათ თვითმფრინავთა ახალი ესკადრონები, ტანკების ახალი რაზმები. დეე, მუშურ-გლეხურმა ახალგაზრდობამ ისწავლოს სამხედრო საქმე. დეე, წითელ-არმიელებმა, წითელ ფლოტელებმა და წითელმა მფრინავებმა, გაიუმჯობესონ სამხედრო მომზადება.

განვამტკიცოთ სოციალისტური ინდუსტრია, პროლეტარული თავდაცვის საძირკველი. დეე, კომუნისტები და კომკავშირელები ჩადგენ პირველ რიგებში, დეე, მათ გვიჩვენონ პროლეტარული თავდაცვის მოვალეობის მაგალითი.

„პრავდა"

მოსკოვი, 1 ივლისი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინ-იუ-სიანის ღალატის შემდეგ

მოღალატის კარიერა

შანხაი, 30 ივნისი. მემარჯვენე გომინდანის პრესა იტყობინება ფინ-იუ-სიანის და ჩან-კაი-შის ჯარების მორიგი შეტევის გეგმის შესახებ.

ფინ-იუი-სიანის ჯარების ერთი ნაწილი, რომელსაც ყვითელ მდინარის სამხრეთ ნაპირი უჭირავს, მონაწილეობას მიიღებს კომუნისტების წინააღმდეგ შექმნილ დამსჯელ ექსპედიციაში, რომლის შემადგენლობაში შედიან სიუანის, გუანსის, მუიჩჟოუს და გუნდუანის პროვინციების არმიები. ჯარების მეორე ნაწილი გადაგზავნილი იქნება პეკინ-ხანკოუს რკინის გზების ხაზზე იმ მიზნით, რომ მიაღწიოს ყვითელ მდინარის ჩრდილოეთ ნაპირს და გაამაგროს ენ-სი-შანის ჯარები. ჯარების მესამე ნაწილი გადაგზავნილი იქნება ლუნხაის რკინის გზის აღმოსავლეთის ხაზზე, რომელიც გაამაგრებს სუნანის წინააღმდეგ მებრძოლ ჯარებს. შანსიის ჯარები იმოქმედებენ ჩრდილოეთის არმიის ზურგს უკან. (ადს).

როგორ აწამეს კომუნისტები

შანხაი, 30 ივნისი. „შანხაი ტაიმსის" კორესპონდენტი ნინპოში ასწერს სამი პირის სიკვდილით დასჯას (მათ რიცხვში ერთი ქალია), რომლებსაც აბრალებდენ კომპარტიის წევრობას **სიკვდილით დასჯის წინ ისინი აწამეს და მოითხოვდნენ მათგან ჩვენების მოცემას, მაგრამ დასჯილებმა ჩვენების მოცემაზე უარი სთქვეს; მათ განაცხადეს:** „ვკვდებით მხოლოდ ერთის სურვილით, რომ განხორციელდეს სუნ-იატ-სენის პრინციპები".

სიკვდილით დასჯამ გამოიწვია დიდი აღშფოთება ჩინელთა შორის და გააძლიერა მოძრაობა ჩან-კაი-შის წინააღმდეგ. (ადს).

კაპიტალის მონები

შანხაი, 30 ივნისი. ნანკინის მთავრობა ყოველნაირად ცდილობს გამოიყენოს ამერიკელ მთელი რიგი სენატორების ყოფნა ჩინეთში. **ამერიკელ სენატორებს თავზე ევლებიან, მათ საპატივცემლოთ აწყობენ ბანკეტებს, სადაც ითქმება სიტყვები ამერიკა და ჩინეთის „ტრადიციულ მეგობრობაზე" და სხვა.**

ნანკინის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრმა უ-ჩჟაო-ჩუმ განუცხადა სენატორ მილერს, რომ ნანკინის მთავრობა **მზათაა თავის-თავზე აიღოს პასუხისმგებლობა ნანკინის ინციდენტისათვის და აინაზღაუროს ზარალი.** ნანკინის მთავრობამ ოფიციალურად აცნობა ამერიკის წარმომადგენლებს თავისი შეხედულება ნანკინის ინციდენტის ლიკვიდაციის შესახებ და გამოსთქვა სურვილი, რომ ამერიკის კონსული დაბრუნებულიყო ნანკინში. (ადს).

გადასახადების წინააღმდეგ

შანხაი, 30 ივნისი. 1 ივლისიდან ძალაში შედის მუნიციპალური საბჭოს დადგენილება დამატებითი გადასახადის აკრეფის შესახებ. **მცხოვრებთა ჩინურმა ნაწილმა იშვიათის ორგანიზაციულობით და ერთსულოვნობით გადასწყვიტა არ გადაიხადოს დამატებითი გადასახადები,** ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მათი აკრეფა ძალდატანებით მოხდა, სულ უარი სთქვას გადასახადების მიცემაზე. **ქალაქში არ არის არც ერთი ორგანიზაცია, რომელსაც არ გამოეტანოს ასეთი** დადგენილება და რომელიც არ ყოფილიყოს გატარებული რეგისტრაციაში ჩინელ გადასახადის გადამხდელთა იმ ასოციაციის მიერ, რომელიც უხელმძღვანელებს ბრძოლას. უკანასკნელ დღეებში მუნიციპალური საბჭოს წარმომადგენლებმა მოინდომეს მშვიდობიანათ შეთანხმებოდენ ჩინელებს, მაგრამ **ჩინელები მტკიცედ დგანან თავიანთ გადაწყვეტილებაზე.**

ჩინურ წრეებში ფიქრობენ, რომ ყოველგვარი შეთანხმება შეუძლებელია, (ადს).

ანტი-იაპონური მოძრაობა

შანხაი, 30 ივნისი. **მოძრაობა იაპონელების წინააღმდეგ შანხაიში ფართე ხასიათს იღებს.** პროფკავშირთა პრესა მოუწოდებს ტრანსპორტზე მომუშავე მუშებს შეუერთდენ მოძრაობას; მოწოდება ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იაპონელთა საქონლის დატვირთვა და გადმოტვირთვას შეუძლია დიდი როლი ითამაშოს იაპონელთა საქონლის ბოიკოტის დროს. შანხაის სავაჭრო პალატის შესავალ კარებთან დადგმულია ხის გალიები, სადაც მოათავსებენ იმ ჩინელ ვაჭრებს, რომლებიც ივაჭრებენ იაპონურ საქონლით. **ბოიკოტის გამო დროებით დაიხურა ბამბის ბირჟა.** (ადს).

შვეიცარიის და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

ბერლინი, 30 ივნისი. ბერნიდან იუწყებიან, რომ შვეიცარიის ეროვნულმა საბჭომ შვეიცარიის და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ გამართული ხანგრძლივი კამათის შემდეგ, უარყო ყველა ის წინადადება, რაც არ ეთანხმება შვეიცარიის ხელისუფლების შეხედულებას. უარყოფილია: **საბჭოთა კავშირისათვის მოთხოვნილების წარდგენა მორალურად დაკმაყოფილების შესახებ, წინადადება საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ და წინადადება ბოლშევიკური პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.** (ადს).

ინგლისის ინტრიგების წინააღმდეგ

პროკლამაციები

ოსლო, 30 ივნისი. ინგლისის ესკადრის ოსლოში გაჩერების დროს, ინგლისელ მეზღვაურებს დაურიგდა პროკლამაციები, რომელსაც ხელს აწერდა ნორვეგიის კომპარტიის თავმჯდომარე **ფურუბოტენი.** პროკლამაცია დაბეჭდილი იყო აგრეთვე ნორვეგიის კომპარტიის ორგანოში. **პროკლამაცია მეზღვაურებს მოუწოდებდა არ იბრძოლონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. „მიბაძეთ რუს მუშების, ჯარისკაცების და მეზღვაურების მაგალითს**—ნათქვამია პროკლამაციაში. შეაბრუნეთ თქვენი **ზარბაზნები თქვენი ნამდვილი მტრის—კაპიტალისტების და მათი ოფიცრების წინააღმდეგ.** თუ თქვენ ჩინეთში გაგგზავნიან, მიემხრეთ რევოლიუციას; თუ თქვენ საბჭოთა რუსეთისაკენ გაგზავნიან, ამართეთ წითელი დროშა, შეუერთდით რუს ამხანაგებს და გადადით მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის განკარგულებაში".

ბურჟუაზიული პრესა მოითხოვს ფურუბოტენის და სხვა კომუნისტების დაპატიმრებას და მოუწოდებს მთავრობას და პოლიციას, რომ ყოველგვარი ზომები მიიღონ კომუნისტების წინააღმდეგ. (ადს).

მაკდონალდის კანდიდატურის გაშავება

ლონდონი, 30 ივნისი. სამხრეთ უელსის აბერავონის სამრჩევლო ოლქის მუშათა პარტიის ადგილობრივმა განყოფილებამ, საპარლამენტო არჩევნების მოახლოების გამო, მუშათა პარტიის კანდიდატად აირჩია **მაკდონალდი,** რომელიც ამჟამად აბერავონის ოლქიდან ითვლება პარლამენტის წევრად.

მაკდონალდის კანდიდატურა წამოყენებულ იქნა ყოველგვარ წესის გარეშე, მუშათა პარტიაში შემავალ ორგანიზაციების დაუკითხავად, სპეციალურ კონფერენციის მოწვევამდე.

ადგილობრივ პროფკავშირების თვალსაჩინო მოღვაწეების ინიციატივით მოწვეულ იქნა აბერავონის ოლქის მუშათა ყველა ორგანიზაციების კონფერენცია, რომელმაც გამოიტანა რეზოლიუცია კანდიდატურის გაუქმების და სპეციალური საარჩევნო კონფერენციის მოწვევის შესახებ.

კონფერენციამ გადასწყვიტა აბერავონის ოლქში მოაწყოს მემარცხენე ფრთის მოძრაობის დროებითი კომიტეტი, რომლის პროგრამაში შედის კლასობრივი ბრძოლის პრინციპის ცნობა და ლივერპულის დადგენილების გაუქმება მუშათა პარტიიდან კომუნისტების გამორიცხვის შესახებ. (ადს).

საფრანგეთის კომპარტიაში

პარიზი, 30 ივნისი. საფრანგეთის კომპარტიის კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც იწონებს კომინტერნის პლენუმის გადაწყვეტილებას და საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობას. რეზოლიუცია მიღებულ იქნა **7** ხმით ორის წინააღმდეგ (ადს).

ბალკანეთის პოლიცია

ვენა, 30 ივნისი. ბუქარესტიდან იუწყებიან, რომ საბერძნეთმა რუმინეთი მიიწვია ბალკანეთის ქვეყნების კონფერენციაზე, **რომელიც იხილავს ბალკანეთის საერთო პოლიციის შექმნის საკითხს.** პოლიციის შექმნის მიზანია კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა. (ადს).

მუშათა ბრძოლა

გაფიცვა ლოძში

ვარშავა, 30 ივნისი. **ლოძში გაფიცულია საფეიქრო მრეწველობის 6.000 მუშა.** გაფიცულები მოითხოვენ ხელფასის 50 პროც. გადიდებას. (ადს).

მუშების გამარჯვება

ვარშავა, 30 ივნისი. **ხე-ტყის დამამუშავებელ წარმოების მუშათა გაფიცვა მუშების სრულ გამარჯვებით დამთავრდა; მუშებმა მიაღწიეს ხელფასის 20%** გადიდებას. (ადს).

იტალიის ხრიკები

ვენა, 30 ივნისი. ალბანეთის მთავრობამ, მიუხედავათ სახელმწიფოთა ჩარევისა, არ გაანთავისუფლა სამხრეთ-სლავიის საელჩოს დაპატიმრებული მრჩეველი **დიურაშკევიჩი.** პრესის გადმოცემით, **დიურაშკევიჩის განთავისუფლება შეჩერებულია იტალიის ჩარევით,** რომელსაც იმედი აქვს ამ გზით იძულებული გახადოს სამხრეთ-სლავია წავიდეს დათმობაზე ნეტტუნის კონვენციის რატიფიკაციის საკითხში. (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბარი ამხ. მ. ი. კალინინთან

გუშინ სალამოს უკანვე მოსკოვში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარე ამხ. მ. ი. კალინინი. გამგზავრების წინ ესაუბრა ჩვენი გაზეთის თანამშრომელს, რომელსაც შემდეგი განაცხადა:

ომის საშიშროება და ჩვენი ქვეყნის შინაური მშენებლობა

ომის საშიშროება რეალურია, რაც ჩვენ არაფრის გზით არ უნდა დავმალოთ და ამ გარემოების საპასუხოთ ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ორგანიზაციული და აქტიური მუშაობა. არც ერთი შეგნებული მოქალაქე განზე არ უნდა განუდგეს მშრომელთა ერთად-ერთი რესპუბლიკის თავდაცვისათვის აქტიურ მზადებას. ქვეყნის გასამხედროების საქმეში პირველი როლი უნდა ითამაშონ თავდაცვის და ავიაქიმის ორგანიზაციებმა, რომელნიც ისეთივე მებრძოლ ორგანიზაციებად უნდა გახდენ, როგორც წითელი არმია. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ თავდაცვის კვირეულს, რომლის ჩატარება დანიშნულია 10—17 ივლისისათვის.

ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტით გამოწვეულ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის გართულებას ჩვენი ქვეყანა შეხვდა სრული სიმშვიდით და მტკიცე რწმენით თავის საკუთარ ძალებში. უფრო მეტი.—ურთიერთობის შეწყვეტამ კიდევ უფრო განამტკიცა საბჭოთა კავშირის მშრომელთა ენერგია და წინ წასწია ქვეყნის შინაური მშენებლობა.

ზაჰესი—რიონჰესი

ჩემი ჩამოსვლა ამიერ-კავკასიაში უშუალოდ დაკავშირებული იყო ზაჰესის გახსნასა და რიონჰესის ასაგებ სამუშაოთა დაწყებასთან.

მიღებულ შთაბეჭდილებებიდან მე ის დასკვნა გამომყავს, რომ საბჭოთა საქართველოს მოსახლეობა, რომელსაც შეუგნია, რომ ელექტროფიკაცია არის ახალ ცხოვრების ბაზა, ძლიერ დაინტერესებულია მძლავრ ჰიდრო-სადგურების აგებით. ეს დაინტერესება განსაკუთრებით თვალსაჩინოდ სჩანდა რიონჰესის საფუძვლის ჩაყრაზე.

უეჭველია, რომ რიონჰესს ბევრად მეტი მნიშვნელობა აქვს ქუთაისისათვის, ვიდრე ზაჰესს თბილისისათვის. ამით აიხსნება დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ენტუზიაზმი, რიონჰესის სამუშაოთა საფუძვლის ჩაყრაზე.

ქუთაისი

ქუთაისში მე აბრეშუმის ქარხნის საშრობიც ვინახულე. გლეხობა ამჟამად კმაყოფილია პარკზე არსებული ფასებით, რაც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ლენინაკანი

ქუთაისიდან მე გავემგზავრე სომხეთში. დავათვალიერე ლენინაკანი და მახლობელი სოფლები. მიწისძვრის შემდეგ მშენებლობა თუმცა არა საკმაო ინტენსივობით, მაგრამ ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

გლეხობა უჩივის მოუსავლობას და თხოულობს კრედიტებს სახლების ასაგებათ. მიწადმოწყობა სავსებით დამაკმაყოფილებელია.

საერთოდ, უნდა ვაღიარო, რომ ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დიდი წარმატება ემჩნევა აქ ჩვენ აღმშენებლობას.

— მე ვესტუმრე,—განაცხადა საუბრის დასასრულს ამხ. კალინინმა,—წითელი არმიის ყაზარმებს და ტერიტორიალურ ნაწილებს ქუთაისში და ლენინაკანში. ყაზარმებმა და **წითელი არმიის პირადი შემადგენლობის ნახვამ ჩემზე მეტად კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.**

ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას ტერიტორიალური ნაწილების მიმართ.

კომუნისტების გამარჯვება

ბერლინი, 30 ივნისი. ბერლინში შესდგა ტყავეულობის და ფეხსაცმელების სამრეწველოს მუშათა დელეგატების არჩევა საერთაშორისო ყრილობაზე გასაგზავნათ ლონდონში. **კომპარტიის კანდიდატმა გერცმა მიიღო 1.293 ხმა** სოციალ-დემოკრატების 4 კანდიდატმა ერთად მიიღო 199. **ერფურტში ოპოზიციის კანდიდატმა მიიღო 783 ხმა,** სოციალ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატმა კი—99 ხმა. (ადს).

ბელადების მასების წინააღმდეგ

ლონდონი, 1 ივლისი. ჩრდილოეთ ლანარკის მემაღაროეთა კენჭის ყრამ მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე ლანკავშირის ოლქის მუშათა კანდიდატის დანიშვნის შესახებ, გამარჯვება არგუნა კომუნისტ ვილიამ ალანს. მაგრამ ჩრდილოეთ ლანარკის მუშათა პარტიის აღმასკომმა გადასწყვიტა არ გადასცეს ალანის კანდიდატურა სპეციალურ საარჩევნო კომისიას, რომელიც საბოლოოდ ამტკიცებს მუშათა პარტიის კანდიდატებს ამ ოლქიდან

მემაღაროეთა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტი ულაპარაკოდ დაეთანხმა მუშათა პარტიის კომიტეტის ამ გადაწყვეტილებას და პროტესტი განაცხადა ლანარკშირის მემაღაროეთა სურვილის დარღვევის გამო.

„უორკერ ლაიფ"-ის კორესპონდენტი ამის გამო სწერს:

„ლანარკშირის მემაღაროეთა კავშირის რეაქციონური ხელმძღვანელები აშკარად ებრძვიან კავშირის წევრთა გადაწყვეტილებას მუშათა პარტიის კანდიდატის საკითხში". (ადს)

მუშტი-კრივი ლანდტაგში

ბერლინი, 1 ივლისი. პრუსიის ლანდტაგის სხდომის დღის წესრიგში წამოყენებული იყო სოციალ-დემოკრატების შეკითხვა ფაშისტების მიერ აბენსდორფში მოწყობილ თავდასხმის შესახებ „რესპუბლიკანური დროშის"-ს კავშირის წევრებზე და კომუნისტების შეკითხვა ფრონტოვიკების წითელ კავშირის წევრებზე თავდასხმის შესახებ.

ამ შეკითხვების განხილვის დროს მოხდა შეტაკება ერთის მხრივ ნაციონალისტებსა და მეორეს მხრივ სოციალ-დემოკრატებს და კომუნისტებს შორის; შეტაკება მუშტიკრივით დამთავრდა. თავმჯდომარემ შეწყვიტა სხდომა და მოიწვია უხუცესთა საბჭო. ორი საათის შემდეგ თავმჯდომარემ განაახლა სხდომა და გამოსთქვა მწუხარება ინცინდენტის გამო, მაგრამ უარი განაცხადა გამოერიცხა ვინმე ინცინდენტის ცალკე მომენტების გამოურკვევლობის გამო.

უცხოეთი

როგორ გაიქცა ციხიდან ალფონს დოდე

ამ რამდენიმე დღის წინათ დეპეშებმა მოიტანეს ცნობა, რომ „სანტე"-ს ციხიდან გაიქცა ფრანგ მონარქისტების ლიდერი ალფონს დოდე.

მისი „გაქცევის" დაწვრილებითი ცნობები ასეთია:

ფრანგ ფაშისტების („მეფის ბიჭების") ორგანიზაციის ათიოდე წევრმა წინასწარ გაიგო თუ რა ფორმალური წესები არსებობს პატიმარის გასანთავისუფლებლად ციხიდან და გადაწყვიტეს მოეწყოთ დოდეს გაქცევა.

შუა დღეზე ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრი შევიდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, დანარჩენები გაიფანტნენ ახლო მდებარე კაფეებში და დაიკავეს ყველა ტელეფონები, რომლებიც სამინისტროში მოიპოვებოდენ. ფაშისტმა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში შევიდა, დაურეკა „სანტეს" ციხის უფროსს, რომ მთავრობამ, მტრული მანიფესტაციების თავიდან აცილების მიზნით, გადასწყვიტა დაუყოვნებლივ განთავისუფლოს ციხიდან დოდე, დელესტი და კომუნისტი სემარი. შეეჭვებულმა ციხის უფროსმა დაურეკა შინაგან საქმეთა სამინისტროში. ფაშისტმა, რომელიც ელოდა ამას, უბრძანა მას დაუყოვნებლივ შეასრულოს ბრძანება, თუ არ სურს დაიმსახუროს მინისტრის რისხვა.

ამის შემდეგ ციხის უფროსი წავიდა დოდეს კამერაში და წინადადება მისცა დაუყოვნებლივ დაეტოვებია ცხე.

დოდესათვის სრულიად მოულოდნელი იყო ეს ამბავი და სახტად დარჩა.

შემდეგ ციხის უფროსმა გააფრთხილა დელესტა.

სემარი უფრო გვიან იქნა განთავისუფლებული.

დოდე ციხიდან გამოსვლისთანავე ჩაჯდა ავტომობილში, რომელიც მას უცდიდა და გაემგზავრა გამოურკვეველი მიმართულებით.

უკანასკნელი ცნობები

ახალი დანიშვნა

მოსკოვი, 1 ივლისი. გამოქვეყნდა რესპუბლიკის სამხ.-რევ. საბჭოს ბრძანება ბელორუსიის სამხედრო ოლქის სამხ.-რევ. საბჭოს წევრის, ამხ. კრინიცკის თანამდებობიდან განთავისუფლებისა და მის ადგილზე ბელორუსიის კომპარტიის ცეკას მდივნის, ამხ. კნორინის დანიშვნის შესახებ. (ადს).

ინგლისი იძულებულია დათანხმდეს

ვაშინგტონი, 30 ივნისი. საგარეო საქმეთა მინისტრმა კელლოგმა განაცხადა, რომ ინგლისი თანახმაა დაწესდეს თანასწორობა ამერიკა-ინგლისის ყველა კატეგორიის ფლოტებს შორის. (ადს).

მიწისძვრა ჩრდილოეთ იტალიაში

რომი, 1 ივლისი. 28 ივნისს ტურინში და პიემონტის სხვა რაიონებში მოხდა საგრძნობი მიწისძვრა. (ადს).

ჩინელი მეზღვაურების აჯანყება

ნიუ-იორკი, 30 ივნისი. ნიუ-იორკის ნავთსადგურში ნაპირზე გადმოსვლის უფლება არ მისცეს 84 ჩინელ მეზღვაურს. მეზღვაურები დანებით და ხამართებლებით გადმოცვივდენ გემიდან და ძალით გადავიდენ ნაპირზე.

დაჭრილია რამოდენიმე კაცი. 56 მეზღვაური დააპატიმრეს. (ადს).

პროფკავშირების კანონპროექტი ლორდთა პალატაში

ლონდონი, 1 ივლისი. ლორთა პალატაში დაიწყო კამათი პროფკავშირების კანონპროექტის გარშემო.

მუშათა პარტიის წევრმა ლორდ **ხალდეინმა** განაცხადა, რომ კანონპროექტი, რასაკვირველია, მიღებული იქნება, რადგან კონსერვატორებს დიდი უმრავლესობა ჰყავთ, მაგრამ იგი აფრთხილებდა კონსერვატორებს, რომ მათ შეიძლება ისეთივე მარცხი განიცადონ, როგორც 1926 წლის არჩევნების დროს, როცა ისინი არავითარ გაფრთხილებას ანგარიშს არ უწევდენ.

მუშათა პარტიის წევრმა **ტომსონმა** განაცხადა:

„წმინდა პარტიული თვალსაზრისით კანონპროექტი წარმოადგენს საუკეთესო საჩუქარს მუშათა პარტიისათვის, რადგან იგი ხელს შეუწყობს პროფკავშირის იმ წევრების გადმოსვლას მუშათა პარტიაში, რომელნიც ამჟამად კონსერვატორების პარტიაში ირიცხებიან".

ჩემბერლინის და ლევინეს გაფრენა

პარიზი, მფრინავებმა ჩემბერლინმა და ლევინემ, რომლებმაც ბაზელიდან გამოფრინდენ, ჩამოუშვენ ლებურჟეს აეროდრომზე 30 ივნისს, 16 საათზე. (ადს).

ინგლისელი მაიორი კოვნოში

კოვნო, 30 ივნისი. ჩამოვიდა ინგლისის გენერალური შტაბის მაიორი **ნესბიტ**, რომელმაც ინახულა სამხედრო მინისტრი და გენერალური შტაბის უფროსი. (ადს).

ინგლისი მთავრობის ლურჯი წიგნი

ლონდონი, 1 ივლისი. ინგლისის მთავრობამ გამოაქვეყნა ლურჯი წიგნი, რომელიც შეიცავს ინგლისის და საბჭოთა მთავრობის ყველა ნოტებს 1921 წლიდან, და ჩემბერლენის 4 საუბარს რაკოვსკისა და როზენგოლცთან. (ადს)

იტალია-გერმანიის ხელშეკრულება არბიტრაჟის შესახებ

ბერლინი, 1 ივლისი. რეიხსტაგმა მიიღო იტალია-გერმანიის ხელშეკრულება არბიტრაჟის შესახებ.

ხელშეკრულების განხილვის დროს კომუნისტმა დეპუტატმა **შტეკერმა** აღნიშნა, რომ გერმანიასა და ფაშისტურ იტალიას შორის ხელშეკრულების დადება მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს თანამედროვე გერმანიის იმპერიალისტური პოლიტიკისათვის.

„ჩემბერლენის სული, სთქვა შტეკერმა, დასტრიალებს თავს გერმანია-იტალიის ამ მეგობრულ შეთანხმებას. ფაშისტურ და ბრიტანულ იმპერიალიზმთან ხელი ხელჩაკიდებული შტრეზემანის ბურჟუაზიული ბლოკი აწარმოებს იმპერიალისტურ პოლიტიკის იმ იმედით, რომ საშუალება მიეცემა განაახლოს საკუთარი კოლონიალური პოლიტიკა".

დასასრულ შტეკერმა განაცხადა რომ კომფრაქცია ხმას მისცემს ხელშეკრულების რატიფიკაციის წინააღმდეგ". (ადს)

რუს თეთრგვარდიელების გადასახლება ოსმალეთიდან

ანგორა, 1 ივლისი. პრესის ცნობებით, ოთხი რუსი თეთრგვარდიელი, რომელთა ყოფაქცევა საეჭვოდ მიიჩნია ოსმალეთის ხელისუფლებამ, გადაასახლეს [illegible] და სამუდამოდ აუკრძალეს იქ დაბრუნება. (ადს)

კოოპერაციის საერთაშორისო დღე

სასოფ.-სამეურნეო კოოპერაცია ჩვენში

სასოფლო მეურნეობის განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთი სახელმწიფოსათვის, როგორიც არის საბჭოთა საქართველო.

საბჭოთა საქართველოში, სადაც დაახლოვებით მცხოვრებთა 80 პროცენტი სასოფლო-მეურნეობას ეწევა, სოფელი არის უმთავრესად მრეწველობის პროდუქტების მომხმარებელი და ინდუსტრიისათვის საჭირო ნედლი მასალის მიმწოდებელი.

სასოფლო მეურნეობის განვითარებაში მთავარ როლს თამაშობს საკრედიტო კოოპერაცია, საიდანაც ღარიბი გლეხს შეუძლია სესხის სახით მიიღოს დახმარება, და გააუმჯობესოს თავისი მეურნეობა.

საკრედიტო კოოპერაციას არა აქვს დიდი ხნის ისტორია ჩვენში. ის ახლად დაწყებული ღარიბი და საშუალო გლეხთა ამხანაგობაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღეს მისი მდგომარეობა მტკიცეა. მან დაამთავრა საორგანიზაციო პერიოდი და დღეს საფუძვლიანად ჩამოყალიბებულ ორგანიზაციათ ითვლება, მისი ფუნქციები თანდათან ფართოვდება. თუ პირველ ხანებში მისი მოქმედება მარტო საკრედიტო ფუნქციებში გამოიხატებოდა, დღეს ის ასრულებს სავაჭრო-საშუამავლო ფუნქციებსაც. მისი დანიშნულებაა არა მარტო ღარიბ და საშუალო გლეხთათვის სესხის სახით დახმარების აღმოჩენა, არამედ გლეხთა ნაწარმოების გასაღებაც. მისი საშუალებით გლეხი უკავშირდება ქალაქს და ხელსაყრელ ფასებში ასაღებს თავის ნაწარმოებს.

1926 წლის პირველ ოქტომბრისათვის საქართველოს სასოფლო სამეურნეო ბანკი აერთიანებდა 124 საკრედიტო ამხანაგობებს, რომლების წევრთა რიცხვი ამ დროისათვის უდრიდა 59.287. 1925 წელში კი 39.060 წევრი იყო. წევრთა რიცხვის ზრდა ერთი წლის განმავლობაში გამოიხატებოდა 20.227-ით (51,8 პროცენტით). ეს ფაქტი მაჩვენებელია იმისა, რომ გლეხობაში ინტერესი კოოპერაციისადმი თანდათანობით იზრდება. ღარიბ და საშუალო გლეხობის მასა დარწმუნდა რომ მხოლოდ კოოპერაციის საშუალებით შეუძლია მან დააღწიოს თავი გაჭირვებას და სათანადო დახმარება მიიღოს მეურნეობის აღსადგენად.

აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც საკრედიტო კოოპერატიულ ერთეულთა რიცხვი, ისე წევრთა რაოდენობა მეტია, ვიდრე დასავლეთ საქართველოში. აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებს შორის პირველი ადგილი როგორც, საკრედიტო ამხანაგობის რაოდენობით, ისე წევრთა რიცხვით, უჭირავს თბილისის მაზრას. დასავლეთ საქართველოში კი ,ამხანაგობის რაოდენობის მხრივ, პირველი ადგილი უჭირავს ოზურგეთის მაზრას, წევრთა რაოდენობის მხრივ კი ქუთაისის მაზრას.

თითო საკრედიტო ამხანაგობაზე 1926 წლის 1-ველ ოქტომბ. საშუალოდ მოდიოდა 478 წევრი, 1925 წლის პირველ ოქტომბრისათვის კი საშუალოდ—325 წევრი.

უნდა ითქვას, რომ საკრედიტო კოოპერაცია ჯერჯერობით მთლიანად ვერ სწვდება სოფლის ყველა მეურნეობებს და ვერ აბამს მათ საკრედიტო კოოპერაციის ქსელში.

1926 წლის პირველ ოქტომბრისათვის საშუალოდ თითო საკრედიტო ამხანაგობაზე მოდიოდა 3.078 მეურნე, რომლიდანაც საკრედიტო კოოპერაციის ქსელში შედიოდა 15.5 პროცენტი. შედარებით 1925 წლის პირველ ოქტომბერთან, რა დროისთვისაც თითო საკრედიტო ამხანაგობაზე მოდიოდა 10,2 პროცენტი; მიღწევები უთუოდ გვაქვს, მაგრამ საერთოდ კი ჯერჯერობით სოფლის მეურნეთა უმეტესი ნაწილი საკრედიტო კოოპერაციის გარეშე დარჩენილი.

ფინანსიურად დღეს არსებული საკრედიტო კოოპერაციის მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. 1925 წლის პირველ ოქტომბრისათვის ბალანსი საკრედიტო კოოპერაციისა უდრიდა—2.478.544—31 კ., 1926 წლის პირველ ოქტომბრისათვის კი ბალანსი უდრის 4.683.521 მანეთს. როგორც ხედავთ, ერთ წლის განმავლობაში ბალანსის მომატება უდრის 2.204.977 მანეთს, ანუ 89 პროცენტს, რაც მაჩვენებელია საკრედიტო კოოპერაციის უნარიანობის და გაჯანსაღების.

საკრედიტო კოპერაციის საშუალებათა უდიდესი ნაწილი ნასესხებია. საკუთარი საშუალებები შედარებით მცირეა. ჩვენი მთავარი ყურადღება იქითკენ უნდა იქნეს მიქცეული, რომ რაც შეიძლება მეტი ადგილი დაიჭიროს საკრედიტო კოოპერაციაში საკუთარმა საშუალებებმა. წინა წლებთან შედარებით ამ დარგშიც არის მიღწევები. საკუთარი საშუალებათა რაოდენობა თანდათან მატულობს, 1925 წლის პირველ ოქტომბრისათვის სხვისი საშუალებები საკრედიტო კოოპერაციაში უდრიდა 2.015.320 მ. 28 კაპეიკს, საკუთარი თანხები კი—317.579 მ. 84 კ. როგორც ვხედავთ, სხვისი საშუალებებთან შედარებით საკუთარი თანხები შეადგენდა 15.7 პროც. 1926 წლის პირველ ოქტომბრისათვის კი საკუთარი თანხები უდრის 657.61 მანეთს და შეადგენს 20.5 პროცენტს ნასესხ თანხებთან შედარებით.

სხვა საშუალებათა შორის, პირველი ადგილი უჭირავს ნასესხებ თანხებს, როგორც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან, ისე სხვა დაწესებულებებიდან. 1925 წლის 1 ოქტომბრისათვის საკრედიტო ამხანაგობების ნასესხი თანხა უდრის 1.576.552 მ. 16 კაპეიკს. (ბალანსის 63.7 პროც.); 1926 წლის პირველ ოქტომბრისათვის კი ნასესხ თანხების რაოდენობა უდრის—2.69[illegible]007 მანეთს; მიუხედავად ამისა წინა წელთან შედარებით მას ბალანსში უფრო ნაკლები ადგილი უჭირავს, ის შეადგენს ბალანსის 57,5 პროცენტს; რაც უნდა აიხსნას საკრედიტო ამხანაგობებში საკუთარი თანხების მომატებით.

საკრედიტო კოოპერაციაში ანაბარების მიზიდვას დიდი მნიშვნელობა აქვს. სახელმწიფოს მიერ გადადებული თანხა არ არის საკმარისი, რომ ჩვენ დავაკმაყოფილოთ საკრედიტო კოოპერაციის ფინანსიური მოთხოვნილება, ამიტომ ანაბარების სახით შეგროვილი თანხა დიდ დახმარებას აღმოუჩენს საკრედიტო კოოპერაციას გლეხობისადმი დახმარების საკითხში. წინა დროსთან შედარებით ამ მხრივ მიღწევები უმნიშვნელოა. 1926 წლის პირველ ოქტომბრისათვის ანაბართა ჯამი საკრედიტო ამხანაგობებში უდრიდა 75,202 მან., 1927 წ. პირველ აპრილისათვის კი ის უდრიდა 169.200 მანეთს., ე. ი. 6 თვის განმავლობაში ანაბარების მიზიდვას 125 პრო. მომატება ახასიათებს და ის შეადგენს ბალანსის 2,6 პროცენტს. უკანასკნელ ხანებში ანაბარის რაოდენობა თანდათანობით იზრდება რაც მაჩვენებელია იმისა, რომ გლეხობის ნდობა კოოპერაციისადმი მტკიცდება. ჩვენი მიზანია, მომავალში ანაბარებმა რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს საკრედიტო კოოპერაციის საშუალებათა შორის. თითო საკრედიტო ამხანაგობაზე საშუალოთ 1926 წლის 1 ოქტომბრისათვის მოდიოდა 606 მანეთი, თითო წევრზე კი—1 მ. 20 კ., რაც ჯერჯერობით მეტად უმნიშვნელოა. ანაბარების მომატების საქმეში თვით გლეხობა უნდა იყოს დაინტერესებული, მან უნდა იცოდეს, რომ მის მიერ შეტანილი ფული ანაბარების სახით ამტკიცებს გლეხთა ამხანაგობებს.

საკრედიტო კოპერაციის საკუთარი თანხის შექმნისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საპაიო თანხის მომატებას. ამ მიზნით საპაიო გამოსაღები საკრედიტო კოოპერაციაში გადიდებულია 10 მანეთამდე. 1925 წლის 1 ოქტომბრისათვის საპაიო თანხა შეადგენდა 196.328 მანეთს (ბალანსის 7.9 პროც.); 1926 წლის 1 ოქტომბრისათვის კი—426.252 მან. (ბალანსის 9.2 პროც.) ამრიგად, საპაიო თანხების მომატება ერთი წლის განმავლობაში უდრის 117.1 პროცენტს.

საკრედიტო ამხანაგობების მიერ გაცემული სესხის ნაშთი 1926 წლის 1 ოქტომბრისათვის უდრის 2.716.593 მანეთს. მათ შორის მოკლე ვადით გაცემული შეადგენს 2.325.027 მანეთს ე. ი. საერთო გაცემული სესხის—87 პროცენტს; გრძელვადიანი კი 391.566 მან. ესე იგი 13 პროცენტს. აქ დიდათ სჭარბობს მოკლე ვადით გაცემული სესხი; მეურნეობისათვის კი, იმისათვის რომ ნაყოფიერად მოიხმაროს ნასესხი თანხა მნიშვნელოვანია გრძელვადიანი სესხი; მოკლე ვადით სესხის გამოყენება მას დიდ შედეგს ვერ მოუტანს, ამიტომაც მომავალში გაცემულ სესხებ შორის გრძელვადიანმა სესხმა პირველი ადგილი უნდა დაიკავოს. შედარებით წინა წელთან ამ მხრივ მიღწევები გვაქვს. თუ 1925 წლის 1 ოქტომბრისათვის გაცემულ სესხთა ნაშთიდან გრძელვადიანი შეადგენდა 5.6 პროცენტს, 1926 წლის 1 ოქტომბრისათვის შეადგენს 14,3 პროცენტს და პირიქით 1925 წლის 1 ოქტომბრისათვის გაცემული სესხებიდან მოკლევადიანი შეადგენდა 94,6 პრ. 1926 წლის 1 ოქტომბრისათვის შეადგენს 85.7 პრ. ამგვარად, თითო საკრედიტო ამხანაგობაზე საშუალოდ გაცემული სესხიდან 1926 წლის 1 ოქტომბრისათვის მოდის 1.908 მანეთი, თითო წევრზე კი საშუალოდ 45 მ. 82 კ.

გარდა საკრედ. ფუნქციებისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღეს საკრედიტო ამხანაგობები ასრულებენ აგრეთვე სავაჭრო საშუამავლო ფუნქციებსაც, რაიც გამოიხატება გლეხთა ნაწარმის გასაღებაში და გლეხობისადმი საჭირო იარაღ-მანქანების მიწოდებაში. წარსულმა პრაქტიკამ დაგვიმტკიცა, რომ საკრედიტო ამხანაგობათა, რომელიც ეწევა სავაჭრო-საშუამავლო ფუნქციას, უფრო დადებითი შედეგებს გვაძლევს, ვიდრე ის ამხანაგობა, რომლის მოქმედება მხოლოდ საკრედიტო ფუნქციებით განისაზღვრება. გლეხობის ფართე მასა უფრო დაინტერესებულია საკრედიტო კოოპერაციით რომლითაც ის ასაღებს მას თავის დამზადებულ პროდუქტს და ხელსაყრელ ფასებში აძლევს მას სასოფლო-სამეურნეო იარაღებს; ამიტომაც ჩვენი მოქმედება იქითკენ უნდა იქნეს მიმართული, რომ რაც შეიძლება მეტი საკრედიტო ამხანაგობები ჩავაბათ სავაჭრო-საშუამავლო ოპერაციების წარმოებაში, ამ მიზნით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი აძლევს საკრედიტო ამხანაგობებს გრძელვადიან სესხს, რათა საკრედიტო ამხანაგობებმა უფრო ჩქარი ტემპით განავითარონ სავაჭრო-საშუამავლო ოპერაციების წარმოება. თვით საკრედიტო ამხანაგობებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სავაჭრო-საშუამავლო ოპერაციების წარმოებას და საკუთარი თანხებითაც უნდა შეუწყონ ხელი ამის განვითარებას.

საკრედიტო კოოპერაციის გაჯანსაღებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მომჭირნეობის გატარებას. არ უნდა იქნეს გაწეული ზედმეტი ხარჯები, საკრედიტო ამხანაგობებში მომუშავე ამხანაგებმა უნდა იცოდნენ, რომ ისინი ხელმძღვანელობენ ახლად ჩამოყალიბებულ კოოპერაციას, რომელსაც სჭირდება მეტად გეგმიანი ხელმძღვანელობა. ამ მხრივ ჩვენ, წინა წლებთან შედარებით ყველაფერი რიგზე არ გვაქვს. 1925 წლის 1 ოქტომბრისათვის საშუალოდ თითო საკრედიტო ამხანაგობაზე საერთო გაწეული ხარჯებიდან მოდიოდა 1763 მანეთი, 1926 წლის პირველ ოქტომბრისათვის მოდის 5.111 მან., ე. ი: ერთ წლის განმავლობაში ხარჯთა მომატება გამოიხატება 189.8 პროც. ხარჯების გადიდების წინააღმდეგ უნდა იქნეს სათანადო ზომები მიღებული .ამ მოვლენას თვით საკრედიტო ამხანაგობებში მომუშავე ამხანაგებმა უნდა მიაქციონ სათანადო ყურადღება, მათ უნდა იცოდენ, რომ ხარჯების გადიდება მეტად შეაფერხებს საკრედიტო კოოპერაციის განმტკიცების საქმეს.

1925 წლის 1 ოქტომბრისათვის საკრედიტო ამხანაგობათა შორის დეფიციტიანი ამხანაგობა იყო 43, მომგებიანი კი 77. 1926 წლის პირველ ოქტომბრისათვის დეფიციტიან ამხანაგობების რიცხვი შემცირდა, ის უდრის 34-ს მომგებიანი კი 90-ს. უმთავრესად საკრედიტო ამხანაგობების დეფიციტიანობა აიხსნება საკრედიტო ამხანაგობების მცირე დატვირთვით. ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ დეფიციტიან ამხანაგობების გაჯანსაღებას, ფინანსიურათ უნდა გავაძლიეროთ ისინი და მოკლე ხანში უნდა დავაყენოთ ისინი სათანადო დონეზე.

1926 წლის 1 ოქტომბრისათვის საქართველოში არსებულ საკრედიტო ამხანაგობათა წმინდა მოგება უდრის 103.145 მ. 25 კ. 1925 წლის პირველ ოქტომბრისათვის კი წმინდა მოგება უდრიდა 42.857 მანეთს. მოგებათა მომატება ერთ წლის განმავლობაში, მიუხედავად ხარჯების მომატებისა, უდრის 60.287 მანეთს. წმინდა მოგებიდან თითო საკრედიტო ამხანგობაზე 1925 წლის 1 ოქტომბრისათვის საშუალოდ მოდიოდა 357 მანეთი. 1926 წლის 1 ოქტომბრისათვის კი 881 მან.

ყველა ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენ მნიშვნელოვან მიღწევებთან გვაქვს საქმე: ძლიერდება საკრედიტო ამხანაგობები როგორც ფინანსიურად, ისე წევრთა რიცხვით; საშუალო და ღარიბ გლეხობის ინტერესი კოოპერაციისადმი თანდათან მატულობს; მატულობს საკრედიტო კოპერაციის საკუთარი საშუალებებიც, მაგრამ ჩვენ ამაზე არ უნდა შევჩერდეთ, მომავალში მეტი ყურადღებით და ენერგიით უნდა შევუდგეთ საკრედიტო კოოპერაციის განვითარებას და დღემდე არსებული დეფექტების გამოსწორებას, რისთვისაც უნდა იქნეს გატარებული შემდეგი ღონისძიებანი:

1) ღარიბ გლეხობის რაც შეიძლება მეტი რაოდენობით ჩაბმა საკრედიტო კოოპერაციის ქსელში და მათზე კრედიტობის გაძლიერება შეღავათიან პირობებში, როგორც ვადის, ისე პროცენტული ნიხრის მხრივ;

2) ანაბარების მეტი რაოდენობით მიზიდვა, რეთა მან დაიკავოს საკრედიტო კოოპერაციის საშუალებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი;

3) რაც შეიძლება მეტი რაოდენობით დატვირთვა საკრედიტო ამხანაგობების როგორც ნასესხი თანხებით, ისე საკუთარი საშუალებებით;

4) საბანკო ოპერაციების განვითარება ამხანაგობებში და ამით ქალაქის და სოფლის ფულადი დამოკიდებულების გაადვილება.

5) გრძელვადიანი სესხის საკრედიტო ამხანაგობების მიერ მოკლევადიანათ გადაქცევის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა.

6) სავაჭრო-საშუამავლო ოპერაციების განვითარება, როგორც საკუთარი საშუალებებით, ისე სხვისი საშუალებებით.

7) განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა დეფიციტიან საკრედიტო ამხანაგობებზე და მათი ფინანსიურად დატვირთვა როგორც საკუთარი საშუალებებით, ისე სხვისი საშუალებებით.

8) გატარებას სასტიკი რეჟიმეკონომიის და ხარჯების მინიმუმამდე დაყვანა.

რ. კაჭარავა.

კოოპერაცია წითელ ყაზარმაში

წითელი ყაზარმა, ამზადებს რა წითელ არმიელისაგან საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ დამცველს, ამავე დროს უნერგავს წითელარმიელს ისეთ ცოდნას, რომელიც გამოადგება მას ცხოვრებაში და ამით უმზადებს სოფელს და ქალაქს სხვადასხვა დარგში მომუშავე მოქალაქეებს.

უეჭველია კოოპერაციას, როგორც ერთ-ერთ მძლავრ იარაღს სოციალიზმისათვის ბრძოლაში, წითელი ყაზარმა ვერ აუხვევდა გვერდს და გამოიყენებდა მას წითელარმიელთა აღზრდის და მომზადების საქმეში. ეს ასეც არის.

პოლიტმეცადინეობაში კოოპერაციას დათმობილი აქვს საპატიო ადგილი, წით. არმ. ეცნობიან კოოპერაციის წარმოშობას, მის განვითარების გზას, კოოპერაციის მდგომარეობას ჩვენში და უცხოეთში და კოოპერაციის მნიშვნელობას სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ყველა ამით წითელი ყაზარმა აღწევს იმას, რომ წითელი არმიელი საფუძვლიანად ეცნობა კოოპერაციას და აქვს მასზე ნათელი წარმოდგენა. ამასთანავე წითელი არმიელი ეცნობა კოოპერაციის უდიდეს მნიშვნელობას დღევანდელ ხანაში და სოფლად დაბრუნებისას იგი ეწევა აგიტაცია-პროპაგანდას ამ დარგში.

ყაზარმის ყველა ლენინის კუთხეში არის ცალკე განყოფილება, სადაც თავმოყრილია მასალა, რომელიც ეხება კოოპერაციას. აქ არის ლიტერატურა კოოპერაციიდან, პარტიის ყრილობების დადგენილებები კოოპერაციის შესახებ, დიაგრამები და სხვა თვალსაჩინო მასალა, რომლებიც ახასიათებენ კოოპერატიულ მოძრაობას ჩვენში და სხვა ქვეყნებში. ყველა ეს მასალა დაგროვილია და დამზადებული კოოპერატიული წრეების მიერ, რომელთა წევრებად ითვლებიან წითელარმიელნი.

[illegible] აღწევს ნაწილებში 10 [illegible] რიცხვი მათში აღემატება [illegible] წარმოადგენს საერთო რაოდენობას.

ყოველწლიურად, წითელარმიელთა გაშვების წინ უვადო და გრძელვადიან შვებულებაში, ყაზარმაში ეწყობა კოოპერაციის კურსები მუშაკთა მოსამზადებლად სოფლის კოოპერატივებში სამუშაოთ. დღეს-დღეობით სოფლად მუშაობს მრავალი შვებულებაში მყოფი წითელი არმიელი, რომლებმაც ცოდნა კოოპერაციიდან შეიძინეს წითელ ყაზარმაში.

ტერიტორიალურ შეკრებების დროს, როდესაც ტერნაწილებში თავს იყრიან მრავალი ცვალებადელები საქართველოს ყოველ კუთხიდან, ექცევა დიდი ყურადღება ცვალებადელთა მოსამზადებლად კოოპერაციის დარგში სამუშაოდ. დაახლოვებით ქართულმა წითელმა ჯარმა შესძლო მოემზადებინა დღევანდლამდის 500-მდე კოოპერატორი, რომლებიც ჩაბმულია მუშაობაში.

„ეს მეორე წელიწადია, რაც ვიმყოფები გრძელვადიან შვებულებაში. სოფლად მოსვლისას, დაუკვირდი რა აქ წარმოებულ მუშაობას, დავინახე, რომ ბევრი რამეა გასაკეთებელი. ძალიან გამომადგა ყაზარმაში მიღებული ცოდნა და მადლობელი ვარ უფროსი ამხანაგების, რომლებიც დამეხმარენ ცოდნის შეძენაში. ეხლა ვმუშაობ კოხ-სამკითხველოში და არჩეული ვარ კოოპერატივის გამგეობაშიც და შეძლების დაგვარად ვმუშაობ. ძალიან გამომადგნენ ყაზარმიდან წამოღებული წიგნები კოოპერაციაზე"— აი. რას იწერება გრძელვადიან შვებულებაში გაშვებული წითელი არმიელი ვანო საათაშვილი.

ი. ზ.

რომელი კოოპერაცია როგორ მუშაობს

სას.-სამეურნეო კოოპერაცია

საქართველოში სას.-სამ. კოოპერაციის განვითარება იწყება 1924 წლიდან, როდესაც კოოპერატიული ორგანიზაციები არსდება სოფლის მეურნეობის ყველა დარგებში.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, თუმცა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია თანდათან ფართოვდებოდა და გადიოდა სოფლის მეურნეობის ერთი დარგიდან მეორეში, მაგრამ ამ ზრდას ჰქონდა სტიქიური ხასიათი ზოგიერთ რაიონში დაარსების დროს არ იყო მხედველობაში მიღებული კოოპერატიული ორგანიზაციისათვის საჭირო საარსებო პირობები და ამიტომ 1926 წელს საჭირო გახდა ზოგიერთი სუსტი ორგანიზაციების გაუქმება. საერთოდ, 1926 წელს კოოპერატივების რიცხვი 1925 წელთან შედარებით შემცირდა 17 პროცენტით.

1926 წ. მეტი ყურადღება ექცევა არა ქსელის გადიდებას, არამედ მუშაობის გაღრმავებას და წევრების რიცხვის გაფართოებას. წევრთა რიცხვი ამ წლის განმავლობაში წინა წელთან შედარებით გაიზარდა 15,6 პროც.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრია „სოფლის კავშირი", რომელიც 1927 წლის 1 აპრილისათვის აერთიანებდა 49 სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობას, 8 სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობას, 3 მეცხვარეთა ამხანაგობას, 1 მეფუტკრეთა ამხანაგობას, 4 კოლექტიურ მეურნეობას, 10 მერძევეთა არტელს და სპეციალურ კავშირებს. წევრთა რიცხვი ყველა ამ კოოპერატივებში 1926 წლის 1-ლ ოქტომბერთან შედარებით გაიზარდა 125,8 პროცენტით.

როგორც ამ ციფრებიდან სჩანს, „სოფლის კავშირი" უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს აკავშირებს. კოლექტიურ მეურნეობას (არტელები, კომუნები და სხვ.) მცირე ადგილი უჭირავს, რაც აიხსნება ერთის მხრივ იმით, რომ წარსულში მათ არ ექცეოდა სათანადო ყურადღება და მეორეს მხრივ იმით, რომ ისინი ორგანიზაციულად ჩამოყალიბებულნი არ არიან.

მიუხედავად იმისა, რომ წევრების რიცხვი საკმაოდ სწრაფად იზრდება, „სოფლის კავშირის" გარეშე რჩება ჯერ კიდევ საქართველოში არსებულ სხვადასხვა დარგის კოოპერატიული ორგანიზაციები საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი: მიღებულია ზომები ამ კოოპერატივების ჩასაბმელად „სოფლის კავშირში". ამ მუშაობას წინ უძღვის ორგანიზაციების გამოკვლევა, ვინაიდან წევრად მიიღება მხოლოდ საღი და კოოპერატიულად ჩამოყალიბებული ამხანაგობა.

„სოფლის კავშირი" ფინანსიურად ჯერ კიდევ ორგანიზაციულ ხანას განიცდის. მიმდინარე წლის 1-ლ ივნისისათვის „სოფლის კავშირის" საშუალებები შეადგენდა 131,345 მან., აქედან ძირითადი საკუთარი თანხა 15.214 მანეთი, ძირითადი ნასესხები თანხა 100.000 მანეთი, საპაიო თანხა 6.978 მან. და სპეციალური თანხები 9.157 მანეთი.

„სოფლის კავშირი" აწარმოებს როგორც მიწოდების, ისე დამზადების ოპერაციებს. მიწოდების ოპერაციებში პირველი ადგილი უჭირავს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების, წვრილი ინვენტარის და საწამლი მასალის მიწოდებას. მიმდინარე საოპერაციო წელში „სოფლის კავშირმა" ქვედა საფეხურის კოოპერატიულ ორგანიზაციებს უნდა მიაწოდოს 821.252 მანეთის იარაღ-მანქანები. აქედან უკვე მიწოდებულია 626.407 მანეთის საქონელი ნაყიდობის ფასებში.

რაც შეეხება დამზადების ოპერაციებს, წელს—თანახმად საზოგადოება „შერსტ"-თან დადებულ ხელშეკრულებისა, „სოფლის კავშირი" მოკავშირე მეცხვარეთა ორგანიზაციების საშუალებით ამზადებს 48.000 ფუთ გაზაფხულის მატყლს. მატყლი უნდა ჩაბაროს 1 აგვისტომდე. ამ რაოდენობიდან უკვე დამზადებულია 44.000 ფუთი. მაშასადამე, ხელშეკრულება ასი პროცენტით იქნება შესრულებული. რაც შეეხება შემოდგომის მატყლს, თანახმად საზოგადოება „შერსტ"-თან წინასწარ შეთანხმებისა, განზრახულია 50.000 ფუთი მატყლის დამზადება.

დაწყებულია წინასწარი მუშაობა და ნავარაუდევია 500.000 ფუთ ვაშლის (გორის მაზრაში) და 40.000 ფუთი ხილის დამზადება, დამზადებულ თამბაქოდან უკვე გაიყიდა 35.000 ფუთი. ამჟამად კახეთის ამხანაგობების საწყობებში რჩება 49.000 ფუთი და დასავლეთ საქართველოში 10.000 ფუთამდე თამბაქო.

აღმოსავლეთ საქართველოში დათესილია 5.500 დესეტინა ბამბა. ყარაიას რაიონში დათესილია 250. დესეტინა აბუსალათინი. დადებულია ხელშეკრულება მერძევეთა არტელებთან 2.000 ფუთ შვეიცარულ ყველის დამზადების შესახებ.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია წელს პირველად იღებს მონაწილეობას აბრეშუმის პარკის დამზადებაში. თანახმად „საქართველოს აბრეშუმთან" დადებულ ხელშეკრულებისა, პარკის დამზადება სწარმოებს 26 პუნქტში. წელს დაახლოვებით დამზადებული იქნება 45.000 ფუთი პარკი.

სატრანსპორტო კოოპერაცია

უკანასკნელი წლების განმავლობაში სატრანსპორტო - სამომხმარებლო კოოპერაციას მნიშვნელოვანი განვითარება დაეტყო.

1926 წლის პირველ ოქტომბრისათვის სატრანსპორტო კოოპერაცია აერთიანებდა 24,530 წევრს; 1927 წლის პირველ აპრილისათვის, ე. ი. ექვსი თვის განმავლობაში წევრთა რიცხვი გაიზარდა 6.350 კაცით. ანუ 26 პროცენტით.

1926 წლის პირველ ოქტომბრისათვის საპაიო თანხა უდრიდა 112.579 მანეთს, ანუ ერთ წევრზე საშუალოდ მოდიოდა 4 მან. 59 კ. 1927 წლის 1 აპრილისათვის საპაიო თანხა გაიზარდა 193.046 მანეთამდე, ანუ თითო წევრზე მოდის 6 მან. 25 კაპ. მიმდინარე წლის 1 აპრილისათვის მუშაობდა სულ 63სადუქნო კომისია 693 წევრით.

წევრებთან დამყარებული იყო ცოცხალი და საქმიანი კავშირი.

1925 წლის პირველ ოქტომბრისათვის სატრანსპორტო კოოპერაციის სავაჭრო სამრეწველო პუნქტების რიცხვი უდრიდა 163-ს, ხოლო 27 წლის 1 აპრილისათვის 168-ს. საანგარიშო ხნის შემდეგ ამას მიემატა 14 ერთეული და დღეს არის 182.

მიმდინარე წლის პირველ ორ კვარტალში სატრანსპორტო კოოპერაციის მიერ შეძენილ იქნა 4.663.197 მანეთის საქონელი, ამავე ხნის განმავლობაში გასაღებული იქნა 5.07[illegible].376 მანეთის საქონელი. მიმდინარე საანგარიშო წლის პირველი ნახევრის სავაჭრო ბრუნვა გასული წლის ამავე დროსთან შედარებით გაიზარდა 14,2 პროცენტით.

სატრანსპორტო კოოპერაციიდან მოკლე ვადიანი სესხით ისარგებლა 30.050 წევრმა. მათ მიერ გატანილ საქონლის ღირებულება უდრის 564.569 მანეთს. გრძელვადიანი სესხით ისარგებლა 230 წევრმა, 12,937 მანეთის საქონლით.

საანგარიშო ხნის განმავლობაში საზოგადოების ბალანსი საერთო საქმიანობასთან დაკავშირებით გაიზარდა 41 პროცენტით. ამაში შედის საპაიო კაპიტალიდა მოზიდული თანხა. ეს უკანასკნელი 1927 წლის პირველ აპრილისათვის უდრიდა 74 პროცენტს. საერთოდ ,საზოგადოების ფინანსიური მდგომარეობა მტკიცე და საიმედოა.

რაც შეეხება ზედნადებ ხარჯებს, გასაყიდ ღირებულებაზე ზედნადები 1927 წლის პირველ იანვრისათვის უდრიდა 21.44 პროცენტს, ამავე წლის მარტში ზედნადები შემცირდა 14,25 პროცენტამდე. გამგეობის საქმიანობა ფასების დაკლების კამპანიაში მიმართული იყო სხვა ზომათა შორის ზედნადები ხარჯების 12 პროცენტამდე შემცირებისაკენ.

თბილისის მუშკოოპი

თბილისის მთლიანმა მუშათა კოოპერატივმა თავისი საქმიანობა დაიწყო 1921 წლის შემოდგომიდან. ამ ხნის განმავლობაში ის თანდათან იპყრობდა ქალაქის კოოპერატიულ ბაზარს.

1921-22 წლიდან მუშკოოპი შეუდგა საორგანიზაციო მუშაობას სამომხმარებლო ბაზრის დასაპყრობად, და ამასთან დაკავშირებით აფართოვებდა თავის სავაჭრო ქსელს. 1924 წლის 1 ოქტომბრისათვის მუშკოოპის დუქნების რიცხვი უდრიდა 119-ს, 1927 წლის 1 აპრილისათვის კი 229-ს. სავაჭროების რიცხვი 1925 წელში წინა წელთან შედარებით გაიზარდა 50 პროცენტით, 1925-26 წელში კი მათი რიცხვი ძალიან ნელი ტემპით იზრდება. რაც აიხსნება კოოპერატივის მძიმე ფინანსიური მდგომარეობით; სამაგიეროდ მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ ნახევარში მისი ზრდა სწრაფია და აღწევს 92,4 პროცენტს. 229 სავაჭრო პუნქტიდან პურის საცხობია 137, სავაჭ. ქსელი მოსახლეობის რაოდენობასთან შედარებით მაინც არ არის დიდი. 1924 წლის 1 ოქტომბრისათვის მუშკოოპი აერთიანებდა 16.514 წევრს. 1927 წლის პირველ ნახევრისათვის კი—30.307; აქედან პროფკავშირების წევრებია 27.326.

როგორც ამ ციფრებიდან სჩანს, მუშკოოპის წევრთა დიდი ნაწილი მოდის მუშა-მოსამსახურეებზე, რომელთა რიცხვი წლიდან წლამდე იზრდება, თუმცა, საერთოდ; მათი გაერთიანება კოოპერაციაში სუსტია. მიმდინარე წლის პირველ აპრილისათვის თბილისში ირიცხებოდა რკინის გზის მოსამსახურეთა გამოკლებით 60.361 პროფკავშირის წევრი და ამ რიცხვიდან მუშკოოპში ჩაწერილია ამავე პერიოდისათვის 27.326, ე. ი. 45,3 პროც. მუშკოოპის წინაშე დასმულია ამოცანა პროფ. წევრების რაც შეიძლება მეტი რიცხვი იქნეს ჩაბმული მუშათა კოოპერაციაში

საპაიო თანხების მონაწილეობა კოოპერატივის მეურნეობაში შემდეგ სურათს იძლევა: 1924 წლის 1 ოქტომბრისათვის საპაიო კაპიტალი უდრიდა 28,654 მანეთს. 1927 წლის 1 აპრილისათვის კი 92.884 მანეთს საშუალოდ 1924 წელში ერთ წევრზე მოდიოდა 1 მანეთი 74 კაპ., წელს კი მოდის 3 მან. 6 კ.პ.

რაც შეეხება საქონლის ბრუნვას, 24-25 წელში იგი უდრიდა 10.455 ათას მანეთს. 26-127 წლის პირველ ნახევარში კი 8.626,000 მანეთს. არსებულ ეკონომიურ და ფინანსიურ პირობებში მუშკოოპის სავაჭრო ბრუნვა დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. გასული წლის განმავლობაში იგი გაიზარდა 32,5 პროცენტით. ხოლო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 62,8 პრ., 24-25 წლის პირველ ნახევართან შედარებით.

მუშკოოპის წონა მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში უდრის 25-26 პრ.

უნდა აღინიშნოს, რომ მუშკოოპის საკუთარი თანხები იმდენად მცირეა, რომ ვერ ფარავდა უძრავ ღირებულებას, რომელშიაც დაბანდებულია გარეშე თანხების ნაწილი 283.963 მანეთის რაოდენობით. საკუთარი თანხები საქონლის ბრუნვაში სრულიად არავითარ მონაწილეობას არ იღებს.

კოოპერატივის მთელი აღებ-მიცემობა სწარმოებს მოზიდულ (გარეშე) თანხებით. ასეთი მდგომარეობა აფერხებს მის სავაჭრო საქმიანობას. და რომ ეს გამოსწორდეს, საჭიროა საკუთარი თანხების, პირველ რიგში საპაიო თანხების გაძლიერება, შემდეგ, აუცილებელია ხარჯების შემცირება რომლებიც მიმდინარე წელში ბრუნვასთან შედარებით შეადგენენ 11,12 პროცენტს; აუცილებელი აგრეთვე საანაბარო კოოპერაციების განვითარება, ანაბარები; როგორც იაფ-ფასიანი კრედიტი. დახმარებას გაუწევს მუშკოოპს მის საქმიანობაში. ამ მხრივ გადადგმულია მთელი რიგი პრაქტიკული ნაბიჯები.

ბაქოს კოოპერატორების ჩამოსვლა

გუშინ ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა ბაქოს ცენტრალურ მუშათა კოოპერატივის სადუქნო კომისიების წევრების და რწმუნებულების ჯგუფი. სტუმრებს შეხვდა თბილისის მუშკოოპის კოოპერატიული აქტივი.

ბაქოს ცენტრალ. მუშათა კოოპერატივის გამგეობამ ამას წინად მოაწყო კონკურსი სადუქნო კომისიების საუკეთესო წევრზე და საუკეთესო რწმუნებულზე. კონკურსზე დაჯილდოებულები გაგზავნილი იქნენ როსტოვში,, ხარკოვში და თბილისში გამოცდილების გაცვლა-გამოცვლისა და კოოპერაციის მუშაობის გაცნობის მიზნით ამ ქალაქებში.

ბაქოელმა ამხანაგებმა გუშინ მონაწილეობა მიიღეს თბილისის მუშკოოპის სადუქნო კომისიების და რწმუნებულების გაერთიანებულ საზეიმო სხდომაში.

თბილისის მუშკოოპის სახელით სტუმრებს მიესალმა გამგეობის წევრი ამხ. **ძაბანია**. შემდეგ მისალმებებით გამოვიდნენ ბაქოს ცენტრალურ მუშათა კოოპერაციის კოოპერატიული აქტივის წარმომადგენლები.

მიესალმა რა თბილისის კოოპერატიულ აქტივს დამსწრეების სახით ცენტრალურ მუშათა კოოპერატივის გამგეობის წარმომადგენელმა ამხ. **პონომარიოვმა** აღნიშნა, რომ ისინი თბილისში ჩამოვიდენ კოოპერაციის საერთაშორისო დღის ზეიმში მონაწილეობის მისაღებად და იმისათვის, რომ გაუზიარონ აქაურ ამხანაგებს თავისი გამოცდილება.

ამჟამად,—სთქვა ამ. პონომარიოვმა,—ბაქოს მუშათა კოოპერაცია აერთიანებს 70.000 მეტ წევრს. კოოპერატიულ მასების აქტივობა უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაიზარდა. ფართოდ გამოყენებულია დაწინაურების მეთოდი.

დასასრულს, მუშკოოპის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ამხ. **ანინმა** გააცნო კრებას მუშკოოპის მუშაობა

კრებამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ბაქოს ცენტრალურ მუშათა კოოპერაციის კოოპერატიული აქტივის კონფერენციას, რომელიც დღეს იხსნება. რეზოლუციის გამომუშავება დაევალა კრების პრეზიდიუმს.

ბაქოს კოოპერატორების დელეგაცია გამოვა ყველა კრებებზე და მიტინგებზე, რომლებიც ამ ორ დღეში გაიმართება.

ნ. ბუხარინი

ჩინეთის რევოლიუციის მიმდინარე მომენტი

ჩინეთის რევოლიუცია თავისი განვითარების უძნელეს ეტაპს განიცდის. ნაციონალური ბურჟუაზიის შეიარაღებული ძალები სულ უფრო მჭიდროთ ირაზმებიან. ისინი უხანის არმიას აცლიან რიგებს და თავის მახვილს მიმართავენ ქვედა სოციალურ ფენების მასიურ მოძრაობის წინააღმდეგ, მუშების და გლეხების, „პლებეების" წინააღმდეგ, რომლებმაც დიდ აგრარულ რევოლიუციაში დასტაცეს ხელი ცულს და იერიშები მიიტანეს ქალაქის და სოფლის „წარჩინებულ", „სახელოვან" და „განათლებულ" დერჟიმორდებზე. სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებათა მზაკვრულ, თვალთმაქცურ ფონზე, მუდმივ კონფლიქტების, გენერლების კომბინაციების, სამოქალაქო და სამხედრო დიპლომატიის, ჯალათების საზეიმო დეკლარაციების და ასევე საზეიმო ალლუმების ქვეშ, იქ, სადაც ენაწყლიანი ლაყბობაა „სამ პრინციპზე", და ამავე დროს „ჩინურ ცერემონიით" აღრჩობენ ხალხს და ბრძანება ბრძანებას მოსდევს დახვრეტების შესახებ,—აი ასეთ აღრეულ ორომტრიალში მკაფიოდ რეკავს გააფთრებულ კლასიურ ბრძოლის ზარი, რომლის მრისხანე ძალღონება ჯერ კიდევ ბევრს სავსებით არ ესმის.

ფინის და ჩან-კაი-შის ბლოკი გამოხატავს კლასიურ ძალთა შემდგომ გადაჯგუფებას. მდგომარეობის განსაკუთრებული ორიგინალობა გამოიხატება იმაში, რომ სამ სოციალურ კლასიურ ბანაკს (თუ ავიღებთ ამბების უხეშ სურათს) აქვს სამი ჩამოყალიბებული სახელმწიფო ცენტრი. მართალია, ისეთი აჩქარებული მკვლევარები, როგორიც არის რადეკი, „წინააღმდეგ გონიერებისა", წინააღმდეგ სტიქიისა, უარჰყოფდენ ფეოდალიზმის არსებობას ჩინეთში. მართალია, რადეკის დანარჩენმა ოპოზიციონურმა კოლეგებმა კრინტიც კი არ დასძრეს (და ამას ხომ მჰქვია „კეთილსინდისიერი მარქსისტული გამოკვლევა") რადეკის შეცდომების შესახებ. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ანგოცზიუნი თავისი ჩან-ძო-ლინით, რომელიც იმპერატორობას ლამობს, არის ფეოდალური რეაქციის ბანაკი, იმპერიალისტების დუდუკზე მოთამაშე ბანაკი, ბანაკი, რომელიც არავითარ „რეფორმებზე" არ ფიქრობს, გარდა ერთისა: ახალი დინასტიის დაარსებაზე „მარშალისათვის" გვირგვინის შეთავაზებით. ეს ბანაკი ეხლა აშკარად დაქანების გზაზე მიდის.

მეორე ბანაკია—ლიბერალურ-ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუციის ბანაკი.

დღევანდელი მომენტის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ჩინეთის ამბების განვითარების დღევანდელ საფეხურზე ჯერ-ჯერობით ეს ბანაკი წარმოადგენს ძლევამოსილ ძალას, რომელსაც სრულიად თავისებური ადგილი უჭირავს კლასთა ბრძოლაში.

გენერლების გადატრიალებათა კლასიური საფუძველი საკმაოდ გამორკვეული იყო. ამ კლასიურ საფუძველს წარმოადგენს ლიბერალური ბურჟუაზიის გადასვლა კონტრრევოლუციის ბანაკში. აქ საჭიროა, აგრეთვე, დაუმატოთ, რომ ჩინეთის გლეხობის აბობოქრებული აგრარული რევოლიუცია, რომელმაც დიდათ შეაშინა ლიბერალური ბურჟუა და უაღრესად გააფთრა ის, უნდა გაგებულიყო მისი სპეციფიური ჩინური თავისებურობით. თუ პირველად რუსეთში მიწის ხელში ჩაგდებამ გააერთიანა მემამულეთა წინააღმდეგ გლეხობის თითქმის ყველა ფენები და ამ გლეხობის მთელი მასა ამხედრა ჩვენს რუს „ლენდ-ლორდების" წინააღმდეგ, სამაგიეროდ ჩინეთში, სადაც ძალიან ცოტაა მიწა, სადაც ასევე ცოტაა მსხვილი მემამულეები, მაგრამ სადაც არის კულაკთან შეზრდილი წვრილი მემამულე ,უფრო მწვავეა სამოქალაქო ომი სოფლად, უფრო ფართეა აგრარულ რევოლიუციაში ჩაბმული ფენები და, მაშასადამე, ისინი უფრო ფართედ არიან დაკავშირებულნი ქალაქის ლიბერალურ ბურჟუაზიასთან.

კლასიურმა გამიჯვნამ შვა ჩან-კაი-ში. ჩან-კაი-შიმ „შვა" ფინი, თავის მხრივ, ალბად, ფინიც შობს სხვა გენერლების ღალატს, და ამით უდიდეს საფრთხეს შეუქმნის უხანს. ჩან-კაი-ში პლიუს ფინი, პლიუს სხვა გენერლები, პლიუს (შესაძლებელია) მემარცხენე „მუკდენელები",—ასეთია ბურჟუაზიული ბლოკი მისი სამხედრო გამოხატულებით. მებრძოლ ბანაკებს შორის ჯერ-ჯერობით ეს ბანაკი წარმოადგენს ყველაზე ძლიერ ბანაკს და შემდეგშიც—ახლო მომავალში ის აუცილებლივ გაზრდის თავის ძალებს.

საჭიროა მდგომარეობის ფხიზელი აწონ-დაწონვა: სიბეცე იქნებოდა იმ მოწინააღმდეგის ძლიერების საკმაო შეუფასებლობა, რომელიც გამოდის უკვე, როგორც მუშებისა და გლეხების ჯალათი.

ამ ლიბერალურ-კონტრ-რევოლიუციონური ბანაკის ძლიერება მდგომარეობს ჯერ ერთი, მისი არმიის შეიარაღებულ ნაწილების მრავალრიცხოვნობაში, ხოლო, მეორე, მის პოლიტიკურ პოზიციაში ფეოდალური ბანაკის პოლიტიკურ პოზიციასთან შეფარდებით. პირველ ყოვლისა ჩვენ ამ „მეორე"-ზე უნდა შევჩერდეთ. ჩვენ არა ერთხელ ვწერდით, რომ ეს ბურჟუაზიული ბანაკი უკვე ხვრეტს მუშებსა და გლეხებს, მაგრამ ჯერ კიდევ არ გაერთიანებულა ფეოდალურ რეაქციასა და იმპერიალიზმთან. მას ახასიათებს ამ უკანასკნელთან შეერთების ტენდენცია და რაც უფრო საშიში იქნება მუშებისა და გლეხების აჯანყება, ის უფრო მეტად გამოიჩენს ამ ტენდენციას. მაგრამ ის ჯერ კიდევ არ შეერთებია ფეოდალურ რეაქციას და იმპერიალიზმს, ის ერთგვარად დამოუკიდებელია, მას აქვს უფრო მეტი მოჩვენებითი დამოუკიდებლობა. და აი სწორედ ეს მატებს მას პოლიტიკურ ძალას ქვეყანაში.

ყველაზე ნათლად ეს სჩანს ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუციის საპროგრამო განცხადებებიდან, რამდენადაც ლაპარაკია „იდეოლოგიას" და მუკდენთან ბრძოლაზე, რამდენადაც ლაპარაკია სამოქალაქო ომის „ფაქტებზე".

ჩან-კაი-შის დეკლარაციის (ნანკინის მთავრობის სამოქალაქო პროგრამა) მეათე თეზისი ამბობს: „ჩინეთს აქვს სამი გზა: ან დაემორჩილოს მილიტარიზმსა და იმპერიალიზმს, ან წავიდეს კომუნიზმის გზით, ან ნამდვილად გაჰყვეს გომინდანის სამს პრინციპს და შექმნას ძლიერი მთავრობა".

ლიბერალები არაჩვეულებრივად მოხერხებულად იყენებენ ამ პოზიციას. ისინი გამოდიან ჩინეთის ნამდვილ გამანთავისუფლებელთა წილებით, წინააღმდეგ კომუნისტებისა, რომლებსაც ისინი უწოდებენ „რუსეთის სახელმწიფოს" აგენტებს და ამისთვის იყენებენ პუანკარეს, ჩემბერლენის და „საერთაშორისო" სოციალ-დემოკრატიის რჩეულ სიცრუეს. ხსენებული დეკლარაციის მეოთხე თეზისის ერთ-ერთი პუნქტი არაჩვეულებრივად ცბიერად, ეშმაკურად და ამავე დროს მოტყუების თვალსაზრისით, მეტად მოხერხებულად შემდეგნაირად აყალიბებს ამ მდგომარეობას: „გომინდანი (რასაკვირველია, მემარჯვენე ჯგუფი—ჩან-კაი-ში და მისი კომპანია. ბუხარინი) იცავს ერთა თვითგამორკვევას და შეერთებას მსოფლიო რევოლიუციასთან (ხუმრობთ თუ? ბუხარინი) ერთა შორის თანასწორობის საფუძველზე, მაშინ როდესაც კომუნისტები ემორჩილებიან რუსეთის მანიპულიაციებს".

რასაკვირველია, მასები თანდათან უფრო ნათლად დაინახავენ ამ სიცრუეს. ამ სიცრუის წინააღმდეგ ილაპარაკებს—და ლაპარაკობს კიდეც—დახვრეტა ფოლადით და ტყვიით, რომლითაც ასე ხშირად უმასპინძლდებიან ჩინელ მუშებსა და გლეხებს ლიბერალური „განმანთავისუფლებელნი"; ამ სიცრუის წინააღმდეგ ილაპარაკებს რეპრესიები, რომლებსაც აწარმოებენ ჩინელი ერის უმრავლესობის აგრარული მოძრაობის მიმართ „მსოფლიო რევოლიუციის" ეს ორიგინალური მომხრენი. საბოლოო ანგარიშით ამ სიცრუეს ვერ უშველის გაზრწნილი სიტყვები ჩვენი ოპოზიციისა, რომელიც ჩირქს სცხებს ჩვენი პარტიის პოლიტიკას და უწოდებს რა მას „ეროვნულად შეზღუდულ" ან და „ეროვნულ კონსერვატიზმის" განმსახიერებელ პოლიტიკას, წყალს უსხამს საბჭოთა კავშირის რევოლიუციონური ზეგავლენის შეურიგებელ მოწინააღმდეგეთა წისქვილს (ვინაიდან, თუ აქ მართალია ოპოზიცია, მაშინ მართალია, აგრეთვე, ჩან-კაი-შიც საკითხში „რუსეთის მანიპულიაციების" შესახებ). მაგრამ მაინც საჭიროა ვაღიაროთ, რომ ჩრდილოეთთან ბრძოლისა და ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ტრადიციების გამოყენების კომბინაცია საერთოდ წარმოადგენს განსაზღვრულ პოლიტიკურ კაპიტალს, რომელიც ჯერ კიდევ იძლევა თავის პოლიტიკურ პროცენტებს.

ჩვენ აღარ შევჩერდებით ნანკინის „პროგრამის" დანარჩენ პუნქტებზე: უმუშევრობის მარჯვე გამოყენებაზე უხანში (სადაც კაპიტალისტებმა დახურეს ფაბრიკები და გაიქცნენ) და დაპირებებზე რვა საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ „მომავალში". ჩვენ აქ გვინდა მხოლოდ ხაზი გაუსვათ ლიბერალური კონტრ-რევოლიუციის კიდევ ერთ ძლიერ მხარეს, სახელდობრ იმ გარემოებას, რომ მესამე ბანაკში, უხანის ბანაკში, მას ჰყავს თავისი აგენტურა, მაშინ, როდესაც ბუნება ვერ ითმენს წინააღმდეგს.

აქ ჩვენ უკვე გადავდივართ მესამე ბანაკზე, უხანის ბანაკზე. რაშია მისი სისუსტე?

ეს სისუსტე, პირველ ყოვლისა, მდგომარეობს იმაში, რომ ამ ბანაკს, ამ სახელმწიფოებრივ ცენტრს არ ჰყავს საკმაოდ საიმედო შეიარაღებული ძალა. მისი არმია დნება. ფინის ღალატით მან დაჰკარგა არმიის საუკეთესო ნაწილი, ხოლო დარჩენილი მეორე ნაწილი ტან-შენ-ჩის მეთაურობით ასევე საიმედო არ არის. ზედმეტია იმედის დამყარება ჩან-კაი-შისა და ტან-შენ-ჩის პირად უთანხმოებაზე. კლასიური „შურისძიების" ხმა ძლიერია პირადი მტრობის ხმაზე და კლასიური ბრძოლის ლოგიკა კი—პირადი კონფლიქტების ლოგიკაზე. ცხადია, საკმარისი არ არიან მცირერიცხოვანი, ნამდვილად არა საიმედო ნაწილები. მეორე, უხანის სისუსტე მდგომარეობს იმაში, რომ ამ ბანაკში (გომინდანის ცეკასა და მთავრობაში) იმყოფებიან ჩან-კაი-შის აშკარა აგენტები, მერყევი ტიპიური წვრილბურჟუაზიული პოლიტიკოსები. მათ შინაგან შიშს აგრარული რევოლიუციის წინაშე, შიშს, რომელიც ტანში აჟრჟოლებს მათ და ყოველმხრივ აფერხებს ამ რევოლიუციას, მოსალოდნელი უბედურებით გაათკეცებულ შიშს შეუძლია გადაიყვანოს ისინი ლიბერალებისა და ჩან-კაი-შიელების ბანაკში. თუ მოვიგონებთ იმას, რომ თვით ხელმძღვანელი კომუნისტებიც უშვებდენ ოპორტუნისტულ შეცდომებს, მაშინ ადვილი გასაგებია, რომ უკიდურესი სისუსტე და უთანხმოება უხანის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში, რომელიც ამასთანავე სრულიად არ არის შეფარდებული მასების ზრდასთან, არის უხანის ბანაკის ყველაზე სუსტი ადგილი.

რომ ნამდვილად სრულდებოდეს კომინტერნის დირექტივები, რომ არ ფერხდებოდეს აგრარული რევოლიუციის საქმე, რომ ენერგიულად სწარმოებდეს მუშებისა და გლეხების შეიარაღება, რომ სდგებოდეს საიმედო ჯარის ნაწილები, რომ მასებისათვის გასაგები იყოს პოლიტიკური ხაზი და რომ დირექტივა გომინდანის დემოკრატიზაციის შესახებ სრულდებოდეს ისე, როგორც საჭიროა, მაშინ მდგომარეობა უხანისათვის ამდენად სახიფათო აღარ იქნებოდა. შეუფარდებლობა და ერთგვარი წინააღმდეგობა გომინდანის ზედაფენსა და მის წევრთა მასას შორის, ხელმძღვანელობასა და ფაქტიურ მოძრაობას შორის—აი უხანის ბანაკის უმთავრესი მტკივნეული ადგილი.

ამ მესამე ბანაკის მთელი ძალა მთლიანად მდგომარეობს მუშებისა და გლეხების მძლავრ მოძრაობაში. რევოლიუცია ჩამოიშორებს და გადაისვრის მოხეტიალე უბედებს მოწინააღმდეგის აგენტებს და მერყევ და მხდალ „ბელადებს". ის მოახდენს მათ შერჩევას, გაატარებს რა მათ მძიმე განსაცდელების საცერში. იმდენად დიდია მასიური მოძრაობა, ხალხის ისეთი უზარმაზარი ტალღა ამოძრავდა, იმდენად ძლიერია ხალხური „პლებეიური" სტიქია, რომ, საბოლოო ანგარიშით, მას ვერავითარი ზღუდე ვერ გაუძლებს.

ასეთია კლასთა ძირითადი დისპოზიცია.

ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ „მიმდინარე მომენტმა" მთელი სიმძაფრით წამოაყენა ჩინეთის რევოლიუციის განვითარების ორი გზის საკითხი, საკითხი, რომელსაც ჩვენ თეორიულად თავიდანვე ვაყენებდით. როგორც ყოველთვის, ცხოვრება თეორიაზე ბევრად უფრო მდიდარი, მნიშვნელოვანი, მრავალმხრივი და ვერაგი აღმოჩნდა. მაგრამ ამ კითხვის დაყენების პრაქტიკული ღირებულება მთლიანად დამტკიცებულია.

ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუციის ბანაკი, რაგინდ პარადოქსალურად არ უნდა გვეჩვენოს ეს, ჯერ კიდევ იბრძვის ფეოდალების და ნაწილობრივ იმპერიალისტების წინააღმდეგ (თუმცა ადგილი აქვს კომპრომისებს და შეთანხმებებს). თავისი „მუშაობის" ამ ნაწილით იგი ჯერ კიდევ მიათრევს განმათავისუფლებელი ბრძოლის ტრადიციათა ნაშთებს. ამავე დროს ის გაცოფებული ილაშქრებს საკუთარი ნაციის მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ და ხდება მათ უბოროტეს ჯალათად. ამით (რაც მთლიანად ფარავს ყველაფერ დანარჩენს) იგი იქცევა უბოროტეს ჯალათურ კონტრ-რევოლიუციად.

მაგრამ ეს არის კლასიურ ძალთა კონკრეტული განსახიერება მათ ბრძოლაში ორი გზის საკითხის გარშემო: საკითხის ლიბერალურ-კომპრომისული გადაწყვეტა და ჩინეთის გაერთიანება „მკვიდრ" ბურჟუაზიულ უფლებრივ წესრიგის ნიადაგზე იმპერიალიზმის ეკონომიურ პროტექტორატის ქვეშ (უკანასკნელისაგან სათანადო დათმობათა მიღებით) და შინაგან ფეოდალებთან კომპრომისით—ეს არის პირველი გზა.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციის ამოცანების „პლებეიური" გადაჭრა, ფეოდალიზმის ყველა ნაშთების გადამჭრელი აღმოფხვრა, იმპერიალიზმთან გადამწყვეტი ბრძოლა, მუშათა კლასის და გლეხობის დიქტატურა და სოციალისტური გზის პერსპექტივა შემდგომისათვის—აი კითხვის მეორე „გადაჭრა". ან სხვანაირად: მუშათა კლასის და ლიბერალურ ბურჟუაზიის შორის ბრძოლა ჰეგემონიისათვის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლიუციაში. ეს ბრძოლა ჰეგემონიისათვის, ან რაც იგივეა, ჩინეთის რევოლიუციის განვითარების ლიბერალურ თუ პლებეიურ გზისათვის—წარმოადგენს ეხლანდელ კლასიურ ბრძოლათა შინაარსს. რამდენადაც საშიშია ამჟამად მდგომარეობა, მით უფრო ენერგიული უნდა იქნეს დახმარება მესამე ბანაკისათვის, მით უფრო ენერგიულად უნდა სწარმოებდეს მუშების, გლეხების და წვრილ-ბურჟუაზიულ მასების მობილიზაცია. „პლებსი" უნდა ორგანიზაციულად დაირაზმოს და ფეხზე დადგეს ამ უდიდეს ისტორიულ ბრძოლაში იმპერიალიზმის, ფეოდალების და ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლიუციის ძალების წინააღმდეგ, იმ ძალების წინააღმდეგ, რომლებიც „პარალელურად" ხვრეტენ და ახრჩობენ მუშებს და გლეხებს, სწვავენ სოფლებს და მუშურ უბნებს, ერთხმად ღრიალებენ კომუნისტური პარტიის და ჩინეთის პროლეტარიატის წინააღმდეგ. აგრარულ რევოლიუციის და მუშათა კლასის „ტერორის" წინააღმდეგ.

კომუნისტური ინტერნაციონალის პოლიტიკა აშკარაა: მასების მობილიზაცია, აგრარულ რევოლიუციის განვითარება, მუშათა მოძრაობის გაფართოება და გადამჭრელი ბრძოლა მოღალატეთა და გამცემთა წინააღმდეგ.

ერთ-ერთი ძირითადი ლოზუნგი უნდა იქნეს: „მუშებო და გლეხებო, იქონიეთ მხოლოდ საკუთარი ძალღონის იმედი, ნუ ენდობით გენერლებს და ოფიცრებს და მოაწყვეთ საკუთარი შეიარაღებული რაზმები". ბრძოლა ამჟამად იშლება მთელ ხაზზე. საჭიროა უდიდესი გარკვეულობა. საჭიროა უდიდესი წინააღმდეგობის გაწევა ჩან-კაი-შის და ფინის ნახევარ აგენტთა შეთანხმებლურ ტენდენციებისათვის. საჭიროა აღებულ იქნას კურსი გომინდანის სათავის გასაწმენდად მერყევ ელემენტებისაგან. საჭიროა კონსოლიდაცია ნამდვილ იაკობინურ „პლებეიურ" კადრებისა, რომ მათ შეძლოთ ბრძოლა ბოლომდე, ყოველ საშიშროებათა და დამარცხებათა მიუხედავად. ფინი გადავიდა სახალხო რევოლიუციის მოპირდაპირეთა ბანაკში და მის წინააღმდეგ საჭიროა ულმობელი ბრძოლის წარმოება.

უდიდესი გულუბრყვილობა იქნებოდა ფიქრი იმაზე, რომ კომუნისტებმა, მუშებმა და გლეხებმა იფიქრონ კომპრომისებზე ფინსა და კომპარტიას შორის. ასეთი ტაქტიკა იქნებოდა აბსოლიუტურად ლიკვიდატორული დამოკიდებულება აგრარულ რევოლიუციისადმი და ჩინეთის პლებეიური გზით განვითარებისათვის ბრძოლისადმი.

არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ ასე. იმ შემთხვევაშიც კი, რომ დაეცეს მტრებით გარსშემორტყმული უხანი, ბრძოლა მაინც წინ წავა ახალ ფორმებში. სრულიადაც ადვილი საქმე როდი არის მთელი ხალხური მუშურ-გლეხური ჩინეთის ოკუპაცია ჯარების [illegible]ნით. რამდენად გამწვავებულია ბრძოლა ჩანს თუნდაც იმ ფაქტიდან, რომ ხუბეის პრინციაში მაისსა და ივნისს დახოცეს 3000 გლეხი, ეროვნული მთავრობის ტერიტორიაზე მემამულეთა რაზმებმა დახოცეს გლეხთა კავშირის 2000-მდე მუშაკი.

რამდენადაც არ უნდა გააფთრდეს ოფიცერ-აზნაურთა ხროვა, უდიდესი არმიებიც კი ვერ შესძლებენ უზარმაზარი ტერიტორიის დაჭერას, ტერიტორიის, რომელზედაც აუცილებლივ ავარდება გლეხურ აჯანყებათა ალი. ასობით, ათასობით და ათი ათასობით გლეხების დახვრეტით იოტის ოდნავადაც არ გადაჭრება რევოლიუციის მიერ წამოყენებული ობიექტიური ამოცანები. ლიბერალურ კონტრ-რევოლიუციონერებს არ შესწევთ უნარი აგრარ-გლეხური საკითხის გადაჭრისა ნახევრად მაინც, და აი სწორედ ეს მიიყვანს მათ აუცილებელ დამარცხებამდე, რა გინდ ნაწილობრივი არ უნდა გამარჯვონ მათ რევოლიუციონერ ხალხზე.

ეს აუცილებლად ზედ ერთვის შემდეგი გარემოება: რამდენადაც უფრო გააფთრებული იქნება ბურჟუაზიის ომი ხალხური მასების წინააღმდეგ, იმდენად ეს ბურჟუაზია უფრო [illegible] მოთავს იმპერიალისტებს და შეევედრება მათ დახმარებას. რამდენადაც მალე დახარჯავს ის თავისი პოლიტიკური კაპიტალის ნარჩენს, იმდენად ის უფრო ჩქარა წავა თავის დამარცხებისაკენ. იმდენად უფრო ნათელი გახდება, რომ ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ჩინეთში შეიძლება მიდიოდეს მხოლოდ ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

შეიძლება აღიძრას მეორე საკითხი, სახელდობრ—საკითხი საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის შესახებ. შეიძლება დაისვას საკითხი: საბჭოთა სახელმწიფომ უნდა გასწყვიტოს თუ არა ყოველგვარი კავშირი ნანკინის მთავრობასთან?

კითხვაზე, რასაკვირველია, უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. მარტო საბრალო პოლიტიკოსებს და „გულუბრყვილო" ხალხს შეუძლია ეფიქროს, რომ პროლეტარულ სახელმწიფოს შინაგანი მდგომარეობა მოითხოვს იმაში, რომ არავითარი კავშირი არ ჰქონდეს კაპიტალისტურ გარემოცვასთან. პირიქით, სასურველია ერთგვარი კავშირი. ერთ გონიერ ადამიანს არ წამოუყენებია საკითხი საბჭოთა დიპლომატიის ინსტიტუტის და საგარეო ვაჭრობის გაუქმების შესახებ „პრინციპების „სიწმინდის" გულისთვის. მაგრამ თუ კი საბჭოთა სახელმწიფოს ჰყავს თავისი წარმომადგენლები დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბურჟუაზიულ ქვეყნებში, თუ კი ამას ურთიერთობას ჩან-ძო-ლინის ფეოდალურ სახელმწიფოსთან, თუ კი მას ჰყავს თავისი წარმომადგენლები სინიორ მუსოლინის ფაშისტურ [illegible], მაშ რატომ უნდა გასწყვიტოს კავშირი ნანკინის მთავრობასთან? კავშირის ჩვეულებრივი ფორმები აუცილებლივ დაცულ უნდა იქნას. უფრო მეტი, თუ საბჭოთა დიპლომატია მოვალეა გაითვალისწინოს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტერესების შეჯახებითი განსხვავება, ის უფრო მეტად მოვალეა გაითვალისწინოს ანტაგონიზმი ჩინეთის [illegible] ლიბერალურ პრეტენდენტებსა მათ იმპერიალისტურ პარტნიორებს შორის, რომლებიც ასე თუ ისე, მაინც სძარცვავენ ჩინეთს, მიუხედავად „მმართველობის ფორმისა".

ცხადზე უცხადესია პრაქტიკული განსხვავება კომინტერნსა და საბჭოთა მთავრობას შორის, და ჩვენ გვგონია, რომ ჩემბერლენისათვისაც კი საკმაოდ პოპულიარულად განვმარტეთ დიპლომატიურ და სავაჭრო კავშირს პროლეტარული სახელმწიფო აწარმოებს არა კაპიტალისტურ ან და ფეოდალურ ექსპლოატატორების პოლიტიკის „მოწონების" თვალსაზრისით. ხოლო კომუნისტური ინტერნაციონალი არ აწარმოებს რომელიმე მეორე სახელმწიფოსთან სავაჭრო და არც დიპლომატიურ ურთიერთობას. ის უშუალოდ აწყობს რევოლიუციას.

დავუბრუნდეთ კომინტერნის პოლიტიკის საკითხებს. ჩვენი ოპოზიცია, რომელიც „პროტესტს" აცხადებდა და მუდამ „უკმაყოფილო" „აღშფოთებული" იყო იმით, რომ თითქოს მართლაც „აწერდენ" მას ლოზუნგს გომინდანიდან გამოსვლის შესახებ, ეხლა აშკარად აცხადებს, რომ ის მოითხოვს ამ გამოსვლას.

იბადება კითხვა—რატომ? იმიტომ, რომ ზედა ფენებში ქანაობენ გომინდანის ბელადები? მაშ გომინდანის [illegible] რაღაა—არარაობა? რა დროიდან წყდება მასიურ ორგანიზაციისადმი დამოკიდებულება იმით, რაც კეთდება მის „უმაღლეს" მწვერვალში?

ლიბერალური კონტრ-რევოლიუციის მთელი ცდა ეხლა იქითკენ არის მიმართული, რომ განდევნონ გომინდანიდან კომუნისტები, რომ გამიჯნონ და ალყა შემოარტყან მათ. მთელი რეაქცია ბანს აძლევს ამ მელოდიას. ყველამ იცის, რომ შეუჩერებლივ იზრდება კომპარტიის გავლენა გომინდანში. ყველამ იცის, რომ გომინდანის ქვედა ორგანიზაციები, განსაკუთრებით მუშები და გლეხები, თავისი სოციალური-კლასიური შემადგენლობის მიხედვით, იმყოფებიან კომუნისტების ხელმძღვანელობის ქვეშ. ყველამ იცის, რომ ჩან-კაი-შის ხროვა იმიტომ იბრძვის უხანის წინააღმდეგ, რომ ის მემარცხენე გომინდანში ხედავს „კომუნისტების აგენტურას". დაბოლოს, ყველამ იცის, რომ ჩან-კაი-შის ლოზუნგს წარმოადგენს ბოროდინის დაპატიმრებისა, დასჯის და უხანის მთავრობიდან და გომინდანის ცეკადან კომუნისტების განდევნის ლოზუნგი.

ასეთ დროს,ჩვენ თვითონ, თითქოს „რევოლიუციონური" თვალსაზრისით უნდა „შევასრულოთ ამ ბატონების მოთხოვნილებები.

ამ ტაქტიკას ჩვენ ვერ დავადგებით. ჩვენ მაინც უნდა განვაგრძოთ მუშაობა გომინდანში, გავწმინდოთ ის ბურჟუაზიულ მაჩანჩალებისა და ყოველნაირი ჯურის რენეგატებისაგან. მაგრამ წასვლა იმ დროს, როდესაც ამას მოითხოვს მოწინააღმდეგეთა ბლოკი—ჭეშმარიტად საკვირველი ტაქტიკაა.

სიუ-ჩუიუს კონფერენციაზე, სადაც მოხდა ჩან-კაი-შისა და ფინის შეხვედრა, მიღებულ იქნა, დაახლოვებით, შემდეგი პლატფორმა: „უხანი აღიარებს თავის „შეცდომებს", კომუნისტები განდევნილი იქნებიან გომინდანიდან, ბოროდინი დათხოვილი იქნება და „მაღალი მხარეები" გაერთიანებული ძალებით შეთანხმებულად გაილაშქრებენ პეკინის წინააღმდეგ".

მერყევი გომინდანელები (არა ვან-ტინ-ვეი, რომელიც დანარჩენებზე მტკიცედ დგას) მზად არიან მიიღონ ეს გეგმა. ხოლო ჩვენი „ოპოზიტორები" პირდაპირ იღებენ ამ „პლატფორმას".

თვალის დახუჭვის მაგიერ ჩვენ უნდა განვამტკიცოთ ჩვენი პოზიციები გომინდანსა და ეროვნულ მთავრობაში, გავაძევოთ, თავიდან მოვიშოროთ მერყევი გომინდანელები, გამოვააშკარავოთ ისინი და რამდენადაც შესაძლებელია, გავამაგრდეთ. ხოლო იმის შემდეგ, როდესაც [illegible]იდან მოვიშორებთ ამ ზედმეტ ბალასტს და როდესაც სათავეში ჩავაყენებთ „ნამდვილ მემარცხენეებს", უნდა ვიბრძოლოთ ჩვენი დროშისთვის.

ხოლო ეს თუ არ მოხერხდა? თუ დღეს მოწინააღმდეგის ძალა ბევრად სჭარბობს ჩვენს ძალას? ეს შესაძლებელია. შესაძლებელია, რომ უხანი დამარცხდეს. შესაძლებელია, მთავრობის ცენტრი აფეთქდეს შინაგანი წინააღმდეგობების გამო, ისეთ პირობებში, როდესაც შეუძლებელი გახდება ნამდვილი იაკობინური „მემარცხენე" ე. ი. ერთგვარი „უხანის „რევკომის" შედგენა. მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვიბრძოლოთ საქმის ასეთი მიმდინარეობისათვის. კიდევ უფრო მეტად უნდა ვიბრძოლოთ ჩვენი პოზიციების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის გომინდანში მაშინ, როდესაც მისი წევრების ძირითადი მასა კომუნისტების გავლენის ქვეშ იმყოფება. გომინდანი დაიღუპება თუ ის არ წავა აგრარული რევოლიუციის განვითარების გზით. მაგრამ კომპარტია ამით არ არის დაინტერესებული: ის დაინტერესებულია იმით, რომ ამ ორგანიზაციაში თავისი გავლენის განმტკიცების შემდეგ, გააფართოვოს ის, გადააქციოს ის ძლიერ, თავის ძირითადი შემადგენლობის მიხედვით მუშურ-გლეხურ პარტიად, დემოკრატიული პლებეიური რევოლიუციის ორგანოდ. ამის შესაძლებლობა არის, და უარის თქმა მის გამოყენებაზე იქნებოდა სრული უგუნურობა.

დაე, სასოწარკვეთილმა სკეპტიკოსებმა [illegible] მოღალატეთა გამარჯვების გამო. მარქსისტ-ლენინელებმა იციან, რომ ჩინეთის რევოლიუციონური მასების გამოღვიძებული სტიქიური ძალა მაინც გაიკაფავს გზას თავის გამარჯვებისაკენ, რანაირი ზღუდეც არ უნდა აღუმართოს ამ მოძრაობას ბურჟუაზიულმა კონტრ-რევოლიუციამ, რანაირი სასჯელიც არ უნდა მოახდინოს ფეოდალურმა რეაქციამ და რანაირი ზარბაზნებიდანაც არ უნდა დაუშინონ ჩინურ ქალაქებს უცხოელმა ოკუპანტებმა.

„პრავდა".

მოსკოვი, 30 ივნისი.

პარტიული ცხოვრება

პარტგადასახადის შეტანის შესახებ

პარტდისციპლინის დარღვევის ყველაზე უფრო ხშირ და, შეიძლება ითქვას, საყოველთაო მოვლენას წარმოადგენს პარტიულ გადასახადის დროზე შეუტანლობა. ბევრს ეს დიდ „ცოდვათ" არ მიაჩნია. პარტგადასახადი „სხვებთა-შორისი" მოვალეობა ჰგონია და ამიტომ თავს არ იწუხებს კუთვნილი თანხის ყოველთვიურათ და თავის დროზე შეტანისათვის.

უკანასკნელ აღწერის დროს რაიონულ ორგანიზაციებმა მაგრათ მოკიდეს ხელი პარტიულ გადასახადთა დავალიანებს გამოსწორებას. ის ამხანაგები, რომელთაც შეტანილი არ ჰქონდათ გადასახადი უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში კარგავენ პარტბილეთის გაცვლის უფლებას. ამ ზომამ დიდი სარგებლობა მოიტანა, თითქმის ყველა უჯრედებში ვასწორებულ იქნა პარტდავალიანება.

მაგრამ უკანასკნელ ხანებში ეს სენი ისევ იკიდებს ფეხს ორგანიზაციაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პარტდავალიანებას უფრო ხშირათ ადგილი აქვს ისეთ ამხანაგის მხრივ, რომელნიც სხვებთან შედარებით უკეთ არიან უზრუნველყოფილი მატერიალურად და უჯრედის პასუხისმგებელ წევრებათ ითვლებიან. ჩვენ ვიცით პარტიის წესდება, რომლის თანახმად პარტიულ გადასახადის შეტანის მაქსიმალური ვადა 3 თვით არის განსაზღვრული.

ეს მუხლი არ უნდა დავტოვოთ განუხორციელებლად. უჯრედების ხელმძღვანელ ორგანოებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ, რათა პარტდავალიანებას აღარ დაურჩეს მათ ორგანიზაციაში ადგილი. საჭიროა ყველამ შეიგნოს, რომ პარტიული გადასახადის თავის დროზე და უკლებლივ შეტანა არის არა უბრალო ფორმალობა, როგორც ეს შეიძლება ზოგიერთებს წარმოუდგენია, არამედ პარტიულ მოვალეობის კეთილსინდისიერათ შესრულება, რითაც ჩვენ ხელს უწყობთ პარტიის მატერიალური საფუძვლის გამაგრებას და ბოლშევიკური დისციპლინის განმტკიცებას.

ქისტი ქალები პანკისის ხეობიდან

(თელავს მაზრა)

კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი მუშაობაა საჭირო კულტურულ-ეკონომიურ დარგში, რომ პანკისის გლეხობა დაწინაურდეს. განსაკუთრებით ქალი არის იქ უკულტურობის მსხვერპლი. ქალის როლი განისაზღვრება ენით მოლაპარაკე საქონლის სახით. მრავალ-ცოლიანობა ქისტებში დაკანონებულია!? ხოგს ორი-სამი და ზოგჯერ მეტი ცოლიც ჰყავს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე ამ გარემოებას კიდევ ურიგდებოდნენ ქისტის ქალები,—მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ მიყრუებულ კუთხეშიაც შეაშუქა თავისუფლების სხივებმა და ბევრს გონება გაუხსნა. ქალი წავიდა მამაკაცის სურვილის წინააღმდეგ, ის ეუბნება მას: „საბ. ხელისუფლება წინააღმდეგია მრავალ-ცოლიანობის,—შენ თუ მეორე ცოლის მოყვანა გსურს, წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ ამის უფლებას მოგცემ მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ სასამართლოს წესით განვშორდებით, ეს მე სადელეგატო კრებაზე შევისწავლეო".

ადვილი წარმოსადგენია თუ შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს სიტყვები საკუთნოებით დამონებულ ქალისაგან წარმოთქმული.

ჯოყოლოში არსებობს პროფსკოლა; როგორც გამოირკვა, მამაკაცები ყოველგვარ ზომებს ხმარობენ, რომ ქალები არ გაუშვან არც პროფსკოლაში და არც კრებებზე. ასეთივე სურათის სხვა კუთხეშიაც ნახავთ.

უნებურ გაკვირვებას იწვევს შემთხვევები,—როცა ზოგიერთი პარტიის წევრებიც კი არ აძლევენ თავიანთი ოჯახის წევრებს კრებაზე სიარულის ნებას. უნდა ითქვას, ისტი ქალები ძალიან დაინტერესებული არიან მუშაობით.

ჯოყოლოში არის ერთი პარტიის წევრი ქისტი, რომელსაც უხდება სადელეგატო კრების ხელმძღვანელობა და ქართული ენიდან ქისტურად თარგმნა. სჩანს მას თავისი მოვალეობა კარგათ შეუსრულებია. ახმეტის მოძრავ—პარტსკოლაში ირიცხებოდა 12 დელეგატი გლეხის ქალი. როგორც სკოლის გამგე ამხ. სალარიძე გადმოგვცემს, ისინი გულმოდგინეთ უსმენდენ საუბარს და ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ისინი კამათში მონაწილეობას ღებულობდენ. სწავლის დასაწყისის დროს წერა-კითხვის სრულიად უცოდინარ ქალებს ეხლა საკვირველად შეუსწავლიათ პარტიის ისტორია, საბჭოთა კონსტიტუცია და სხვა. სკოლის გამოშვების დროს ისინი მოითხოვდენ მეცადინეობის გაგრძელებას, რომლის საშუალება ალბათ არ ქონდა მოძრავ პარტიულ სკოლას, მაგრამ მათთვის დაარსებულ იქნა თვითგანვითარების წრე.

მე მინდა შევჩერდე პანკისის პროფსკოლაზე, უნდა ითქვას, რომ ის სკოლა ძალიან ღარიბია. ადგილობრივი ბიუჯეტი მას ვერ აკმაყოფილებს, არის შემთხვევა როცა ორი სამი თვე მასწავლებლები ვერ ღებულობენ ჯამაგირს, და ეს სამწუხარო ფაქტი ხდება იქ, სადაც ასეთი სკოლები აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, სადაც აგიტაციასთან დაკავშირებით პრაქტიკული ღონისძიებებიც არის საჭირო. ასეთ შემთხვევებს ყურადღება სჭირია განათლების კომისარიატის მიერ.

როგორც ირკვევა, აქ თელავში, განათლების კომისარიატის ხარჯზე არც ერთი პროფსკოლა არ არსებობს.

ნატაშა ლომთათიძე.

როგორ მუშაობდა სოფ. კოდის უჯრედი

(თბ. მაზრა, ასურეთის თემი)

თბილისის მაზრის გლეხურ უჯრედთა შემმოწმებელმა კომისიამ სხვა უჯრედებთან ერთად გამოიკვლია სოფ. კოდის უჯრედიც. გამოკვლევამ ნათელი გახადა ის გარემოება, რომ უჯრედი ვერ სარგებლობს შესაფერი ავტორიტეტით გლეხურ მოსახლეობაში. ამის მიზეზი უჯრედის საერთო სუსტი მუშაობა და ცალკე კომუნისტების უდისციპლინობა.

მიუხედავად იმისა, რომ უჯრედი ასურეთის თემკომიდან დაშორებულია უმნიშვნელო მანძილით (10 ვერსით). იგი მაინც მოკლებულია თემკომის ხელმძღვანელობას, ეს მდგომარეობა, რასაკვირველია, ცუდ გავლენას ახდენს უჯრედის მუშაობაზე.

უმაღლეს პარტორგანოთა დირექტივებს უჯრედი სწავლობს და ამუშავებს, მაგრამ ვერ ახერხებს ამ დირექტივების განხორციელებას.

უჯრედი მცირე ყურადღებას აქცევს საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ხელმძღვანელობას. მას საკუთარი ინიციატივით არასოდეს არ მოუსმენია ამ ორგანიზაციათა მოხსენებები. უჯრედზე საბჭოთა და ნებაყოფლობითი ორგანიზაციის ანგარიში მხოლოდ ზევით მდგომ პარტორგანოების წარმომადგენელთა მოთხოვნით თუ დაისმებოდა. მიღებული დადგენილებას უჯრედი ვერ ატარებდა ცხოვრებაში.

კომკავშირის უჯრედის საქმიანობა და ქალთა შორის მუშაობა პარტხელმძღვანელობის გარეშე იყო დარჩენილი, კომუჯრედი არ მუშაობდა ამ მიმართულებით.

უჯრედის მუშაობა მოკლებულია გეგმიანობას. მუშაობის ტეხნიკური მხარე სრულიად მოუწყობელია (არ არის საქმეები და სხ.). ძლიერ დაბალია უჯრედის წევრთა პოლიტიკური მომზადების დონე.

რაც შეეხება პარტიულ დისციპლინას, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ უჯრედში ადგილი აქვს მთელ რიგ არანორმალურ მოვლენებს. ზოგიერთ ამხანაგებს საწევრო შესატანი არ გადაუხდიათ რვა თვის განმავლობაში; წვრილმანი კინკლაობა და უთანხმოება ჩვეულებრივ მოვლენადაა გადაქცეული უჯრედის წევრთა შორის. ზოგიერთი კომუნისტები წირვის დროს შედიან საყდარში მხოლოდ იმ მიზნით, რომ ხელი შეუშალონ მორწმუნეებს და სხვ.

კ. სურმუშელი.

საკანდიდატო ჯგუფების მუშაობის შესახებ *)

8. საკანდიდატო ჯგუფის მდივანი

9. საკანდიდატო ჯგუფის მდივანი თავის მუშაობას ათავსებს სასოფლო მეურნეობაში ანდა სოფლის ერთ-ერთ ორგანოში მუშაობასთან.

10. საკანდიდატო ჯგუფის ერთი კრებიდან მეორე კრებამდე მოწვევამდე ჯგუფის მუშაობას ხელმძღვანელობს მდივანი, რომელიც ატარებს ცხოვრებაში კრების დადგენილებებს ზევით მდგომ პარტორგანოს მიერ დამტკიცების შემდეგ. აძლევს ცალკე ამხანაგებს შესაფერ დავალებას, თვალყურს ადევნებს ამ დავალებათა შესრულებას, ეხმარება ჯგუფის წევრებს მუშაობაში და ამზადებს საერთო კრებებს.

მდივანი აწყობს პარტიის კანდიდატებსა და წევრებს შორის საკანდიდატო ჯგუფის მუშაობის ძირითადი დარგებს, აგრეთვე ა. ლ. კ. კ.-ში მუშაობას, გლეხ-ქალთა შორის მუშაობას, აგიტპროპმუშაობას და სხვა. და ახორციელებს კავშირს, როგორც პარტკომთან, ისე ადგილობრივ ორგანოებთან (საბჭო, კოოპერატივი, გლეხკომი და სხვა).

11. საკანდიდატო ჯგუფის მდივანი ამზადებს საკითხებს საკანდ. ჯგუფის საერთო კრებაზე განსახილველად, პირადათ თვითონ სწყვეტს წვრილ მიმდინარე საკითხებს, აწარმოებს ჯგუფის კანდიდატებისა და წევრების აღრიცხვას, ჰკრებს საწევრო შესატანებს, რასაც აბარებს ანგარიშით თემპარტკომში, როცა ასეთი არაა—მაზრკომში და იჭერს მუდმივ კავშირს პარტიულ კომიტეტთან.

4. საკანდიდატო ჯგუფის მუშაობის წესი და ამოცანები

12. საკანდიდატო ჯგუფი აწარმოებს განუწყვეტლივ მუშაობას პოლიტიკური უვიცობისა, სასოფ.-სამეურნეო ცოდნათა უქონლობის სალიკვიდაციოთ და თავისი წევრების ცოდნა განვითარების დონის ასაწევად, რისთვისაც აწყობს პოლიტიკური განათლების ქსელს. პოლიტ უცოდინარობის სალიკვ. სკოლებს (ზევით მდგომ პარტკომის სანქციით), თვითგანვითარების წრეებს, გაზეთების კოლექტიურ კითხვას და სხვა, გამოჰყოფს მუშაობის ხელმძღვანელებს, სცდილობს მიაღებინოს მონაწილეობა ყველა თავის წევრებს როგორც თავისი სოფლის, ისე სათემო საერთო განმანათლებელ და სასოფლო-სამეურნეო წრეების, კურსების, ყრილობების მუშაობაში, იწვევს ზევით მდგომ პარტორგანოებიდან ლექტორებს და მომხსენებლებს. საკანდ. ჯგუფისათვის საინტერესო საკითხებზე და ზევით მდგომ პარტორგანოების მიერ მოცემული ადგილების თანახმად აგზავნის ცალკე ამხანაგებს სხვადასხვა სასწავლებლებში და კურსებზე. განსაკუთრებულ ყურადღებას სოფლის საკანდ. ჯგუფი აქცევს აღმზრდელობითი მუშაობის დაყენების საქმეს კანდიდატთა შორის. საკანდიდატო ჯგუფი აბამს თავის ყველა წევრებსა და კანდიდატებს აქტიურ მუშაობაში. თვალყურს ადევნებს იმას, რომ ჯგუფის თვითეულ კანდიდატს ჰქონდეს პარტდავალება, აწარმოებს თვითეული კანდიდატის მუშაობის აღრიცხვას და აწინაურებს უფრო საპასუხისმგებლო ადგილებზე იმ ამხანაგებს, რომლებმაც განსაკუთრებული მუყაითობა გამოიჩინეს მუშაობაში.

შენიშვნა: მაზრკომმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაპყროს აღმზრდელობითი მუშაობის საქმეს კანდიდატთა შორის, იგი ყოველმხრივ უნდა ეცადოს ჩაითრიოს კანდიდატები ადგილებზე მოწყობილ პოლიტსკოლებში, მოძრავ სკოლებში და სხვა.

13. საკანდიდატო ჯგუფმა ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი სოფლის საბჭოს და სხვა სასოფლო ორგანოების მუშაობის გამოცოცხლებასა და გაუმჯობესებას, მან უნდა მიიღოს ზომები მოსახლეობის მთელი მასის ჩასაბმელად ამ ორგანოების მუშაობაში.

14. იქ, სადაც საბჭოს, კოოპერაციის ან სხვა სასოფლო ორგანოს სათავეში იმყოფებიან პარტიის კანდიდატები ან წევრები, სოფლის საკანდ. ჯგუფი ღებულობს ზომებს ამ უკანასკნელთა მუშაობაში შემჩნეულ ნაკლულევანებათა აღმოსაფხვრელად, მუშაობის გასაუმჯობესებლად და სწორ ნიადაგზე დასაყენებლად.

15. თუ სოფლის ამა თუ იმ ორგანოს სათავეში დგანან უპარტიო გლეხები, ღარიბები და საშუალოები, სოფლის საკანდ. ჯგუფმა უნდა დაიჭიროს მათთან ამხანაგური დამოკიდებულება, დაეხმაროს მუშაობაში, გაავრცელოს მათზედ თავისი გავლენა ახსნა-განმარტებების მიცემის გზით და პარტიის იმ წევრებისა და კანდიდატების მეშვეობით, რომლებიც შედიან ამ ორგანოებში.

იმ შემთხვევაში, როდესაც სოფლის საბჭოს, კოოპერატივს, გლეხკომს და სხვა ორგანიზაციებს ხელმძღვანელობენ უპარტიოები და მათ მუშაობაში შემჩნეული ნაკლულოვანებების აღმოფხვრა შეუძლებელი ხდება ხელმძღვანელთათვის ახსნა-განმარტებების მიცემის გზით, სოფლის საკანდ. ჯგუფი მიმართავს გლეხობას, უშარტავს სოფლის ორგანოების ნაკლულოვანებებს და აღწევს ნაკლთა აღმოფხვრას გლეხების მეშვეობით.

16. სოფლის საკანდ. ჯგუფი პარტიის წევრებისა და კანდიდატების მეშვეობით ხელმძღვანელობს ამა თუ იმ სასოფლო ორგანოს, მაგრამ საკ. ჯგუფს უფლება არა აქვს წინასწარ სრულად გადასწყვიტოს ამ ორგანოთა მუშაობის ძირითადი საკითხები. სოფლის საკანდ. ჯგუფი ყოველმხრივ უნდა ეცადოს იმას, რომ ამრჩევ გლეხობის წინაშე ფართოდ იქნეს გაშუქებული სოფლის საბჭოს მუშაობა, რისთვისაც მან ხელი უნდა შეუწყოს საბჭოს საქმიანობაში წამოჭრილ უფრო მნიშვნელოვან საკითხთა განხილვას გლეხობის მიერ: საკანდიდატო ჯგუფი სცდილობს, რომ სოფლის საბჭოები და სხვა ორგანოები უფრო მჭიდროთ დაუკავშირდნენ გლეხურ მასებს და რაც შეიძლება სრულად ჩააბან ისინი თავის მუშაობაში.

(დასასრული იქნება)

---

*) გაგრძელება, იხ. „კომუნისტი" № 147.

კომკავშირში

ზუგდიდის კომკავშირის მორიგი ამოცანები

ივნისის შუა რიცხვებში შესდგა ს. ა. ლ. კ. კ. ზუგდიდის სამაზრკომის პლენუმი თემკომის მდივნებთან ერთად. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. ს. ა. ლ. კ. კ. მე-2 კონფერენციის შედეგები; 2. პრეზიდიუმის ინფორმაციული ანგარიში, 3. საზაფხულო მუშაობის შესახებ და 4. მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხის გარშემო გამოტანილ რეზოლიუციაში პლენუმი მთლიანად შეუერთდა კონფერენციის ყველა გადაწყვეტილებებს. პლენუმმა აღნიშნა, რომ მე-2-ე კონფერენციამ საკავშირო მე-14-ტე პარტყრილობის და კომკავშირის მე-7-დე ყრილობების დადგენილებათა საფუძვლებზე, მისცა საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციას დირექტივა იმის შესახებ, თუ როგორ, გადავიყვანოთ ჩვენი მუშაობა ახალ რელსებზე. პლენუმმა, იმისათვის, რომ კომკავშირის ზუგდიდის მაზრის ორგანიზაციამ მთელი თავისი მუშაობა შეუფარდოს პარტიის და ხელისუფლების ამოცანებს და ახალგაზრდობის გაზრდილ კულტურულ-პოლიტიკურ მოთხოვნილებებს,— გამოიტანა მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებანი. განსაკუთრებით პლენუმმა ხაზი გაუსვა: სოფლის მეურნეობის კოოპერატიულ საფუძვლებზე გადაშენებაში აქტიურ მონაწილეობის მიღებას სხვადასხვა კოლექტიურ წამოწყებათა სახით, აგრეთვე კომკავშირელთა ინდივიდუალურ მეურნეობათა ტეხნიკურად მოწყობას, ამ მიზნით დამოუკიდებელ მეურნეთა თათბირების მოწვევას სხვადასხვა რაიონებში, მთელი მუშაობისათვის აგრონომების და განსაკუთრებით სოფლის ახალგაზრდობის სკოლების გამოყენებას, მასიურ-კულტურულ მუშაობის ახალი ფორმებით შევსებას, პიონერთა ორგანიზაციაში ახალი მეთოდებით მუშაობას და სხვა.

პრეზიდიუმის მუშაობის გარშემო გამოტანილ რეზოლიუციაში პლენუმმა სამაზრკომის ორგანიზაციული ხაზი მოიწონა და პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო. პლენუმმა აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციის ზრდა ყოფილა ღარიბი გლეხობის და მუშების ხარჯზე, თითქმის 93 პროცენტამდე, აღინიშნა ქალთა რაოდენობის ზრდა (2 პროცენტით) ორგანიზაციაში და ნაწილობრივ მათი აქტივობა, კარგი განწყობილებაა სკოლებში კომკავშირსა და უპარტიო ახალგაზრდობას შორის, განსაკუთრებით ყველა ტიპის საშუალო სასწავლებლებში, რაც პლენუმმა ახსნა მაზრის საერთო პოლიტიკურ მდგომარეობით და ადგილობრივი მოწაფეთა უჯრედების დამაკმაყოფილებელი მუშაობით.

თემურმა სისტემამ მთლიანად გაამართლა თავისი დანიშნულება. გლეხური აქტივი კარგად ხელმძღვანელობს ორგანიზაციას, რამაც გამოაცოცხლა უჯრედების მუშაობა. პლენუმმა ასევე აღნიშნა, კომისიურ სისტემის მიღწევები, ეს სისტემა დღემდე შემოღებული იყო მხოლოდ მსხვილ უჯრედებში. პლენუმმა დაავალა პრეზიდიუმს ამ სისტემაზე სხვა უჯრედებშიაც გადასვლა.

პლენუმმა აღნიშნა, რომ რკინის გზის ხაზზე—მუშა-ახალგაზრდობაში სუსტი მუშაობა სწარმოებს შენელებულია ანტი-რელიგიური პროპაგანდა და სხვა.

საზაფხულო მუშაობის შესახებ პლენუმმა გამოიტანა დადგენილება, სადაც ის საჭიროდ სთვლის ზაფხულში მუშაობის ახალ ფორმების და მეთოდების ფართედ გაშლას ორგანიზაციაში, განსაკუთრებით საზოგადოებრივ სასარგებლო მუშაობის გაძლიერებით და კულტურული მასიურ მუშაობის ყველა ფორმების გამოყენებით.

ი. შამუგია.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ბაქოს მუშები რიონჰესში

ქუთაისი, 30 ივნისი. ბაქოს მუშების დელეგაციამ, რომელიც დაესწრო რიონჰესის საძირკვლის ჩაყრას. შემდეგი წერილით მიმართა ქუთაისის მუშებს: „ბაქოს მუშების დელეგაცია გულწრფელ მადლობას უხდის ქუთაისის მუშებს იმ თბილი შეხვედრის გამო, რომელიც მათ სტუმრებისადმი გამოიჩინეს. ბაქოს მუშები ღრმად დარწმუნებულნი არიან, რომ ქუთაისის მუშები ბრწყინვალეთ შეასრულებენ რიონჰესით დაკისრებულ ამოცანებს. შეასრულებენ აგრეთვე გასამხედროებით გამოწვეულ ამოცანებს. ბაქოს პროლეტარიატი მხარ-და-მხარ ქუთაისთან იქნება და შესძლებს სოციალიზმის მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტას. გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ძმობილობას საბჭოთა კავშირის პროლეტარიატთან, რაც აუცილებლად მიგვიყვანს სოციალიზმთან".

საექიმო დახმარების კურსები

ახალციხე, 30 ივნისი. წითელი ჯვრის საზოგადოების სამაზრო საბჭო აწყობს საექიმო დახმარების სამთვიან კურსებს. კურსებზე იმეცადინებს 50 კაცი.

აჭარისტანი

ცინკის ქარხანა

ბათუმი, 30 ივნისი. აჭარისტანის ცინკის ქარხანამ ნედლი მასალის უქონლობის გამო შეამცირა თავისი წარმოება. ამ ჟამად ქარხანაში მუშაობს 35 მუშა, ყოველთვიურად ქარხანა ბაზარზე უშვებს 1500 ფუთ ნაწარმოებს. მთელი დატვირთვით ქარხანას შეუძლია ყოველთვიურად გამოუშვას 12.000 ფუთი ნაწარმოები. ეხლა ქარხანა ასრულებს ბაქო-ჯულფის რკინის გზის დაკვეთას 12000 ფუთი სახურავის რკინის დამზადებაზე. ამგვარი დაკვეთები ქარხანას ბევრი აქვს, მაგრამ ნედლი მასალის სიმცირე დაკვეთების შესრულებას ხელს უშლის.

სამხრეთ-ოსეთი

მესაქონლეობის და რძის მეურნეობის გამოფენა

ცხინვალი, 30 ივნისი. სამხრეთ-ოსეთის მიწადმოქმედების კომისარიატი, 10 ივლისს, სოფ. ცონში აწყობს მესაქონლეობის და რძის მეურნეობის რაიონულ გამოფენას. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება მხოლოდ ოსეთის ჯიშის საქონელი. საუკეთესო ეკზემპლიარები დაჯილდოებული იქნება.

წერილები

შეცდომა უნდა გამოსწორდეს

(ზუგდიდის მაზრამალსკომის საადგილ-მამულო კოლეგიის საყურადღებოდ)

სოფ. ოჩხომური—ახუთის თემი 30 ვერსითაა დაშორებული სამაზრო ცენტრს. მცხ. მიწის მეურნეობას მისდევენ. აქ მიწის რეფორმა ბოლომდე დაუმთავრებელი და მოუწესრიგებელი დარჩა—რის სიმწვავემ დღეს თავი იჩინა.

1923 წ. სოფ. ოჩხომურს ეწვია მიწის კომისია, რომელმაც მოახდინა საფონდო მიწების განაწილება და მისი რაოდენობისა და მცხოვრებთა მდგომარეობის მიხედვით დაურიგა ნიშნული მიწები ადგილობრივ გლეხობას. ამის შემდეგ აღმოჩნდა რამდენიმე პირი, რომლებმაც თავი მოუყარეს აღნიშნულ სოფლის გლეხებს და გამართეს მოლაპარაკება.

— მოდი ეს საფონდო მიწები ამხანაგურად—მეზობლურად თანასწორად გავინაწილოთო. მართლაც ასე მოხდა:

ადგენ და მიწები „შინაურულად", „ამხანაგურ-მეზობლურად", „თანასწორად" გაინაწილეს. მაგრამ დაიბადა უკმაყოფილობა. დაფიქრდენ. ასტეხეს ჩხუბი. გაჩაღდა ბრძოლა. მე ამდენი მიწა მეკუთვნოდა, მე ამდენი მეკუთვნის. მაშინ შევცდით და სხვა.

1923 წ. „ამხანაგობა-მეზობლების" მოყვარულნი, დღეს თანასწორობის წინააღმდეგი აღმოჩნდენ.

მცხოვრებნი ერთი-მეორეს გადაემტერენ. 30 მოსახლე მიწის მუშა—ერთი-მეორის მტრობას შეჰხა და მიწები ნახევრად დაუმუშავებელი დარჩათ.

მაზრის საადგილ-მამულო განყოფილებისათვისაც უცნობებიათ, მაგრამ საქმე ყოველების ადგ. აღმასკომისათვის გადაუციათ და ისევ მოუწესრიგებელი, უფრო გამწვავებულია.

„ავი ენები" იმასაც კი ამბობენ. რომ რამოდენიმე პირი ამ საქმეს წყალს ასხამსო.

გლეხები დაბადების დღეს იწყევლიან.

მივარდნილ კუთხეებში ასეთ მოვლენებს კიდევ დარჩენია ადგილი. მიწის რეფორმის დროს მართლაც რომ ზოგიერთ ადგილებში მოხდა მიწების „შინაურულად" განაწილება. ამას ამტკიცებს ქუთაისის მაზრაში მსგავსი მაგალითი, რომლის შესახებ ამას წინედ „კომუნისტში" სწერდა ამხ. კ. ხომერიკი.

სოფ. ოჩხომურში თუმცა იმდენი რაოდენობის მიწები არაა, მაგრამ საკითხი აქაც ძლიერ გამწვავებულია. აქ ადგილი ქონია მიწის გასაუქმებისა და გაყიდვასაც კი. საჭიროა ამ საქმის დეტალურად შესწავლა. აღნიშნულ სოფელში უნდა მოხდეს მთელი მიწების ხელ-ახალი გაზომვა, თვალიერება და მისი კანონიერად განაწილება. საბოლოოდ უნდა აღმოიფხვრას ყოველგვარი გაუგებრობანი—საქმის გაუჭიანურებლად და დაუგვიანებლად.

მ. ბარამია.

საჭიროა კურსების გახსნა

(ამაღლების თემი, ოზურგეთის მაზრა)

ამაღლების თემი სწავლა-განათლების მხრივ არ ჩამოუვარდება სხვა თემებს ოზურგეთის მაზრაში. თემში არის ოთხწლედი და შვიდწლედი სასწავლებელი, რომელსაც მრავალი აწყდებიან გლეხის შვილები და ღებულობენ სწავლა-განათლებას. თემში არსებობს აგრეთვე საფერშლო პუნქტი, სახალხო სახლი, რომელშიც იმართება მოხსენებები, კრებები და წარმოდგენები. გვაქვს ქოხსამკითხველო, კოოპერატივი, გლეხკომი და სხვა. ამაღლების თემის მცხოვრებლებს უმთავრესად მოყავთ სიმინდი, ღომი და სხვა. თამბაქო ოჯახის საჭიროებისათვის, მისდევენ მეაბრეშუმეობას და სხვა.

ამაღლების თემში არის ისეთი ადგილები, სადაც კარგად ხარობს ჩაი და მანდარინი. მაგრამ გლეხებმა არ იციან როგორ უნდა მოვლა და გაშენება მათ. ამისათვის საჭიროა ამაღლების თემში გაიხსნას მოკლევადიანი სამეურნეო კურსები. საჭიროა ამას მიაქციოს ყურადღება მაზრის განათლების განყოფილებამ, მოაწყოს ამ თემში სამეურნეო კურსები, მიავლინოს აგრონომი კურსების ხელმძღვანელად და სხვადასხვა რჩევა-დარიგების მისაცემად. უნდა გაიხსნას აგრონომიული წრე ქოხ-სამკითხველოსთან, რომელმაც უნდა ჩააბას გლეხური ახალგაზრდობა, ადგილობრივ სასწავლებლებში შემოღებულ იქნას აგრონომიული საგნების წავლება ადგილობრივ მეურნეობასთან შეფარდებით.

ბ. შაფათავა.

წერილებიდან

— **გააფართოვეთ.** (სადგ. სვირი, ქუთაისის მაზრა). ს. სვირში სადგურთან 1925 წელში დაარსდა (იარმარკა;) ბაზრობა, ყოველ სამშაბათობით. უნდა გითხრათ დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ გლეხები ბაზრობის დაარსებას და დიდძალი ხალხი ესწრება. საჭიროა, რომ ბაზრობის ადგილი გაფართოვებულ იქნეს, ისეთი სივიწროვეა, რომ ხალხის დასადგომი ადგილი არ არის.

ქედმაღლელი.

— **საჭიროა სამეურნეო იარაღები.** (სოფ. სვირი, ქუთაისის მაზრა)). ამ სოფლის გლეხობა უმთავრესად მისდევს მევენახეობას და ნაწილობრივად ხვნა-თესვას. დღემდის მიწების დამუშავება ძველებური წესით სწარმოებს. გლეხებს სურთ შეიძინონ გაუმჯობესებული იარაღები და ტრაქტორიც. გლეხების ასეთ მოთხოვნილებას ყურადღება უნდა მიექცეს როგორც ადგილობრივ საბჭოდან, ისე მაზრიდანაც.

ანდრო შვილდაძე.

სოფლის ქრონიკა

— **ტყის მოშენება.** ბორჯომის სატყეო რაიონში გაჩეხილ ტყეების ადგილას 4000 დესეტინაზე გაშენებული იქნა ახალი ტყე.

— **ნადი.** გურიაში დაარსდა გურიის სატყეოების წარმოების კოოპერატიული ნადი.

— **კონფერენცია.** ოზურგეთის მუშათა კლუბში გაიხსნა გურიის ჩაის მეურნეთა კონფერენცია.

— ახალციხეში მოეწყო მეტეოროლოგიური სადგური.

— **ილაღები.** ახალციხის საზაფხულო ილაღების განაწილება მეცხვარეთა შორის უკვე დამთავრდა. ილაღებზე ვაირეკა ცხვრის და მსხვილფეხა საქონლის ფარები.

— **არხი.** დმი-როკეთის არხის გაყვანა დამთავრდება წელს. არხთან შენდება ელექტროსადგური.

მუშათა ცხოვრება

მასიური ექსკურსიების შესახებ

კარგია მასიური ექსკურსიები. საჭიროა მუშების სუფთა ჰაერზე გაყვანა, ან და ფაბრიკა-ქარხნებში წაყვანა.

საყურადღებო და კარგი იყო 26 ივნისის დილით, მასიური ექსკურსია ზაჰესში, მაგრამ ამ ექსკურსიას დიდი ნაკლიც ჰქონდა.

საჭიროა ამ ნაკლზე მიუთითოთ. მასიური ექსკურსიების ხელმძღვანელად პროფსაბჭოს კულტგანყოფილება ნიშნავს ამხ. ქშონძერს. გამოცდილი ამხანაგია ამ მხრივ ქშონძერი. ბევრი დიდი ექსკურსიები ჩაუტარებია მას. მაგრამ საჭიროა იცოდეს, თუ რა დიდი ნაკლი სდევს თან ამ ექსკურსიებს.

კულტგანყოფილება ნიშნავს მატარებელზე მეთვალყურეებს. გაუკეთებს მათ მკლავზე წითელ ნიშანს, რომ ის არის მატარებლის კომენდანტი, ზოგი გულზე მიიკრავს წითელ ვარსკვლავს და ამ მორთულობით თავდება ამ „კომენდანტების" მუშაობა. კომენდანტებს მოჰკრავთ თვალს დილით მატარებლის წასვლისას თბილისის სადგურზე, ხოლო მატარებელში იმათ ვერავინ ხედავს. ერთი ამხანაგი ოხუნჯობდა: ჩვენი კომენდანტი ავტოთი წავიდა მცხეთაშიო. ასეა თუ ისე, კომენდანტებმა არ იციან თავიანთი მოვალეობა, ან არ ასრულებენ მას. მათი მოვალეობაა სასტიკი ყურადღება მიაქციონ რონოდებში მგზავრების დაბინავებას, გასინჯონ ბილეთები და მიიღონ ზომები, რათა უბილეთო მგზავრები არ შევიდნენ საექსკურსიო რონოდებში.

ამისათვის რკინის გზა აძლევს მათ თითო რონოდაზე თითო მემუხრუჯეს, აგრეთვე საკმაო რიცხვს მცველებისას. კომენდანტმა უნდა გასწიოს თადარიგი: უნდა გასინჯოს ბილეთები, ერთი სიტყვით, ის არის მატარებლის უფროსი, მატარებლის რევიზორი.

რა შედეგი მოაქვს კომენდანტების უყურადღებობას? ის ზარალს აყენებს რკინის გზას. ეს ერთი. მეორე ის, რომ უწესო მგზავრობა მუშა-მოსამსახურეს აძულებს ექსკურსიაში მონაწილეობას. 26 ივნისში გაცემული ბილეთების რიცხვით რკინის გზამ გადაიყვანა ზაჰესში 5—6 ათასი კაცი. ამ რიცხვის მიხედვით დაინიშნა შვიდი მატარებელი. თითო მატარებელზე ნავარაუდევი იყო დაახლოვებით ათასი კაცი. სინამდვილეში კი ერთ მატარებლით მიდიოდა ამ ათას კაცამდე. ამათი ნახევარი უბილეთო იყო. არავინ იყო პატრონი. არავინ იყო უფროსი. არავინ იყო წესრიგის დამცველი. ერთ რონოდაში 80—100 კაცის ნაცვლად მე დავსთვალე 300 კაცი. ჰაერი აღარ გვყოფნიდა. ფანჯრებში ისხდნენ უბილეთო ავარები და ფეხები გარეთ ჰქონდათ გადმოკიდული. ქალების შესვლა რონოდაში, განსაკუთრებით „ზაჰესიდან" ეს რაღაც საგმირო საქმე გახდა.

პირველად გასული მატარებლები, როგორც თბილისიდან, ისე ზაჰესიდან, ისე დაიტვირთა, რომ მატარებელი ვეღარ დასძრა ორთქლმავალმა ადგილიდან.

ერთი ასეთი მატარებელი გაგვიჩერდა აღმართზე, სწორედ ზაჰესის ახალ ხიდთან. დაგვიანეთ გზაში. დავაზიანეთ ორთქლმავალი და რონოდები, დავაგვიანეთ სხვა მატარებლები იმიტომ, რომ მატარებლის რონოდები იყვნენ ჩვეულებრივზე მეტად დატვირთულნი.

რკინის გზამ იმიტომ მიაბა მატარებელს ეცი და მეტი რონოდა, რომ რონოდებში ჩამსხდარიყო ნორმალური რიცხვი მგზავრებისა.

ამას გარდა, ბოლო მატარებელში საშინელი სივიწროვე იყო, წინა მატარებლებში კი შედარებით უფრო თავისუფალი იყო. ყველაფერის აღწერა შორს წაგვიყვანს. ერთი კი აშკარაა: თუ ასე გაგრძელდა, მასიურ ექსკურსიაზე აღარვინ იყიდის ბილეთს. რა საჭიროა,—ისედაც იმგზავრებს. მუშა-მოსამსახურეებს გაუტყდებათ გული და შემდეგ არავინ მიიღებს მონაწილეობას ექსკურსიაში.

რკინის გზა იზარალებს. ასეთი ექსკურსიები მოგვაგონებს 19—21 წელს, როცა რონოდში კარების მაგიერ ფანჯრებში შევდიოდით.

თუ კულტგანყოფილებას არა აქვს შნო და უნარი მოუაროს მატარებელს—ამას თვით რკინის გზა და მისი ორგანოები იკისრებენ. რკინის გზას ეს შეუძლია.

ს. დოლიძე.

გაადვილების მაგიერ გართულება

მებეჭდავთა ამბულატორიიდან მივდივარ ჩემ ბინასთან უახლოეს აფთიაქში (ყოფილ ზემელის) წამლის გამოსატანად. ჩვეულებრივად პროვიზორს წარვუდგინე რეცეპტი და ჭურჭელი.

— დაზღვევის წიგნაკი, — მეუბნება ამ დროს პროვიზორთან მოსაუბრე გარედან შემოსული კაცი.

იღბალზე წიგნაკი ჯიბეში მაქვს. — წიგნაკის ნომერი დაწერილი უნდა იყოს რეცეპტზე, უიმისოდ წამალს ვერ მოგცემთ!—მესმის ბრძანება.

— ეს ერთი მომეცით და შემდეგში მეცოდინება, — გემუდარები,— ახლა ამბულატორია უკვე დაკეტილი იქნება, ექიმს ვერ მივუსწრობ

— არ შეიძლება! ახალი წესით ნება არ გვაქვს!

მივრბივარ ამბულატორიაში (ელბაქიძის დაღმართიდან კეცხოვლის ქუჩაზე). უკანასკნელი უკვე დაკეტილია. გულდაწყვეტილი მივდივარ სახლში, უწამლოდ, რასაკვირველია, უნდა მოვითმინო ხვალემდე, ამბულატორიის გაღებამდე...

კარგია, მე მოვითმენ, მაგრამ ხომ შეიძლება მოხდეს ისე, რომ კაცი სიკვდილის პირად იყოს, წამალი აუცილებლად ესაჭიროებოდეს, რომ [illegible] ექიმს ნომერის დასმა დაავიწყდეს? მაშინ? მომაკვდავი ხომ ვერ მოითმენს მეორე დღემდე? თითონ რომ მოითმინოს, მიქელ-გაბრიელიც მოითმენს?

ვილაცის კაპრიზებს კაცის სიცოცხლე უნდა შეეწიროს?

აფთიაქი აქ ალბათ არაფერ შუაშია, განკარგულება იქნება ასეთი, მაგრამ რა საჭიროა აქ მის ასეთი გართულება ამბულატორიაში მოსიარულე ავადმყოფ მუშებისთვის.

მუშების წამლობა-მკურნალობა უნდა გაადვილდეს და არა გართულდეს, როგორც ეს ხდება დღეს. ასეთი ამბები მუშებში უკმაყოფილებასა და ლაპარაკს იწვევს ყოველთვის, და სამართლიანიც არის!

მუშა ნიკო ას—ლი.

საყურადღებო წვრილმანი

— **ხოხაშვილი ლოთობს.** თბილისის საყუდის ვამხეთავი ხოხაშვილი ყოველთვის ლოთობს, აურ-ზაურს სტეხს და მუშა-მოსამსახურეებს ავიწროებს. 20 ივნისს ხოხაშვილი ისე დათვრა, რომ თავ-გზა აბნეული ჰქონდა და არ იცოდა რას შვრებოდა. საყუდის ადგილკომმა უნდა მოაქცვიანოს იგი.

თბილისელი.

— **შრომის ინსპექტორო, მიხედე!** მოქ. აჯი ძამულოვი განთქმული ექსპლოატატორი-მიკიტანია. ამას წინად მან დაიქირავა მუშა შალალოვი, ამუშავა ქალაქში, შემდეგ კოჯორში ახლად გახსნილ სასადილოში წაიყვანა და ბოლოს უკაპეიკოდ გაისტუმრა. შრომის ინსპექტორმა უნდა ასწავლოს ჭკუა აჯიმამულოვს!

„ნიშპატია".

— **მუშკოოპის გამგეობის ჩარევაა საჭირო.** მუშკოოპის ზოგიერთ პატარა პურის საცხობებში მუშაობს პურის მცხობელთა სამი ცვლა. მესამე ცვლა გამომცხვარ პურს ვერავის აბარებს; პურის გამოცხობის დროს გამგე არ არის. ამ ნიადაგზე მუდმივ გაუგებრობას აქვს ადგილი. საჭიროა გამგეობის ჩარევა.

ს.—ია.

მუშათა ქრონიკა

— **საგზაო კომიტეტმა** შუამდგომლობა აღძრა პროფკავშირთა საბჭოს წინაშე,—რომ ის მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც მუშაობენ ქალაქის სადგურებზე და დაშორებული არიან რკინის გზასთან შეყვანილ იქმნან ქალაქის კავშირებში.

— **უმუშევართა ფონდის გაძლიერება.** საგზაო კომიტეტმა დაადგინა გადაირიცხოს 15 პროცენტი უმუშევართა ფონდის გასაძლიერებლათ ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლათ საუბნო კომიტეტებს დაეგზავნათ ინსტრუქციები.

— **იურიდიული დახმარება.** საგზაო კომიტეტმა დააკმაყოფილა ბათომის და განჯის საუბნო კომიტეტების შუამდგომლობა მუშა-მოსამსახურეთა იურიდიულ დახმარების გაძლიერების მიზნით ყოველთვიურათ დამატებით გადირიცხა ბათომის კომიტეტისათვის 19 მან. და განჯის საუბნო კომიტეტისათვის 25 მან.

— **60.000 მან.** თბილისის საუბნო კომიტეტის ბინის ასაშენებლათ საგზაო კომიტეტმა დამატებით გასცა კულტფონდიდან 60.000 მანეთი.

— **3.500 მან.** ჯულფის კლუბის შენობის დასამთავრებლათ და მოსაწყობათ საგზაო კომიტეტმა გასცა 3.500 მან.

პატარა ფელეტონი

სამთა ლაყბობა ჟენევაში

სამ დიდ სახელმწიფოთა თათბირზე, რომელიც განიარაღების საკითხის გამოსაკვლევად სწარმოებს ჟენევაში, ამერიკამ განაცხადა:

„ჩვენ წარმოვადგენთ ყველაზე მდიდარ ქვეყანას, მთელ მსოფლიოში. ჩვენ ვერ შევურიგდებით იმ აზრს, რომ მეორე რიგში ვიქნეთ დაყენებული".

„ჩვენ შეგვიძლია კრედიტით დავეხმაროთ რუსეთს, ჩვენ შეგვიძლია იმდენი კრეისერების აშენება, რომ დანარჩენი ქვეყნები ვერასდროს ვერ დაგვეწევიან. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ან მიღებულ იქნეს ჩვენი წინადადება ან შევწყვეტთ ჟენევის მოლაპარაკებას".

(გაზეთებიდან).

ისევ ჟენევის რადიოს
მოაქვს ლაყბობის სერია,
ბზობა აქვთ სამ სახელმწიფოს
სადაოდ—კრეისერია.
იბრძვიან გემთა შესახებ,
სხვა საკითხებიც ბევრია,
სამივე ზღვისა ვეშაპი—
ერთმანეთს შეჭვერებია.

ექიშპებიან, დაობენ
ვინ აგოს დრედნოუტიო.
ინგლისმა ამერიკასო,
თურმე გზა უნდა უტიოს.

წინად ის იყო ზღვის მეფე-
სერავდა ზვირთთა ველებსა.
ეხლა ცუდი დღე უდგება
ზეცისკენ იშვერს ხელებსა.

საფრანგეთიც კი გაუდგა—
აღარ ემხრობა არავინ;
ვინ უნდა ყავდეს მეგობრად?!
ვინ იყოს მისი მფარავი?!

თუ ამერიკის იმედი
გულს შენდა დიდი ხანია;
ეხლა ხედავს, რომ იმ ძმობის
გამქრალა ჩირაღდანია.

სამხედრო გემთა შენებით
სურდა ყველასთვის გაესწრო,
წინ ამერიკა გადუდგა
ქვეყნის ხრიკების მაესტროს.

ის ეუბნება:—ინგლისო!
მეგობარი ხარ ძველიო!
მაგრამ დრო არის გამხილო
შტატების ეს სათქმელიო.
შენი ქვეყნისა სიმდიდრე
ჩვენც კარგად ვიცით ძმაო
კრეისერთ აშენებისთვის
არ ცდება ერთი წამაო.
ძველთაგან იყავ ზღვებისა
მეფე, დამპყრობი, მფლობელი,
ეხლა ის დრონი წავიდენ
შებრუნდა წუთი-სოფელი.
ნუ გეწყინება გულიმ ჯან,
ჩვენ რომ გაგისწროთ წინაო,
უფრო მდიდარი ერი ვართ
გვიყვარს დოლარის ბრწყინვაო.
თუ ჩვენ არ დაგვეთანხმებით,
წინ ვიდგეთ კრეისერთო,
მაშინ საბჭოთა კავშირსა
კრედიტით მიუმღერითო.
ავანსათ მივცემთ მანქანებს,
დღე დაგიდგებათ შავიო,
აღარ გავივა მოსკოვთან
შენი წყალქვეშა ნავიო.
ამ ხმას მიფანტავს რადიო,
როგორც ლაყბობის სერიას.
ბზობა აქვთ სამ სახელმწიფოს
სადაოდ კრეისერია.

ჟუმბარა.

ტყვარჩელის ქვანახშირი

კომისიის დასკვნები

ამას წინეთ ტყვარჩელის რაიონში გაიგზავნა ს. მ. უ. საბჭოსთან შემდგარი სპეციალური თათბირის კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა გამოეკვლია ტყვარჩელის რაიონის [illegible] და შემოწმებინა, თუ საექსპლოატაციო სამუშაოების დაწყება რამდენათაა შესაძლებელი.

კომისიამ, რომელშიაც შედიოდა პროფ. რუბინი, პროფ. შევიაკოვი, გეოლოგი მოკრინსკი, ინჟ. ფედოროვიჩი, ასისტ. პოლიაკოვი და ედიბერიძე, გამოიტანა შემდეგი დასკვნა.

სათბობი მასალის კრიზისის დაძლევის საქმეში დიდ როლს ითამაშებს ტყვარჩელის ქვანახშირი, რომლის საექსპლოატაციო სამუშაოების დაწყება შესაძლებელია დაწყებულ იქნეს ეხლა.

ტყვარჩელის რაიონის უკვე გამოკვლეული და შესწავლილი უბანი № 2 შეიცავს 30 წლის მარაგს, თუ ყოველწლიურად იქიდან გატანილი იქნება 50 მილიონი ფუთი ქვა-ნახშირი. კომისია ადასტურებს, რომ ტყვარჩელის რაიონში ქვა-ნახშირის საერთო მარაგი არ იქნება 30 მილიარდ ფუთზე ნაკლები.

კომისია სცნობს, რომ ტყვარჩელის მაღაროს დამუშავების დაწყების შემდეგ შესაძლებელი იქნება ყველა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

გარდა ამისა, კომისია აღიარებს, რომ საჭიროა გაგრძელებულ იქნეს შავი ზღვის რკინის-გზა ოჩემჩირემდე, რაც გაადვილებს მაღაროების დამუშავების საქმეს.

ტყვარჩელის მაღაროების მნიშვნელობა

(საუბარი ამხ. ავაქოვთან)

— ტყვარჩელის მაღაროების დამუშავებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირისათვისაც—განაცხადა ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის მოადგილემ და ტყვარჩელის კომისიის ხელმძღვანელმა ამხ. ავაქოვმა.

—საბჭოთა კავშირში, ინდუსტრიალიზაციის განვითარებისა და მთელი რიგი ახალი მეტალურგიული წარმოების დაწყების შემდეგ—მოთხოვნილება ქვა-ნახშირზე ერთი ათად მოიმატებს და შესაძლებელია, რომ ჩვენ დავდგეთ სათბობი მასალის კრიზისის წინაშე. მარტო კერჩის მეტალურგიულ ქარხნებს ყოველთვიურად დასჭირდება 30 მილიონამდე ფუთი ნახშირი.

გარდა ამისა უკვე დაწყებულია წინასწარი სამზადისი დაშკესანში მეტალურგიული წარმოების დასაწყებათ.

სპეციალური კომისიის დასკვნები გვარწმუნებენ, რომ ტყვარჩელში სრულიად შესაძლებელია საექსპლოატაციო სამუშაოების დაწყება.

პირველ ხანებში ტყვარჩელის ქვა-ნახშირის მომხმარებლები იქნებიან: კერჩის მეტალურგიული ქარხნები, შავი ზღვისა და ა.-კ. რკინისგზები, შავი ზღვის ფლოტი, უცხოეთის გემები, საქართველოს მეტალურგიული მრეწველობა და სხვა.

ამ მომხმარებლებს პირველ ხანებში დასჭირდებათ 50 მილიონი ფუთი ქვანახშირი ყოველთვიურად. პროფ. შევიაკოვის დასკვნით ამ რაოდენობის ნახშირის მარაგის ამოღება შესაძლებელი იქნება ტყვარჩელის მაღნების მხოლოდ ერთი პატარა ნაკვეთიდან.

ტყვარჩელში სამუშაოების დაწყების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტრანსპორტის საკითხს. გადაწყვეტილია გაყვანილ იქნეს ფართო ლიანდაგიანი რკინის-გზა ოჩემჩირიდან ტყვარჩელამდე, სწორედ გამოკვლევები მდ. გალიზგაზე ჰიდრო-ელსადგურის ასაგებათ, ახალი ნავთსადგურის ადგილის გამოსანახავათ და სხვ. ახალი ნავთსადგური გამონახული უნდა იქნეს იმ ანგარიშით, რომ იქიდან გაადვილდეს ქვა-ნახშირის გატანა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებში, ყირიმისაკენ და უცხოეთისაკენაც. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტყვარჩელის მაღაროების დამუშავების საქმეში ოჩემჩირემდე შავი ზღვის რკ.-გზის გაყვანას.

მეტალურგიულ მრეწველობას განსაკუთრებით ესაჭიროება ე. წ. კოქსი, რომელსაც ღებულობენ ქვა-ნახშირიდან. დღემდე სპეციალისტებში დავა იყო იმის შესახებ, რომ შესაძლებელი იყო თუ არა ტყვარჩელის ქვა-ნახშირიდან კოქსის მიღება. ამ მიზნით, ჩვენს მიერ მოწვეული იყო ცნობილი სპეციალისტი, პროფ. რუბინი, რომელმაც მოახდინა რამდენიმე ცდა. ცდამ დამაკმაყოფილებელი შედეგი მოიტანა და დაგვარწმუნა, რომ ტყვარჩელის ქვანახშირიდან შეიძლება კოქსის მიღება.

ტყვარჩელის მაღაროების ექსპლოატაციის დაწყების პროექტის შედგენა დავალებული აქვს პროფ. შევიაკოვს, რომელიც თავის მუშაობას დაასრულებს ოქტომბრისათვის.

მომავალი საოპერაციო წლიდან გადაწყვეტილი გვაქვს შევუდგეთ ტყვარჩელის სამუშაოებს. ამ მიზნით ჩვენს მიერ გამოთხოვილია კაპიტალური ხარჯების ანგარიშში 4 მილიონ ნახევარი მანეთი.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

ბაქო-შემახის გზა

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ აუცილებლად სცნო აღძრული იქნეს სათანადო-საკავშირო ორგანოების წინაშე საკითხი იმის შესახებ, რომ ბაქო-შემახა-ახსუს გზა რესპუბლიკური გზებიდან გადაყვანილი იქნეს საერთო-საკავშირო მნიშვნელობის გზებში და ამ გზის შესანახად გადადებული იქნეს თანხები 1927-28 წლის საერთო საკავშირო ხარჯთაღრიცხვიდან.

საბჭოთა კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ამიერ-კავკასიაში დაევალა იხელმძღვანელოს ამ დადგენილებით მის მიერ 1927-28 წლის სათანადო ხარჯთაღრიცხვების შედგენის დროს.

დახმარება „მიასტორგს"

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა დაევალოს ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატს აღძრას შუამდგომლობა სათანადო-საკავშირო ორგანოების წინაშე, რათა ა.-კ. ხორცით ვაჭრობის სამმართველოს გაუდიდდეს დახმარების ის ნორმა, რომელიც მისთვის დაწესებულია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის -ა.-კ. საოლქო კანტორის მიერ.

სანამ ეს საკითხი გადაწყდებოდეს, ა.-კ. ფინსახკომს და ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცათ გამოარკვიონ საკითხი, რამდენად შესაძლებელია ა.-კ. ხორცით ვაჭრობის სამმართველოს კრედიტების გადიდება სხვა სავაჭრო ორგანიზაციებისათვის მიცემულ კრედიტების გადაჯგუფების გზით ან და სარეზერვო თანხების ხარჯზე.

ეროვნული უმცირესობანი

საქართველოს ცაკთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა ცენტრალურმა კომისიამ მოისმინა ამხ. **დიმოევის** მოხსენება ახალქალაქის და ახალციხის მაზრების ეროვნულ უმცირესობათა გამოკვლევის შესახებ. მოხსენების შემდეგ გამოყოფილი იქნა კომისია ამხ. დიმოევის, ბაგდანოვის და ნაჟაფოვის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა სათანადო კომისარიატებთან ერთად დაამუშაოს პრაქტიკული ღონისძიებები ამხ. დიმოევის მოხსენების გამო.

კომისიამ დაადგინა სთხოვოს საქართველოს ცაკს, რომ ეროვნულ უმცირესობათა ცენტრალურ კომისიაში დანიშნული იქნეს იმ რუს-ებრაელების ერთი წარმომადგენელი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობენ.

ამასთანავე ეთხოვა საქართველოს ცაკს, რათა მან წინადადება მისცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, რომ ამ უკანასკნელმა შეადგინოს და წარმოადგინოს საქართველოს ცაკში ებრაელების მოწყობის და მიწათმოქმედებაში ჩაბმის ხარჯთ-აღრიცხვა.

კომისიამ თავის წარმომადგენლად საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ ეროვნულ-უმცირესობათა საბჭოში გამოჰყო ამხ. **დიმოვი.** ამავე დროს კომისიამ სთხოვა ეროვნულ-უმცირესობათა საბჭოს გამოჰყოს თავისი წარმომადგენელი საქართველოს ცაკთან არსებულ ეროვნულ-უმცირესობათა ცენტრალურ კომისიაში.

საქ. სახკომსაბჭოში

საკურორტო გამოსაღების დაწესება

სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება—საქართველოს რესპუბლიკის სამკურნალო ადგილებში საკურორტო გამოსაღების დაწესების შესახებ.

ტროპიკული ინსტიტუტის შენობის აგება

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს ტროპიკულ ინსტიტუციისათვის შენობის ასაგებად საჭირო ხარჯი გაითვალისწინოს კომისარიატის 1927-28 წლის ხარჯთაღრიცხვაში.

საგზაო ამშენებლობა

საგზაო აღმშენებლობის დასახმარებლად საჭირო ღონისძიებათა მიღებისათვის დაარსებულ იქნა კომისია ამხ. **გ. მგალობლიშვილის** (თავმჯდომარე), **შ. მათიკაშვილის, ა. კაციტაძის** და **ვ. ლუნკევიჩის** შემადგენლობით.

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს სხდომების შესახებ

სახკომსაბჭოს პლენარული სხდომების განტვირთვის მიზნით შემოღებულია სახკომსაბჭოს განმაწესრიგებელი სხდომები სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. **ლ. ქართველიშვილის,** სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. **ს. ჯუღელის,** მიწსახკომის ამხ. **ა. გეგეჭკორის** და ფინსახკომის ამხ. **გ. მგალობლიშვილის** შემადგენლობით.

სახკომსაბჭოს პლენარული სხდომები გაიმართება ორ კვირაში ერთხელ.

ეკონომიურ საბჭოს სხდომები გაიმართება ორ კვირაში სამჯერ შემდეგნაირად: იმ კვირაში, როდესაც სახკომსაბჭოს სხდომა არაა დანიშნული ეკონომიურ საბჭოს სხდომა მოეწყობა ორჯერ.

საექსპორტო საბჭო

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა ა.-კ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან არსებული საექსპორტო საბჭო, რომლის მოვალეობასაც შეადგენს პურისა და ფურაჟის წარმოების შეფასება და მისი ბალანსის შედგენა, გადაკეთდეს საექსპორტო საბჭოთ, რომელმაც უნდა შეაფასოს ა.-კ. სოფლის მეურნეობის პროდუქცია. ეს საბჭო იარსებებს ა.-კ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან.

საექსპორტო საბჭოს და მისი სამუშაო აპარატის შემადგენლობა, რომელიც დაწესებული იქნა ა.-კ. სახკომსაბჭოს მიერ 1926 წლის 28 აგვისტოს, უცვლელი რჩება.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემფასებელ საექსპორტო საბჭოს დაევალა პირველ რიგში, პურეულის გარდა, შეაფასოს ძირითადი ტეხნიკური კულტურები და გამოიმუშაოს მათი ბალანსი.

შრომის ბირჟაში

მუშა ხელის მოთხოვნილება

დღეს 2 ივლისს, შრ. ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევართ: **კვალიფიციურ მუშათა 1-ლი სექცია:** სეფე დაუშვილს, ისიდორე ქვილავას, იაკინთე ბუხუტაშვილს. აგაბეგ ხაჩატურიანს, ლეონ პაპაზიანს; მესროპ გრიგორიანს; ხაჩატურ მოსესოვს; იაკობ ნარმანცავას, მოსეს მხიტარიანცს, სედრაკ ავეტისოვს, ვართან კრენვიანცს, სუკიას აივაზოვს, გიორგი მელქონიანცს, ხაჩიკ ოგანესიანს; ოგანეს ოგანესოვს; ვართან მიკირტუმიანს, სარქის ვალადხანიანს; პეტროს სირაკანოვს; აგაჯანოვს, ოპარიანს; ახვერდოვს; კრაკოსოვს; და ერზინკიანს. **მეორე სექცია:** მარიამ ცეცხლაძეს, სირანუშ სოკოვას, სერგო დანდუროვს, მარიამ დიდებულიძეს, ეკატერინე პატარიძეს; არტემ ღარიბოვს, ლევან ონანოვს, მანუჩარ სუკიასოვს, ხორენ ბენიკლიანს, ქსენია ალექსეევას; ალექსანდრე კაკალაძეს, ევგენი ხვედელიძეს; მარიამ სიმონიანცს, ნატალია მახარაძეს, ივანე კაზაკოვს, ივანე დანილოვს, აბრამ ეგიზაროვს; სერგო ეგოროვს; არარატ ეკმანიანს, ნატალია ადამიას, ანნა კობორიძეს, თამარა ცირეკიძეს და ანნა ტოპურიშვილს. **შავ მუშათა მე-ნ სექცია:** მიხეილ აივაზოვს, ვასილ კელენჯერიძეს; გიორგი იარალოვს, გიორგი ჯანაშვილს, კონსტანტინე ალახვერდოვს, პავლეს პროსკურიანს და ღარიბლიანცს.

ტყვიის მადნები

გასულ წელს გუდაუთის მაზრაში ძიწრას მთაში (აფხაზეთი) აღმოჩენილ იქნა ტყვიის და ცინკის მადნების ბუდობები. აღმოჩენილ ლითონის მადნებზე გაკეთებული იქნა რამდენიმე ცდა, რომლიდანაც გამოირკვა, რომ ამ ბუდობებში ამოღებული ლითონის მადნები—კარგი ღირსების არის.

მიმდინარე წლის ზაფხულზე გეოლოგიური კომიტეტი იწყებს კვლევა-ძიებით მუშაობას მადნების შესასწავლად. ამ მიზნით უკვე მუშაობას შეუდგა ლენინგრადიდან ჩამოსული ინჟ. **აბროსიმოვი.** მოელიან აგრეთვე გეოლოგიური კვლევის პარტიის უფროსს პროფ. **ივჩენკოს.**

ავაშენოთ თვითმფრინავი

თბილისის პროლეტარიატი

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტრიატის" ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ ამ თანხაზე შემდეგ ამხანაგებს: ტრიფონ კაპალეიშვილს, აქსენტი მიმინოშვილს, გიორგი დოლიძეს, ბორია ბარკალაიას, გიორგი ზარდიაშვილს; აბო გამრეკელს, გიორგი ბაგაროვს, გრ. გვენცაძეს, ალ. ჯიქიას, დავ. კაჭარავას; გ. აზარიანს, მ. თუხარელს და გ. ნიკოლეიშვილს.

ფოთის მილიციიდან: ვ. ნაჭყებიას, ზ. გაბუნიას, ა. კაკაბაძეს; თ. ჩანიბაიას და პ. მიმინოშვილს. ხობიდან: ნ ფარცხვანიას და ავქ. შონიას ბეთიდან: ლ. გოგიას, ოთ. გელოვანს, ერ ბუკიას, ალ. ბუკიას და აკ. ნაჭყებიას.

სილოვან გოგუა

შემომაქვს „თვითფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ალისა ფხაკაძეს, აკაკი გოგუაძეს, ლადო ზაალიშვილს; ასონია კობიაშვილს; ალექსანდრე ნაცვლიშვილს, ლადო კაიშაურს, სოლომონ კაიშაურს, კოლა ბურდულს; გიორგი კაიშაურს, არჩილ კაიშაურს და ალექსი ზაქაიძეს ნაესაკოვიდან 3 მანეთზე ესტატე კუჭუხიძეს.

ვანო კუჭუხიძე.

შემომაქვს „თვითფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად ერთი მანეთი (1) და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გრიშა ქარჩავას, ქსენია აფაქიძეს, პარმენ კორთხონჯიას; გრიშა ჩაჩიბაიას, ლევან ნადარეიშვილს, ალექსანდრე წერეთელს, ელპიდე გეგენავას, ვანო გაბისონიას, მარო შენგელიას; ალექსანდრე გალდავას, ეპიფანე გვალიას, მარო შენგელიას, ევგენი ჯეიბიას, მინადორა გადელიას; აგრაფინა კოკაიას, ელიკო ჯღარკავას, სარდიონ ჯანჯღავას. 3 მანეთზე ამხ. ამხანაგებს: აბესალომ ჩიტიას, ზინა ჯახაიას, აკ. ბალათურიას; ვ. ჩაკვეტაძეს, იპოლიტე თოფურიას, კაპიტონ ჯანჯღავას, კოსტა ჭიჭინაძეს, ოლია ჩიჩუას, ვახო შავახიას; ჯვებე ჩიჩუას პ. ჩარგაზიას, ისაკ ბეჭვაიას.

კლიმენტი და ისიდორე შონიებს (ზუგ. მ. ხობიდან).

შურა იოსავა.

ამხ. შარაშიძის გამოწვევით შემომაქვს ორი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად და ჩემის მხრივ ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

ადმინისტრატიულ განყოფილებიდან: გოცაძე ბიქტორ, ზაქარაია მიხეილ; მეგრელიშვილი მიხეილ; ფარსელავა აკაკი. სამილიციო რაიონიდან: ხაბურზანია გიორგი, კოპალეიშვილი ილია, შარაშენიძე დავით, ოქროპირიძე კონსტანტინე, მეუნარგია ვიქტორ, ინაშვილი დავით, ბასილაშვილი ილიკო, ბარბაქაძე ნიკოლოზ, ბიბიშვილი ილია, კალანდაძე გიორგი, მარჯანიშვილი ვახო; ანდრონიკაშვილი არჩილ; ადამია ალექსანდრე; თორდია ბიქტორ, ივანიძე ნიკოლოზ, ჩხიკვაძე ნოე, თოშხუა აპოლონ; კვირკველია ალექსანდრე, არღუთაროვი ივანე და აბასოვი ალი.

შალვა ფირცხალავა.

ამხ. ჯეჯელავას გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად ათი მანეთი და ვიწვევ შემდეგ პირებს (საქმილიციიდან) ამ. კაკაბაძეს, რ. ჯიოევს, იულონ ცინცაძეს, სარდ. დუნდუას, ნიკ. ტაკაიშვილს.

პ. ჭყონია.

ამხ. ჯეჯილავას გამოწვევით შემომაქვს ათი მანეთი და ვიწვევ ქ. ქუთაისიდან შემდეგ ამხანაგებს: „საქ. მარგანეციდან" ა. გრიგოლიშვილს, ი. ალხაზოვს, ს აზატიანს; ა ცაგურიას, ი. დათიკოვს, სახბანკიდან მ. თარხნიშვილს, გ. მელიქსეტოვს, მუშკოოპიდან ზ. სოფრომაძეს, დ. მელაძეს, ი. აბაშიძეს; გ. ლოლაძეს.

ტრესტების სავაჭრო კანტორიდან—შ. კინწურაშვილს.

ა. მატკავა.

ამხ. ჯეჯელავას გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად ათი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ინჟ. ნესტორ ცინცაძეს, (სამშენი); იაშა კუპრაძეს (გოსპირტი), გრიშა სარჯველაძეს (საქ. სახ. დამზღვევის თავმჯდომარე), ვასილ გოლოვინს (კომუნალური ბანკი), ინჟ. მიხეილ გურამოვს (თბილისის აღმასკომი), ინჟ. სოსო ბეთანოვს (ადგილობრივ მრეწველობის განყოფილება), იასონ საბახტარიშვილს (ბათომის საურთიერთო ბანკი), ნიკოლოზ მეიშვილს (ფოთის აღმასკომი), სამსონ ბაქრაძეს, რომან ერისთავს (მიწსახკომის სატყეო განყოფილება).

გიორგი საბახტარიშვილი.

ამხ. ჯეჟელავას გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ასაშენებელ ფონდში ათი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ლ. მრევლიშვილს (ს. მ. უ: ხ:), ექ. ვ. ჩოხელს (საქართველოს წითელი ჯვრის საზ.), ა. ბაიდაშვილს (აღმასკომი), ექ. გ. ტაბლიაშვილს რკ. გზის საავად:).

გ. ბაიდაშვილი.

ამხ. ბზეკალავას გამოწვევით შემომაქვს ხუთი მანეთი, თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: აკაკი მენაბდეს, ჭიჭიკო გოგობერიძეს; გერმანე ლომთათიძეს, იპოლიტე დოლიძეს, ლოლია ანდღულაძეს, ტერეზა თოხაძეს, სოლომონ ლორთქიფანიძეს, ნიკო მგელაძეს, დიმიტრი მგელაძეს, ალექსანდრე გარდაბხაძეს, ალექსანდრე მაღულარიას, გერმანე ჯიბუტს (ექიმი), ოზურგეთიდან პროკოფი ჟღენტი, ილარიონ კალანდაძეს, გერმანე ჯიბლაძეს, ჭიჭიკო ღლონტს, დათიკო ნიკოლაიშვილს; ნორფიტე ჭეიშვილს, გრიგოლ ჩიჩუას, ექ. ტიტე ღლონტს, ექ. ივანე უჯმაჯურიძეს.

თეოფილე ჩიჩუა.

ბაბე ბოჭორიძის გამოწვევით შემომაქვს ხუთი (5) მანეთი „თბილისის პროლეტარიატის" სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ პირებს: მათიევი ბაგრატ, ლუსია მათიევი, ალიევა ისმაილ, ალიევა თამარა, გავალოვ მიშა, გავალოვ ზაქრო, სოჯიევა ვარა, ფხაკაძე კატუშა; ზახაროვ მიშა.

აკაკი კულაშვილი.

შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის ფონდის გასაძლიერებლად ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: (1 საცდელ საჩვენებელ შრომის სკოლიდან) ნოდარ ფირცხალაიშვილს, გოგი აბაშიძეს, შალვა მირიტაძეს; შოთა ბუკიას; (მე-14 შრომის სკოლ.) კუკუნა გიორგაძეს, ვალოდია ნასარიძეს, ვალოდია ბუაძეს; გოგონა ჩხაიძეს, რუსიკა მოდებაძეს; თინა აბაშიძეს, ნათელა ქავთარაძეს.

პირველ საცდელ საჩვენებელ შრომის სკოლის მოწაფე **ვანო ფილიპაშძე ჟორბენაძე.**

თანახმად ამხ. გიორგი ჯიოევის გამოწვევისა, თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის ფონდში შემაქვს ხუთი (5 მ.) და ვიწვევ მთავარ სახელოსნოდან: ილია თაქთაქიშვილს, ვლადიმერ ბარისოვს, ვახო ფილიმონოვს, ვანო ჯომარჯიძეს, ვასილ ზუბკოვს, პავლე მატრიშინს, ვარლამ გლუშკოვს და ინჟინერ სუდნის.

ვასო ბარბაქაძე.

ამხ. ზინა ბაღავას გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად სამი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ელენე კალანდაძეს („ახალი სოფელი"), ნინა წულუკიძეს, ვარია სარქისოვას (გაზ. „მუშა"), ლეო ხახუტაშვილს, მაქსიმე დაჟინიას, შალვა ტყავაძეს, ფილიპე შონიას.

ა. მანდინავა.

სულ დღემდე შემოსულია 960 მან. 50 კაპ.

თავდაცვის კვირეულისათვის

ქიმიური „ომი" თბილისში

გუშინ, საქ. თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობ საზოგადოებაში შესდგა თბილისში ქიმიური ომის იმიტაციის მომწყობი ქვე-კომისიის სხდომა, რომელზედაც შემუშავებულ იქნა ომის მოწყობის დაწვრილებითი გეგმა.

17 ივლისს, თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების წრეების წევრები თავს იყრიან ყოფ. სამხედრო ტაძრის ეზოში, საიდანაც ისინი დანაწილდებიან წინასწარ აღნიშნულ საგუშაგოებზე. დილის 10 საათსა და 50 წუთზე ქალაქში გაისმის საყვირების განგაში, რაც ნიშნავს „თავდასხმის" საფრთხის მოახლოვებას. სწორედ 11 საათზე, „ზაჰესის" მხრიდან გამოჩნდებიან აეროპლანები, რომლებიც დაზვერენ ქალაქს ხაბალადევის, პლეხანოვის, რუსთაველის პროსპექტის და კახეთის მოედნის რაიონებში.

აეროპლანებს აუტეხენ სროლას ზარბაზნებიდან და ტყვიისმფრქვეველებიდან. არტილერიის სავარჯიშო ბრძოლა იწარმოებს საბურთალოზე, კუკიის ყაზარმების მახლობლათ და კოჯრის გზატკეცილზე. ტყვიისმფრქვეველები კი დადგმულ იქნება მაღალი შენობების სახურავებზე, ქალაქის სხვადასხვა პუნქტებში.

ავიაქიმის რაზმების მოქმედება გამოიხატება შემდეგში: ისინი აწარმოებენ ქალაქის სხვადასხვა პუნქტებში ყალბ მახრჩობელა გაზების გაშვებას. ასეთ პუნქტებათ ქალაქში არჩეულია 24 ადგილი. ადგილებზე გაკეთებული იქნება გამაფრთხილებელი წარწერები. შემდეგ ავიაქიმის რაზმები შეუდგებიან მუშაობას ამ რაიონების გასაწმენდათ გაზისაგან.

მილიციის მუშაობა

ომის იმიტაციის დროს ქალაქში ივლიან მილიციის გაძლიერებული პატრულები და საგუშაგოებიც გაძლიერებული იქნება თითო მილიციელით. მილიციელები უხელმძღვანელებენ „ომის" დროს მოქალაქეთა მოძრაობას წესრიგზე და აღმოუჩენენ დახმარებას ქიმიურ და სანიტარულ რაზმებს.

მილიციელები ჩაცმული იქნებიან სამხედრო დროის წესზე—მათ ექნებათ ნიღბები.

ქალაქის ქუჩებში ომის დროს ივლიან აგრეთვე ცხენოსანი ჯარის ნაწილები.

„ომის" დასრულების შემდეგ ქალაქში გამოუშვებენ სამხედრო-საფოსტო მტრედებს, რაც იმის ნიშანი იქნება რომ „ომი" დასრულდა. ამის შემდეგ „ომის" ყველა მონაწილეები კვლავ გაემართებიან ყოფ. სამხედრო ტაძრის ეზოსაკენ, სადაც შესდგება დიდი მიტინგი.

ომის იმიტაციას უხელმძღვანელებენ ამხ. **ლ. აბაშიძე და დურიხანოვი.**

ამიერ-კავკასიის ქალაქებში

ა.-კ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ცნობით საჰაერო-ქიმიური ომის იმიტაციები, გარდა თბილისისა მოეწყობა აგრეთვე ა.-კ. შემდეგ ქალაქებში—ბაქოში, ერევანში, სოხუმში და ბათომში.

ბაქოში თბილისიდან გაიგზავნება ორი აეროპლანი, ხოლო ერევანში—ერთი. ბათომში და სოხუმში გაიმართება ქალაქზე სამხედრო ფლოტის თავდაცვის იმიტაცია.

მოსული სამხედრო გემები ქალაქს დაუშენენ ყალბ ყუმბარებს და გაიმართება სროლა გამაგრებულ სანაპიროებსა და გემებს შორის. გემებიდან ქალაქისკენ გამოუშვებენ „მახრჩობელა" გაზებს.

ბათომში და სოხუმში იმიტაცია მოეწყობა თავდაცვა-ავიაქიმის ადგილობრ. ორგანიზაციების ხელმძღვანელობით.

სპეკულიანტები ჩაის ბაზარზე

უკანასკნელ ხანებში ჩაის ბაზარზე გაჩნდენ კერძო ვაჭრები, რომლებიც გლეხებისაგან ყიდულობენ ჩაის ნედლ ფოთოლს. იმ მიზნით, რომ გადაიბირონ გლეხები, ისინი სცდილობენ ხელოვნურად ასწიონ მწვანე ფოთლის ფასები, შეისყიდონ გლეხებისაგან ნედლი ფოთლის დიდი ნაწილი, რომ ხელი შეუშალონ „საქართველოს ჩაი"-ს ფაბრიკების მუშაობას.

სხვებთან ერთად ბაზარზე გამოჩნდა ვიღაც სპეკულიანტი ბარკალაია, რომელიც აწარმოებს ჩაის გადამუშავებას. ოზურგეთის აღმასკომის მიერ გამოყოფილმა სპეციალისტთა კომისიამ გამოიკვლია ბარკალაიას მიერ გადამუშავებული ჩაის ღირსება. გამოირკვა, რომ ჩაის მისაღები პუნქტი მოთავსებულია ბნელ ნესტიან სართულში, ხმელი ჩაი დაყრილი პირდაპირ იატაკზე, რაც დაუშვებელია. ჩაის ურევია მტვერი, ბეწვები და უდის არასასიამოვნო სუნი; ამას გარდა, იგი დანესტიანებულია.

აი, ასე უმსგავსოთ დამუშავებულ ჩაის ბარკალაია და ძმანნი მისნი აწყობენ სპეციალურად დამზადებულ პაკეტებში და ზედ შემდეგ წარწერას უკეთებენ: „გურიის კულტ. ცეილონის ჩაი" და ცალკე ათავსებენ შემდეგ სიტყვებს: „მილიონები სვამს ამ ჩაის ყოველდღე". რასაკვირველია, ჩაი ყოვლად უვარგისია. ვინც ერთხელ მაინც იყიდის მას, დარწმუნდება ამაში.

გურიის ღარიბი გლეხობა არ წამოეგო სპეკულიანტების ანკესზე, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი ხელოვნურად სწევენ მწვანე ფოთლის ფასებს. იგი კვლავინდებურად „საქართველოს ჩაი"-ს ფაბრიკებს აბარებს თავის ნედლ ჩაის.

ძე.

პატარა ფელეტონის მაგიერ

სადაური სად დაიკარგა!

ეს ახირებული ამბავი მოხდა ამ რამდენიმე ხნის წინად.

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა ნავთსადენის განყოფილებამ ლენინგრადის მანქანების სამშენებლო ქარხანას დაუკვეთა სასწრაფოდ დიზელის ნაწილები ნავთსადენისათვის.

დაკვეთა დაპირებულ ვადაში შესრულებულ იქნა. დიზელის ნაწილები დაუყოვნებლივ გამოგზავნა დანიშნულებისამებრ ნავთსადენის სადგურში, რომელსაც ეწოდება საგირი. საგირის ნავთსადენის უფროსს გიგაურს მოსდის დუბლიკატი და მოწერილობა, რომ მას ევალება დიზელის ნაწილების გამოტანა.

გიგაური დაეძებს დიზელების ნაწილებს, მაგრამ ვერსად ვერ ნახულობს.

არსად არ არის.

გადის დრო. იგზავნება შეკითხვა ლენინგრადში. მოდის პასუხი, რომ დიზელების ნაწილები დიდი ხანია გადმოგზავნილია. დაეძებენ, მაგრამ არსად არ სჩანს.

სადგურის საწყობში ამ დროის თათბირია. სწყდება საკითხი: სად გადაგზავნონ დიზელის ნაწილები, რომელთაც პატრონი და მომკითხავი არ გამოუჩნდა. მიღებულ იქნა დადგენილება: დაიგზავნოს თბილისში სალიკვიდაციო საწყობში აუქციონით გასასყიდათ.

ნავთსადენის უფროსი ინჟ. ოგანეზოვი გამწარებული დაეძებს დიზელის ნაწილებს.

ამ დროს თბილისში სალიკვიდაციო საწყობში აუქციონია. იყიდება დიზელების ნაწილები. მყიდველი არავინ არის. გამოჩნდა „მადლიანი" კაცი მოქ. ბენდუქიძე (ავტო-სახელოსნოს მეპატრონე) და ყიდულობს დიზელის ნაწილებს 3 მანეთად და ერთ შაურად, როცა მისი ღირებულება 400—500 მანეთს უდრის.

მიაგნეს „დაკარგული საუნჯის" კვალს. გაიკითხეს-გამოიკითხეს და მიადგენ მოქ. ბენდუქიძეს.

— 150 მანეთს თუ მომცემთ დაგითმობთ, თუ არა და ლაპარაკი ზედმეტია,—ეუბნება ბენდუქიძე ნავთსადენის სამმართველოს წარმომადგენლებს.

ჩამოვიდა უკანასკნელად 120 მანეთზე.

ნავთსადენი თანახმაა. თავის საკუთარ დიზელის ნაწილებს ნავთსადენი ყიდულობს 120 მანეთად ბენდუქიძისაგან, რომელმაც 3 მანეთად ჩაიგდო ხელში ასეთი ძვირფასი სამკაული.

სასაცილოა, სამწუხარო რომ, არ იყოს.

ზ.

ქრონიკა

ამხ. გუსეინოვის გამგზავრება

ამხ. გუსეინოვის მოსკოვში გამგზავრების გამო ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის მოვალეობის დროებით შესრულება დაევალა ა.-კ. ფინსახკომის კოლეგიის წევრს ამხ. **ალანიას.**

სპეციალური თანხები

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ ნება დართო ა.-კ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს იქონიოს სპეციალური თანხები

პირდაპირი მატარებელი

ა.-კ. რკინის-გზის გამგეობამ ქუთაის-ბორჯომს შორის დანიშნა პირდაპირი სამგზავრო მატარებელი.

მუშათა საბინაო აღმშენებლობა

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, ამიერ-კავკასიაში შემავალ რესპუბლიკების მუშათა საბინაო აღმშენებლობის განსავითარებლად მიეცა: აზერბეიჯანს 86.288 მანეთი, საქართველოს 60.562 მანეთი და სომხეთს—17.150 მანეთი.

თბილისის აღმასკომში

ნიხრი წყალზე. თბილისის აღმასკომის დადგენილებით კანალიზაციისათვის ვედრო წყალზე დაწესებულ იქნა ერთი მესამედი კაპეიკი ყველასათვის განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა.

„26 ბაქოელი კომუნარი“. თბილისის აღმასკომმა გადასწყვიტა შეიძინოს ბროდსკის დიდი სურათი: „26 ბაქოელი კომუნარი“.

გელათის ქვები. ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებამ გადასწყვიტა მოაწყოს გელათის ქვების კუბიკების დასამზადებელი მექანიკური სახელოსნო.

ჯანსახკომში

სამკურნალო მცენარეები. ჯანსახკომს განზრახვა აქვს მოაწყოს სამკურნალო მცენარეების მოსაშენებელი ბაღი.

ბრძოლა ვენერიულ სენთან. ჯანსახკომმა გადასწყვიტა მაზრებში დაგზავნოს ვენერიულ სენთან მებრძოლი რაზმები. ავადმყოფებს უწამლებენ უფასოდ.

მოარულ სენების წინაამდეგ წინასწარი ზომების გაძლიერების მიზნით, ჯანსახკომმა დაადგინა გაადიდოს ექიმების შტატი მოზდილ თემებში არსებულ საავადმყოფოებში.

განათლების კომისარიატში

სოფლის ახალგაზრდობის სკოლები. განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა მომავალ სასწავლო წლიდან გაადიდოს სოფლის ახალგაზრდობის სკოლების რიცხვი.

რადიო. პოლიტგანათლების მთავარ მმართველობამ დაადგინა მოზრდილ თემებში არსებულ სამკითხველოებთან მოაწყოს რადიო-მიმღები სადგურები.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში

მინდვრის მავნეებთან ბრძოლის გასაძლიერებლად აგრონდახმარების პუნქტებს დაეგზავნათ საჭირო წამლეულობა და ახალი ხელსაწყოები.

ვაზის ახალი სანერგეები. მიწსახკომმა გადასწყვიტა ნამყენ ვაზებზე დიდი მოთხოვნილების გამო, მომავალ სეზონიდან მოაწყოს ვაზის მყნობის ახალი სანერგეები.

სახელგამის ახალი გამოცემანი

გამოვიდა და იყიდება სახელგამის მაღაზიებში შემდეგი ახალი წიგნები:

ლენინი: „ტროცკისა და ტროცკიზმის შესახებ“ მინსკის წინასიტყვაობით 212 გვ. ფ. 1 მ. და 30 კ.

ი. სტალინი:—„კიდევ სოც.-დემოკრატიულ გადახრებზე ჩვენს პარტიაში“ 178 გვ. ფ. 1 მან.

რუდოლფ შილფერდინგი:—„ბემ-ბევერკი როგორც მარქსის კრიტიკოსი“ გერმანულით თარგმნილი მ. თავართქილაძისა 103 გვ. ფ. 65 კ.

დ. მილოვი:—„რა შეღავათებსა და უპირატესობას იძლევა არმიაში სამსახური“ (სამხედრო ბიბლიოთეკა) 44 -- ფ. 30 კ.

სხვადასხვა

„იურიდიული ბიბლიოთეკა“. იუსტიციის სახ. კომისარიატი შეუდგა „იურიდიულ ბიბლიოთეკის“ ბეჭდვას. „ბიბლიოთეკას“ მიზნად აქვს საბჭოთა კანონმდებლობის პოპულიარიზაცია. უმთავრესი ყურადღება მიექცევა მიწის, ტყის, შრომის და სხვ. სამართალს. უკვე გამოვიდა „ცნობარი თემაღმასკომებისათვის“ ტყის წესების დარღვევა, წანახდენი და სხვ., „კომლის გაყრა“, გამოვა „მიწათსარგებლობის საფუძვლები“.

ხელოვნების ქრონიკა

პროლეტარულ მწერალთა შორის

ხელოვანთა სასახლეში, დღეს, 2 ივლისს, საღ. 7 საათზე დანიშნულია საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობის კომ-ფრაქციის სხდომა. ამხ. **ვ. სუტირინი** გააკეთებს მოხსენებას „საკავშირო პრ. მწერალ. ასოციაციის ბიუროს უკანასკნელ პლენუმის მუშაობის შესახებ“. თანამოხსენება— **ს. ეულის.** სავალდებულოა დასწრება შემდეგი ამხანაგებისა: ს. დოლიძე, ს. თოდრია, გ. მუშიშვილი, ს. ბაჯიაშვილი; ს. ეული; ა. მაშაშვილი, ნ. ზომლეთელი, მ. ხუხუნაიშვილი, ვ. მაჭავარიანი, სტორი; ესაკია; კრეიტანი; რადიანი, ლევიტი, შ. დუდუჩავა, ვართანიანი; პოგოსიანი; მარტინი, აკოპიანი; პოლუმორდვინოვი; ბუაჩიძე და აზასოვი.

უკრაინის კინო-სურათები

უკრაინის ფოტო-კინოს სამმართველოსაგან საქართველოს სახკინმრეწვმა შეიტანა შემდეგი სურათები: „მოხეტიალე ვარსკვლავები“, „ჰამბურგ“, „უკრაინა“, „გიგანტების ბრძოლა“, „ტრიპოლის ტრაღედია“; „სოროჩინის ბაზრობა“ და სხვ.

შესყიდულ სურათებიდან უკვე დაიწყო სურათის „მოხეტიალე ვარსკვლავები“ს ჩვენება თბილისის კინო-თეატრებში.

— **მიხ. კავსაძის** სახალხო მომღერალთა გუნდის კონცერტები გაიმართება შაბათს, 2 ივლისს, ნაძალადევში (პლეხანოვის სახელობის კლუბში) „არტოს“ ბაღში, გუნდი შესდგება 30 კაცისაგან; შესრულებულ იქნება საქართველოს ყველა კუთხის სახალხო სიმღერები

შემთხვევები

ტრამვაის მოძრაობის შეწყვეტა

გუშინ, შუადღის 12 საათიდან ქალაქში ნახევარი საათით შესწყდა ტრამვაის მოძრაობა, რაც გამოწვეული იყო ელექტრო-ხაზის დაზიანების გამო.

ამავე მიზეზით გუშინ რამოდენიმეჯერ შესწყდა ცოტ-ცოტა ხნით ტრამვაის მოძრაობა.

სავაჭროს გაქურდვა. 30 ივნისს ლენინის ქუჩა № 26 პროკოფი გოგაძის სავაჭროდან მოიპარეს 130 მან. საქონელი.

ამავე დღეს ვერის დაღმართი № 2 გაქურდეს ვასილ არუთინოვის სავაჭრო. წაღებულ საქონლის ღირებულება გამოურკვეველია.

თავის მოწამვლა. 30 ივნისს ბროსეს ქუჩა № 8 ვართანუშ გრიგორიანცმა მოიწამლა თავი.

საფეიქრო სინდიკატში 30 ივნისს ქაზუბგული ახმედოვს ამოაცალეს 100 მან.

ცენტრალურ ბაზარში ამავე დღეს თამარა ოზგაშვილს ამოაცალეს ფული. ჯიბგირები ზეურქ პეტროსიანი და მელქონ მელქოიანცი შეიპყრეს.

ცეცხლი 30 ივნისს ლაზარევის ქუჩა № 1 ჯაფარიძის სახელობის პროფსკოლას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელ რაზმმა.

რომანიულ ნიადაგზე 30 ივნისს თამარის ქუჩა № 1 ნატალია კარპოვამ მოიწამლა თავი.

დაჭრა. 30 ივნის სოფ. ალოტში თბ მაზრა ურუმკა დიაურმა მძიმედ დასჭრა დავით სამუკაშვილი, დამნაშავე შეიპყრეს.

შეპყრობა. სხვადასხვა ქურდობისათვის საგარეჯოს რაიონში შეიპყრეს აღამალი იბრაგიმოღლი.

ამავე დანაშაულობისათვის აღბულაღის რაიონში დააპატიმრეს სურენა მირზოიანი.

ქურდობა. 30 ივნისს მუშტაიდი შესახ. ვასილ კუსკალაძეს მოპარეს საოჯახო ნივთები.

ამავე დღეს საგურამოს ქუჩა № 2 გაქურდეს კუდრაია ეროზინოვის ბინა.

ქურდობისათვის 30 ივნისს დააპატიმრეს კონსტანტინე გასნევსკი.

სასამართლო

სამოცი წლის ახალგაზრდა

ღამის პირველი საათია...

მოქალაქე **სანაგოვი** თავის ცოლთან ერთად ბრუნდება თეატრიდან. ცოლ-ქმარი შემოუდგენ აღმართს. ყოფ. ალექსანდროვის ბაღთან.

— გატყობ ძალიან დაიღალე, შენ აქ დაიცადე, მე წავალ და ეტლს დაუძახებ,—ეუბნება თავის ცოლს სანაგოვი და მიდის.

ქალი სდგას და ელოდება თავის ქმარს.

ამ დროს საიდანღაც გამოჩნდება მოქ. **ტერ-მინასოვი,** სამოცი წლის მოხუცი (პროფესიით სპეკულიანტი).

მიუახლოვდება ქალს, გაჩერდება და ითვლის ფულს.

— ერთი თუმანი, ორი თუმანი, სამი თუმანი... ეჰ! რას ვითვლი, რად მინდა ფული. ჩემი სიჭაბუკე დროსტარებაში და ქეიფში გამიტარებია... კარგი ქალები მიყვარდა მუდამ. ფულს ქალებისათვის არასოდეს არ ვიშურებდი. (ქალს უახლოვდება)... შეიძლება გაგეცნოთ?

ქალი ზურგს შეაქცევს და მიდის თავისთვის. მოხუცი [illegible] გაედევნება.

— თქვენმა სიყვარულმა გამაჭაბუკა. მე ეხლა ოცდა ერთი წლის ახალგაზრდასავით მიცემს გული. „წავიდეთ“ და მთელი ჩემი ჯიბე თქვენთვის შემომიწირავს...

ქალი გარბის. მოხუცი მისდევს. დაეწევა და სტაცებს მკლავში ხელს. ქალი გულზე ხელს ჰკრავს. მოხუცი წაიბარბაცებს. მოიკრებს ძალღონეს და თავის უცნობ „სატრფოს“ ურტყამს ბამბუკის ჯოხს. ქალი ჰკივის.

მოვარდება ქუჩაზე მიმავალი მოქალაქე. ჩაერევა გასაშველებლად, და ტუქსავს გაახალგაზრდავებულ მოხუცს.

— შენ ვინ გეკითხება, მატრაკვეცო, ეს ჩემი ცოლია და ჩემს შინაურ საქმეში რად ერევი? —ჰყვირის ტერ-მინასოვი.

ამ დროს გამოჩნდება მოქ. სანაგოვი, ქალის ქმარი. გაიგონებს ცოლის ძახილს. გარბის დასახმარებლად

ტერ-მინასოვი სტოვებს „ცოლს“ და გარბის. მას დაედევნება ქალის ქმარი, რომელიც გამვლელ მოქალაქეების დახმარებით იჭერს ახლად „გამიჯნურებულ“ 60 წლის „ახალგაზრდას“.

საქმე გუშინ გაარჩია სასამართლომ. ტერ-მინასოვი გამსახლში გაიგზავნა. იქ უნდა დაჰყოს სამი თვე, რომ გამოსწორდეს ვნებააშლილი სამოცი წლის „დონ-ჟუანი“.

გერ.

მთვრალი ძმები

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. **ბურკაძის** თავმჯდომარეობით გაარჩია სარქის ახნაზაროვის საქმე.

სარქის ახნაზაროვი 1926 წ. 28 ივნისს მთვრალი შეხვდა თავის ძმას მნაცაკანს, რომელიც თვითონაც მთვრალი იყო. მათი შეხვედრა მოხდა ვანქის ქუჩაზე ეკლესიის გალავანში. ძმებს ოჯახურ საქმეების გარშემო მოუვიდათ ჩხუბი. მნაცაკანმა ამოიძრო ჯიბიდან დანა და გვერდში ჩაარტყა თავის ძმას სარქისს. დაჭრილმა სარქისმა წაართვა ძმას დანა, დაჰკრა ბეჭზე და გაიქცა. მნაცაკანი აღმოჩნდა სასიკვდილოთ დაჭრილი და იქავე გარდაიცვალა.

სასამართლო ძიებაზე დამტკიცდა, რომ მნაცაკამნა მართლაც დასჭრა თავისი ძმა სარქისი, რომელმაც თავდაცვის მიზნით წაართვა დანა თავის ძმას, მაგრამ თავი ველარ შეიკავა აღელვების გამო და მოჰკლა თავისი ძმა.

სარქის ახნაზაროვს მიესაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით.

აჭარისტანის შესწავლა

საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად ბათომში მოეწყო რამოდენიმე სამეცნიერო-სამოგზაურო ჯგუფი აჭარისტანის შესასწავლად. ახლად მოწყობილი ჯგუფები მიზნად ისახავენ აჭარისტანის ბუნებრივი სიმდიდრეების შესწავლას და აჭარისტანის ისტორიულ ეტნოგრაფიულ გამოკვლევას, ზეპირ-სიტყვაობის შეგროვებას და ყოფა-ცხოვრების შესწავლას. ჯგუფები უმთავრესად შესდგება ბათომის და პროვინციის მასწავლებლებისაგან. მიმდინარე ზაფხულის თვეებში განზრახულია რამოდენიმე ექსპედიციის მოწყობა. პირველი ექსპედიცია უკვე გაემგზავრა აჭარისტანის მთიან ნაწილში. მეორე ექსპედიცია გაემგზავრება შუა ივლისში.

ბიბლიოგრაფია

„როგორ უნდა ვემზადოთ თავდაცვისათვის“

სახელგამი. 1927 წ. გვ. 64, ფასი—30 კაპ.

თუ დღემდის სამხედრო ხასიათის ლიტერატურა ქართულ ენაზე თითქმის სრულიად არ მოიპოებოდა, ამჟამათ ეს ფრიად მნიშვნელოვანი ნაკლი გამოსწორებულია. სახელგამმა უკვე გამოუშვა მრავალი პოპულიარული ბროშიურა სამხედრო ხასიათის სხვადასხვა საკითხებზე.

ამ წიგნაკების მიზანს შეადგენს გასაგებ ფორმებში მიაწოდონ მშრომელთა ფართო მასას ცოდნა სხვადასხვა სპეციალურ სამხედრო საკითხებზე და ამავე დროს მობილიზაცია უყონ საზოგადოებრივ აზრს მოსალოდნელი ომის საფრთხის გამო.

ბროშურაში „როგორ უნდა ვემზადოთ თავდაცვისათვის“ გარკვეულია თუ როგორ უნდა გამოეხმაურონ სამხედრო მობილიზაციას სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დარგები. საბჭოთა საზოგადოებრივი აზრი ორგანიულათ უნდა შეეთვისოს იმ აზრს, რომ საჭიროა მუდმივი სამხედრო მზადყოფნა, რათა „თავდასხმის შემთხვევისას მთელი ქვეყანა გარდაიქცეს შეიარაღებულ ბანაკად“.

წიგნაკში ცალ-ცალკეა განხილული, თუ როგორი წესით უნდა ჩატარდეს მობილიზაცია —ჯარის, მოსახლეობის, მიმოსვლის და კავშირის საშუალებათა, მრეწველობის, სასოფლო მეურნეობის, ფინანსების და ქვეყნის ტექნიკური ძალების. გათვალისწინებულია აგრეთვე ყველა ის ეკონომიური ხასიათის შევიწროებანი, რომელიც შესაძლებელია მოჰყვეს ხანგრძლივ ომს, და ის ზომები, რომელიც უნდა იქნეს მიღებული, რათა საზოგადოებრივი ცხოვრება არ ასცდეს მიზანშეწონილ კალაპოტს.

ყოველივე ეს საჭიროა იმისათვის, რათა ფრონტი იდგეს ურყევათ, უნდა გვახსოვდეს მაგარი ზურგის გარეშე—ფრონტი არაა. თანამედროვე ტექნიკამ და ომის წარმოების ახალმა წესებმა თითქმის სრულიად მოშალა მიჯნა ზურგსა და ფრონტს შორის. დღეს ზურგიც და ფრონტიც სამხედრო მოქმედებათა ასპარეზია; აი, რატომ არის საჭირო მობილიზაციის წესების ზედმიწევნით შეთვისება საბჭოთა კავშირის ყოველი მოქალაქისაგან. ყოველივეს დამორჩილება ფრონტის ინტერესებისადმი.

წიგნაკი იმდენათ მარტივათა და გარკვევით არის დაწერილი, რომ ხალისით იკითხება და სავსებით უპასუხებს თავის მიზანს.

სამხორი.

ნავთსადგურებში

ბათომში

ამჟამად ბათომის ნავთსადგურში მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა ნავთსადგურის აღსადგენად და შესაკეთებლად. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წყალსაკვეთების და მილების აგებას. ამ მიზნით სწარმოებს მუშაობა იმ პარკის სამექანიზაციოდ, სადაც მზადდება წყალსაკვეთების ასაგებად საჭირო ბეტონის მასსივები. უკვე შეძენილია 3 ელექტრო მოტორი. თვითეული მათგანი დაჯდა 7 ათასი მანეთი.

ბეტონის მასსივების გადასატვირთად მოწყობილია ძლიერი ასაწევი ონკანები. გაყვანილია ვიწროლიანდაგიანი რკინის გზა და სხვ. პარკის მექანიზაცია დამთავრდება ამ მოკლე ხანში.

მატყლის დამზადება

იმ მიზნით, რომ საბჭოთა კავშირის მრეწველობა უზრუნველყოფილი იქნეს ხმელი მატყლით, ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ დაავალა ყველა კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციებს, რომლებიც 1927 წლის გაზაფხულის მატყლის დამზადებას აწარმოებენ ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე, როდესაც ისინი ხელშეკრულებით ნავარაუდევ რაოდენობას ჩააბარებენ სააქციო საზოგადოებას „შერსტ“-ს და სხვა დამამზადებლებს და როდესაც შეასრულებენ ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დავალებებს, მატყლის ზედმეტი რაოდენობა, რომელიც მათ დარჩებათ, ჩააბარონ სააქციო საზოგადოება „შერსტს“.

კოოპერატიულმა და სახელმწიფო ორგანიზაციებმა, როდესაც გამოირკვევა დამზადების კამპანიის შედეგები და დამზადებულ მატყლის ზედმეტი რაოდენობა, დამატებითი ხელშეკრულება უნდა დასდონ საზოგადოება „შერსტთან“.

მეცნიერება და ტეხნიკა

ახალი ცეპელინები გერმანიაში

გერმანიაში ამთავრებენ აგებას ახალი უზარმაზარი ცეპელინისას, რომელიც დანიშნულია ყოველკვირეული რეისებისათვის ესპანეთსა და სამხრეთ-ამერიკას შუა. ცეპელინი მთლიანად აგებულია დიურ-ალიუმინიდან და შეუძლია 100 კაცის წაყვანა ვარდა საჰაერო ხომალდის რაზმისა, ბარგისა და ფოსტისა.

ამერიკის პირველი კოლონიზატორები

ცნობილმა ამერიკელმა ანტროპოლოგმა დ-რ **ხიდრიკლმა,** რომელმაც სამეცნიერო მიზნით მოიარა ალიასკა, ნიუ-იორკში დაბრუნებისას განაცხადა, რომ მისი გამოკვლევით, ამერიკის პირველი კოლონიზატორები იყვენ აზიის ტომები, რომლებიც ბერინგის ზღვით გადასულან ამერიკაში. დ-რმა ხიდრიკლმა ალიასკაში ყოფნის დროს აღმოაჩინა ამ ტომების საცხოვრებელი ადგილების ნაშთები.

უხმო ნიშნები

ჰალეს ნავთსადგურში (საფრანგეთი) შემოღებულია სიგნალიზაციის ახალი წესი იმისათვის, რათა ღამით, დიდი ღელვის დროს ნავთსადგურში შემავალ გემებს ჰქონდეთ საშუალება გზა გაიკვლიონ. საყვირების გამაყრუებელ ნიშნების ნაცვლად, ნავთსადგურიდან იგზავნება ისეთი მაღალი ტონის მქონე ხმები, რომ ადამიანის ყური მათ ვერ შეიგრძნობს.

ახალ ნიშნებს ის უპირატესობა აქვთ, რომ მათ შეუძლიათ მიწვდომა უფრო შორ მანძილზე, ვიდრე ჩვეულებრივ ხმებს. უხმო ნიშნებს აჭერს გემზე დადგმული უბრალო ელექტრონული აპარატი. ახალი ნიშნების მიღება იმდენად საიმედოა, რომ ამ წესით გემებს აწვდიან რიგულ და ვრცელ ცნობებს. გადაცემა სწარმოებს მორზეს ანბანის საშუალებით.

რადიო და მზის სხივები

რადიო ყოველთვის ერთნაირად არ ისმის შორ მანძილზე: გადაცემა ხან კარგად მიიღება, ხან სუსტად. ამ მოვლენის მიზეზები დღემდი გამორკვეული არ იყო. ამ რამოდენიმე ხნის წინათ ამერიკელი რადიო-ექსპერტები, დიდი ხნისა და ყოველმხრივი გამოკვლევების შემდეგ იმ დასკვამდე მივიდენ, რომ რადიო-გადაცემების მილების თვისება უშუალო კავშირში იმყოფება მზის გამოსხივებასთან (მზის ენერგიაც პერიოდულად კლებულობს და ძლიერდება).

ჭადრაკი

საერთაშორისო ტურნირი

მეცხრე ტურზე უშედეგოთ დამთავრდა ყველა პარტიები **რეტი—ტარტაკოვერ, ბოგოლიუბოვ—ორბახ, ზემიშ—ეტს** შორის.

ტურნირზე მდგომარეობა ასეთია:

ბოგოლიუბოვს აქვს +6, **რეტის** + 6, **ტარტაკოვერს** + 5, **ზემიშს** + 4, **ორბახს** + 4, **ეტს** + 4.

მეათე ტურმა გადასწყვიტა ჯილდოების განაწილების საკითხი. **რეტი** ეთამაშებოდა შავებით **ორბახს,** შავებითვე ეთამაშებოდა **ბოგოლიუბოვი ზემიშს.**

თამაში არაჩვეულებრივი სიცხოველი და ინტერესით ჩატარდა. **ტარტაკოვერმა** მოუგო **ეტს, ორბახ—რეტის** პარტია უშედეგოთ დამთავრდა.

დაუმთავრებელი დარჩა: **ბოგოლიუბოვ—ზემიშის** პარტია, რომელშიაც ბოგოლიუბოვს მცირეოდენი უპირატესობა ჰქონდა.

მეთერთმეტე ტურით დამთავრდა ტურნირი. **ბოგოლიუბოვმა** მოუგო **ზემიშს,** რითაც მიიღო პირველი ჯილდო (1000 მარკა), მეორე ჯილდო მიიღო **რეტიმ** (60 მარკა), მესამე—**ტარტაკოვერმა**— (40 მარკა), მეოთხე—**ორბახმა** (250 მარკა). ჯილდოები ვერ მიიღეს **ეტსიმ** და **ზემიშმა.**

იურიდიული დახმარება

ინჟენერ ინვალიდს

პასუხი

თანახმად საბინაო ტარიფის მე-9 მუხლისა, თქვენ გადაიხდით ბინის ქირას (როგორც კერძო მასწავლებელი) სახლის პატრონთან შეთანხმებით, მაგრამ კვადრატიულ მეტრზე არა ნაკლებ 20 კაპეიკისა და არა უმეტეს 56 კაპეიკისა. თუ ამის ფარგლებში სახლის პატრონმა თქვენგან ქირა არ აიღო, თქვენ ბინის ქირა შეიტანეთ ხაზინაში, საიდანაც მიიღებთ ქვითარს. თუ ასე არ მოიქეცით, მაშინ სახლის პატრონს შეუძლია სასამართლოს საშუალებით თქვენი გამოსახლება.

რაც შეეხება შეკეთებას, მას ახდენს სახლის პატრონი, თუ შეკეთებას აქვს კაპიტალური ხასიათი, თუ ის საჭიროებს მხოლოდ მიმდინარე შეკეთებას, ეს დამქირავებლის მოვალეობას შეადგენს. (იხ. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 159 და 161 მუხლები).

საკუთარ ქონების გასხვისების შესახებ

ხ. ელიავას

პასუხი

თანახმად სამოქალაქო კოდექსის მე-181 მუხლისა, ნასყიდობის საგნად შეიძლება იყოს ყოველგვარი ქონება, რაც გამორიცხული არ არის სამოქალაქო ბრუნვიდან. (იხ. სამოქ. კოდექსის 22 მუხლი). ასე რომ თქვენ მულს სრული უფლება აქვს გაჰყიდოს და ვისაც სურს მიჰყიდოს თავისი კუთვნილი ოთახი კანონიერ წესით.

ოფიციალ. განყოფილება

დადგენილება № 54

სრულ. საქართ. საბჭ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 88^1 მუხ. დამატებისა და ამ მუხლით 183 მუხლის შეცვლის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 ნომრის დადგენილების მეორე მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექს დაემატოს 88^1 მუხ. შემდეგი შინაარსისა.

მუხ. 88^1 ხულიგნობა, ე. ი. თავ-აწყვეტილი მოქმედება, რასაც თანა სდევს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობა, გამოიწვევს ადმინისტრატიულ წესით, თავისუფლების აღკვეთას ან იძულებითი მუშაობას სამ თვემდე ან ჯარიმას სამას მანეთამდე.

ხოლო იგივე მოქმედება უკეთუ მას თან ერთვის შლეგიანობა ან უხამსობა ან უკეთუ განმეორებითაა ჩადენილი, ან ახირებით არ იქნა შეწყვეტილი მიუხედავად საზოგადოებრივი წესრიგის მცველი ორგანოს გაფრთხილებისა, ან და განსაკუთრებულად ცინიკურია და თავხედური, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე.

იგულისხმებოდეს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 183 მუხლი ამ მუხლითაა შეცვლილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
შ. მათიკაშვილი.

1927 წ. ივნისის 23.
თბილისი-სასახლე.

მუშკოოპის ახ. ლ. კ. კავშირის ბიურო მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და მეგობრებს ხსენებულ უჯრედის აქტიური წევრ ამხ.

შ. ი. გოგუაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა შაბათს, 2 ივლისს, დღის 4 საათზე, ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება ყოფ. [illegible] საავადმყოფოდან. 3209

ღრმად დამწუხრებული მეუღლე იარო, შვილები ეთერი და ხათელა, ძმა ლეონი, რძალი ბაბუცა, ბიძაშვილები ლავრენტი, იასონი, მართა, პასიკო წურქავები; ცოლისძმები ირაკლი და კირილე ცხვიტარიძენი ოჯახობითურთ აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 3 ივლისს, კვირას გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ერთი წლის აღსანიშნავად უდროოდ დაკარგულ

მიხეილ იოსების-ძე წურქავას

მოსაგონად, ქ. ფოთში ნახუტურევის სასაფლაოზე დღის 12 საათზე. 3202

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი: მშობლები მატრონა, ბესარიონი და ბიძაშვილი ბორისი მელაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი პირველთა ერთად-ერთი შვილი სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც. ეკონომიური ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი

ბადიმ ბესარიონის-ძე მელაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება სოფ. საჰილაოში, სამშაბათს, 5 ივლისს, ნაშუადღევის 5 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდები გადახდილი იქნება ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე. 3203

ღრმად დამწუხრებული მეუღლე დარია ალექსის ასული აცნობებს ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მისი ძვირფასი მეუღლე

გრიგოლ ალექსანდრეს-ძე
ჩივაძე

პანაშვიდი დღეს, შაბათს, საღამოს 8 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში. გასვენება კვირას—იმავე ეკლესიიდან კუკიის სასაფლაოზე, შუადღის 12 საათზე. (დ)

ღრმათ დამწუხრებულნი დები—ანნა ქურდოვანიძისა, სოფიო რცხილაძისა, ბარბალე ჩალენკოვისა, ძმა ნიკოლოზ ზაალიშვილი და რძალი თამარ ზაალიშვილისა თავისი ოჯახებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათთვის დაუვიწყარ

მარიამ მიხეილის ასულის აბელევის

გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს, 2 ივლისს, საღამოს 7 საათზე, გამოსვენება კვირას, დილის 11 საათზე საკუთარ ბინიდან—ანანურის შესახვ. № 1; დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1—1 3213.

„კომუნისტი“

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის
და
თბილისის კომიტეტის
და
სრულიად საქართ. მუშათა, გლეხთა, წითლარმიელთა
და
მეზღვაურთა ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო.

დიდი პოლიტიკური გაზეთი

მიიღება ხელისმოწერა წლის მეორე ნახევარზე

გაზეთი ეღირება

მუშა-მოსამსახურეთა, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეებისა და მასწავლებლებისათვის

1 თვით	1 მან.	3 თვით	2—90	5 თვით	4—80
2 „	2 „	4 „	3—85	6 „	5—75

დაწესებულებათა, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის

1 თვით	1—30	3 თვით	3—80	5 თვით	6—25
2 „	2—60	4 „	5—00	6 „	7—55

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში

1 თვით.	1 მან. 50 კ.
1 წლით	18 მან.

საზღვარ-გარეთ

1 თვით	1 ნახ. დოლ.	6 თვით.	8 ნახ. დოლ.
3 „	4 „	1 წლით	16 „

0—1

საზაფხულო კინო
დარბაზი
პლეხანოვის პრ. № 91

მეფის ბრძანებით
ულამაზეს ქალის **მარიონ** ულამაზეს ქალის
დევისის
მონაწილეობით

ამ დღეებში ორი საუკეთესო სურათი

თვალყური ადევნეთ დადგმის დღეს!

საზაფხულო კინო
აპოლო
პლეხანოვის პრ. № 107

—შეიხი—
რუდოლფ
ვალენტინოს
მონაწილეობით

სია

იმ პირთა და ორგანიზაციათა, რომელნიც გატარებულნი არიან რეგისტრაციაში ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოში.

(გაგრძელება № 15).

№№ რიგ.	რეგისტრაციის დრო	საწარმოოს მეპატრონე	მისამართი	საწარმოოს საგანი	ძირითადი თანხა	საწარმ. სარეწაო მოწ. ხარ.
352	10 ივნისი 27 წ.	კვენეტაძე კარპე კონსტანტინეს-ძე	სოფ. გუბი	სასადილო	200 მ.	მე-4
353	„	ცხადაძე ვარლამ ალფეზის-ძე	სოფ. სვირი	„	200 მ.	„
354	„	კახაძე კოტე ბესარიონის-ძე	სოფ. სვირი	„	200 „	„
355	„	ფოფხაძე მიხეილ ანტონის-ძე	დაბა ტყიბული მახარაძის ქ. № 30	„	200 „	„
356	„	სანებლიძე სამსონ პეტრეს-ძე	დაბა ტყიბული	„	200 „	„
357	„	გოცირიძე დავით ალექსის-ძე	დაბა ტყიბული მახარაძის ქ №	„	200 „	„
358	„	კობახიძე ბიქტორ ლევანტის-ძე	დაბა ტყიბული	„	200 „	„
359	„	გიორგაძე ყარამან გიორგის-ძე	ქ. ქუთაისი მე-3 ინტერნაციონალის ქ. № 44	„	150 „	„
360	„	სანაძე ენუქი მელიტონის-ძე	ქ. სამტრედია ჭავჭავაძის ქ. № 57	„	300 „	„
361	„	ჯაბიძე იაკოვ მოსეს-ძე	დაბა ბაღდადი	„	200 „	„
362	„	ქარაბაკი ვასილ ნიკოს-ძე	დაბა ბაღდადი	„	200 „	„
363	„	ჯღამაძე სიმონ	ქ. სამტრედია	„	200 „	„
364	„	წვერევა ვლადიმერ ლუკას-ძე	ქ. სამტრედია წულუკიძის ქ. № 58	„	200 „	„
365	„	შიშინაშვილი ილარიონ სოლომონის-ძე	ქ. ქუთაისი 1905 წ. რევოლიუციის ქ. № 27	„	200 „	„
366	„	ს.მ.უ.ს. თამბაქოს ტრესტი	ქ. ქუთაისი მე-3 ინტერნაციონალის ქ. № 74	„	500 „	„
367	„	ჭელიძე ფილიპე ნიკოლოზის-ძე	ქ. ქუთაისი წულუკიძის ქ. № 2	თამბაქოთი ვაჭრობა	132476 „	მე-12
368	11 ივნისი	მელაძე ალექსანდრე სტეფანეს-ძე	ქ. ხონი თავისუფლების მოედანი № 19	ღვინის და არაყის საწყ.	2000 „	მე-4
369	„	საქ. სახელმწ. ვაჭრ. საპაიო განყოფილება ქუთაისში	ქ. ქუთაისი წერეთლის ქ. № 78	სასადილო	300 „	„
370	„	უმლავა ერმილე გიორგის-ძე	ქ. ქუთაისი წულუკიძის ქ. მე-2 შესახ. № 7	ღვინის დამზადება	საკუთარი არ აქვს	მე-5
371	„	ბაბუნაშვილი ნიკოლოზ სიმონის-ძე	ქ. ქუთაისი პუშკინის ქ. № 34	სასადილო	1000 „	მე-4
372	„	სულაბერიძე იოსებ ალექსის-ძე	ქ. ხონი თავისუფლების მოედ. № 124	ხილით საგაჭრო	4000 „	„
373	„	დევიძე იოსებ მარკოზის-ძე	ქ. ქუთაისი ტროცკის ქ. № 1 შესახ. № 22	სასადილო	500 „	„
374	„	მუმლაძე ნიკო ოქროპირის-ძე	ქ. ქუთაისი მე-3 ინტერნაც. ქ. № 33	„	500 „	„
375	„	სამხარაძე პარმენ ვასილის-ძე	ქ. სამტრედია წერეთლის ქ. №	„	300 „	„
376	„	ლოლაბერიძე ლუკა ელისბარის-ძე	ქ. სამტრედია რკ. გზის სადგური	რკ. გზის მე-3 კლასის ბუფ.	500 „	„
377	„	გაჩეჩილაძე ნიკოლოზ ოტიას-ძე	ქ. სამტრედია წერეთლის ქ. № 86	სასადილო	200 „	„
378	„	ტალახაძე ერასტი ბესარიონის-ძე	ქ. სამტრედია ლენინის ქ. № 79	„	1000 „	„
379	„	ჯმუხაძე მიხეილ კაციას-ძე	ქ. ქუთაისი მე-3 ინტერნაც. ქ. № 12	„	300 „	„
380	„	ჭეიშვილი ნიკიფორე მარკოზის-ძე	ქ. ქუთაისი ტროცკის ქ. № 23	„	300 „	„
381	„	ს.მ.უ.ს. სამთო მრეწველობის ტრესტის ქუთაისის სავაჭრო კანტორა	ქ. ქუთაისი ვაგზლის ქ. № 1	ვაჭრობა ნავთ. ნაწარმოებ.	200 „	„
382	„	ახვლედიანი კოლია სემენარის-ძე	ქ. ქუთაისი 1905 წ. რევოლ. ქ. № 5	სასადილო	საკუთარი თანხა არ აქვს	„
383	„	ქუთაისის სააგენტო შაქრის ტრესტი	ქ. ქუთაისი პუშკინის ქ. № 26	შაქრით ვაჭრობა	500 „	„
384	„	თბილისის ქალ. ბანკის ქუთაისის განყ—ბა	ქ. ქუთაისი წულუკიძის ქ. № 7	საბანკო ოპერაციების წარმოება	საკუთარი თანხა არ აქვს	„
385	„	ცერცვაძე გიორგი ნიკოლოზის-ძე	სოფ. სვირი	„	„	„
386	„	დვალი სამსონ ივანეს-ძე	დაბა ტყიბული	სასადილო	200 „	„
387	„	ვაშაკიძე მიტროფანე სიმონის-ძე	სოფ. გუბი	„	150 „	„
388	„	ნიკოლეიშვილი ლავრენტი სიმონის-ძე	ქ. სამტრედია ლენინის ქ. № 83	„	200 „	„
389	„	თევზაძე ვლადიმერ გრიგოლის-ძე	ქ. სამტრედია ლენინის ქ. № 73	„	300 „	„
390	„	ქუთაისის მუშკოოპი	ქ. ქუთაისი 1905 წ. რევოლ. ქ. №	სასადილო № 1	500 „	„
391	„	„ „	ქ. ქუთაისი მწვანე ბაზარი	№ 2	საკ. თ. არ აქვს „	მე-5 „

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს საქმეთა მმართველი **შ. მგალობლიშვილი.**
სავაჭრო რეგისტრაციის განყოფილების გამგე **კ. ორჯონიკიძე**

ნ. 1393.

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლლო
(არტოს ბაღში).

0—1 ნ. 1388

პროგრამის ზევით „ზაქეის“ გახსნა.

არაჩვეულებრივი წარმატებით მიდის

მხატვრული შედევრი

„მოხეტიალე ვარსკვლავები“

შოლომ-ალეიხიმის განთქმული რომანის მიხედვით

ამაღელვებელი ფურცელი ებრაელთა ცხოვრები დან

სცენარი ცნობილი მწერლის **ი. ბაბელის**

სიმფონიური ორკესტრი.

სპეციალურად შერჩეული მუსიკა.

1-ლი სეანსის დასაწყისი. აპოლოში საღ. 7 ს. და 40 წ.
„ „ „ დარბაზში „ 8 ს. და 15 წ.
„ „ „ ეთერში „ 8 ს. და 45 წ.

სოლო სკრიპკაზე.

ანონსი: მალე „შეიხი“—რუდოლფ ვალენტინოს მონაწ.; „მეფის ბრძანებით“—მარიონ დევისის მონაწილეობით.

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
ჯერჯერობით რჩება თბილისში.
კლ არა ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 7, ბინა 1, ტელეფონი 14—56.

ექიმი
მებრაგიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი

ციე ბის საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათ ების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.

მნგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 25—1

მიიღება ხელისმოწერა 1927 წლისათვის

ყოველთვიურ

სამკურნალო სამეცნიერო ჟურნალ

„თანამედროვე მედიცინა“-ზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეჯიუმის გამოცემა.

ჟურნალში შემდეგი განყოფილებებია:

თეორიული მედიცინა, კლინიკური მედიცინა, პრაქტიკული მედიცინა, საზოგადოებრივი მედიცინა, მიმოხილვები, ბიბლიოგრაფია, რეფერატები და სხვ.

თვითეულ ორიგინალურ შრომას დართული აქვს ავტო-რეფერატები რუსულ და ფრანგულ ენებზე.

ჟურნალის ფასი:

1 წლით	10 მან.
½ წლით	5 მან.
ცალკე ნომერი	1 მან.

რედაქციის მისამართი: პლეხანოვის გამზირი № 58, ცენტრ. კლინიკ. ინსტიტუტი—ნერვ. სნეულებ. კლინიკა.

3062 25—1

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულებ. კ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 6 ივლისს 1927 წ. საათის 12, ორთაჭალაში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ქრისტეფორე სეტიანცის და სევასტი ხაბეიშვილის მოძრავ ქონებას ცხენს, ბუფეტის შკაფს, ფარდაგს, ბუდილნიკს, გრამაფონს, კამოდს, ხალიჩას და ზინგერის ხელსაკერი მანქანას შეფასებულ 255 მან. დასაკმაყოფილებლად „შინა მრეწველ კრედიტი“-სა და „მერკურკრედიტ“-ისა ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 3211

ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა

აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 5 ივლისს ნავთსადენის განყოფილებასთან შესდგება

საჯარო ვაჭრობა

440 კუბ. მეტრამდე ბეტონის ფუნდამენტისა და რკინის ბოძებზე დადგმულ ბეტონის იატაკის დასანგრევად სად. ევლახის ნავთსადენ სადგურზე.

სამუშაოთა სიის, ტეხნიკური პირობების და ხელშეკრულების პროექტის გაცნობა შეიძლება ყოველდღე, სამუშაო საათებში, ნავთსადენის განყოფილებაში (საბჭოთა ქ. № 70) სამუშაოთა მწარმოებლის კანტორაში.

კერძო პირებმა გამგეობის სალაროში უნდა შეიტანონ ბე 500 მანეთის რაოდენობით.

ნავთსადენის განყოფილების
გამგე ინჟ. ოგანეზოვი. 1—1

ნ. 1395

გამოვიდა № 3 **კანონთა კრებული** გამოვიდა № 3

ცალ-ცალკე—№ 1—20 კ., № 2—35 კ., № 3—35 კ.

ხელისმოწერა—3 მ. წლიურად.

გამოვიდა აგრეთვე სამოქ. სამ. კოდექსი (75 კ.), ცნობარი თემაღმასკომებისათვის „ტყის წესების დარღვევა, წანახედი და სხვ.“.

საწყობშია—კონსტიტუცია—40 კაპ., სისხლ. სამ. პროც. 70 კ., **ს. ჯაფარიძე**—„სამოქალ. პროცესი“ (1 მ. 65 კ.), კანონთა კრებული წარსული წლებისა.

მისამართი შეკვეთ: თბილისი. იუსტსახკომი, გამომცემლ.

1—1 3204

პროფ. გ. მ. მუხაძე

დაბრუნდა

და განაახლა ავადმყოფების მიღება, პლეხანოვის პრ. № 58. 13—1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ექიმი

კ. ს. ფონ-ირტელი

საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყ.

(სმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი დი მათი შედეგები) **სპეციალისტი.**

ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს.-მდე, საღამოს 5—7 ს.-მდე.

ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედნასახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 13—1

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი

ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი

დაკარგა მატრიკული № 994 ელენე მიხეილის ასულის მებუკეს სახელზე, ჩ. გ. 3210

დაკარგა პირადობის მოწმობა კონსტანტინე იასეს-ძე ჯიბუტის სახელზე ჩ. გ. 3205

დაკარგა პირადობის მოწმობა ქ-21 მოცემული ქ. თბილისის მოძრაობის დარგის მეორე განყოფილების მიერ შალიკო ქარქაშაძის სახელზე ჩ. გ.

დაკარგა მეტყავეთა კავშირის წიგნაკი № 1735, დამზღვევი წიგნაკი № 0010, პირადობის მოწმობა, პირადი წიგნაკი ფორმა № 4 და სხვა მოწმობები გიორგი ივანეს-ძე ხვთისიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3186

დაკარგა 30 ივნისს 1927 წელს ერევნის მოედანზე თამასუქი, ხელმოწერილი ტარასი ივანეს-ძე ბალათურიას მიერ თანხა 1500 მან. ჩ. გ. 3201

დაკარგა კავშირის საწევრო წიგნაკი, პასპორტი და ზაგესიდან მოცემული მოწმობა ელიზბარ ივანეს-ძე მალალაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3207

დაკარგა პირადობის მოწმობა და ქალ. თბილისის მე-102 შკოლის დამთავრების მოწმობა მენახემ შელომიძე-ტორიკაძვილის სახელზე, ჩ. გ. 0823

დაკარგა პასპორტი, გაცემული თბ. ადმინისტრატიულ განყოფილების მიერ 1925 წ. 12 თებერვალს, № 890, ილია ზოსიმეს-ძე რუხაძის სახელზე ჩ. გ.
ქვ. 3212.

დაკარგა ტფილისის საბჭოს საწევრო წიგნაკი № 341 არმენაკ ესტატესძე უმიკაშვილის სახელზე, ჩ. გ.
ქვ. 3214.

ამსახკომის სტამბა, კამოს ქ. 68.